# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  პარასკევი 20 ნოემბერი 1998 №212 (747)  ფასი 50 თეთრი



გუშინ მცხეთაში: „ვიტ ჯორჯია“ — თსუ.
სტუდენტი კობა წიტაიშვილი ვიტელთა მეკარე სერგო ჭურაძის (№12) და მცველ ვასილ მაისურაძის მარწუხებში მოექცა

## საქართველოს თასი მერვედფინალი

საპასუხო მატჩები

19 ნოემბერი, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| **ბათუმი** | **2** |
| **დილა** | **0** |
| პირველი მატჩი 2:1 | |
| **სამგურალი** | **2** |
| **იბერია** | **1** |
| პირველი მატჩი 1:1 | |
| **სიონი** | **1** |
| **გორდა** | **4** |
| პირველი მატჩი 0:0 | |
| **ოდიში** | **1** |
| **მერანი** | **0** |
| პირველი მატჩი 0:3 | |
| **ვიტ ჯორჯია** | **0** |
| **თსუ** | **0** |
| პირველი მატჩი 2:2 | |
| **არსენალი** | **4** |
| **კოლეჯი** | **0** |
| პირველი მატჩი 1:1 | |

26 ნოემბერი, ხუთშაბათი

| | |
|---|---|
| **ლოკომოტივი** | |
| **დინამო** | |
| პირველი მატჩი 0:0 | |
| **ტორპედო** | |
| **კოლხეთი** | |
| პირველი მატჩი 1:3 | |

სანამ გიშინწინდელ მატჩში ნაკრებისთვის გარჯილი სამი კლუბის მოთამაშენი და მათი თანაგუნდელები თუ მეტოქენი ისვენებდნენ, ექვსმა წყვილმა საქართველოს თასის ამდენივე მეოთხედფინალისტი გამოარკვია.
გამოსარკვევიც ბევრი არაფერი იყო: „ბათუმი“ — „დილას“, „ოდიში“ — „მერანის“, „არსენალი“ — „კოლეჯის“ საბოლოო გამარჯვებულნი პირველი მატჩების შედეგებიდანაც არ იყო ძნელი გამოსაცნობი. ერთი კვირის წინანდელი საგარეო ფრეებით საქმე წინ „სამგურალს“, „ვიტ ჯორჯიასა“ და „სიონსაც“ ჰქონდათ წაგდებული, მაგრამ ეს უკანასკნელი ყველასთვის მოულოდნელად დიდი ანგარიშით დამარცხდა ბოლო ხანს ერთობ დაუძლურებულ „გორდასთან“ და თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა.
საინტერესო გარემოება სდევდა მცხეთაში მოთამაშე თბილისური კლუბების ბრძოლას. ამ წყვილში სტუმარ-მასპინძელი პირობითი იყო და, რაკი ორივე მატჩი ფრედ დასრულდა, გამარჯვებულიც პირობითადვე სტუმრად გატანილი გოლებით გამოვლინდა.
საკვირველია ქუთაისელი არბიტრის ავთანდილ შალამბერიძის პრინციპულობა და გამბედაობა: მან მერვედფინალის ორივე სათასო მატჩში თითო მოთამაშე გაუძევა „ბათუმს“ — გორში მსაჯის შეურაცხმყოფელი მეკარე ნიკოლოზ ტოგონიძე და ბათუმში გორელ რევაზ ხაჭაპურიძესთან მოჩხუბარი ნახევარმცველი თემურ ტუღუში.

# წაგება გვტკივა... მაგრამ საყვედურს ნუ ვიჩქარებთ



დუბლინში რუმინელებს (ბურთით) ქართველებთან ბედმაც გაამარჯვებინა და გამოცდილებამაც

ქართველმა მორაგბეებმა რუმინელებთან დამარცხებით მსოფლიოს თასისკენ სავალი გზა უსაშველოდ დაიგრძელეს. ახლა ტონგასთან მოუწევთ ბრძოლა და თუ ორრაუნდიან პაექრობაში იმარჯვეს, მერე ფინალურ ეტაპზე გასასვლელად ჰოლანდია — კორეას შორის მოგებულს უნდა დაეჭიდნონ. არადა, ტონგელები რუმინელებს არათუ ჩამოუვარდებიან, აღემატებიან კიდეც და მათი ძლევა ჩვენებისთვის შინაც და სტუმრადაც უძნელესი საქმეა. თუმცა, ბორჯღალოსნებმა რუმინელებთან ისე ითამაშეს, მთლად უიმედონი ნამდვილად არ უნდა ვიყოთ, მითუმეტეს, რომ ჩვენი მორაგბეებიც ასე ფიქრობენ.

იხილეთ მეცხრე გვერდი

EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

E ჯგუფი. საქართველო

ჩეხეთი (25.11); შვედეთი (28.11); თურქეთი (2.12);

# დღეს კაცურინი გამოგვცდის

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ისრაელში მყოფმა საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა ქალაქ ნათანიაში მეორე საწვრთნელი მატჩი გამართა. ჩვენებურებს ამჯერად ებარელთა მეორე ლიგის ერთ-ერთი გუნდი „შემოელხათ“ — 81:50. გუშინ ნაკრები ისვენებდა და ექსკურსიაზე იერუსალიმის დასათვალიერებლად იყო.

დღეს კი ქართველებს გაცილებით სერიოზული მეტოქე ეყოლებათ — ისრაელსი უმაღლესი ლიგის ბინადარი რამათ განის „მაკაბი“. ეს გუნდი შარშანდელ ჩემპიონატში მერვე იყო და მიმდინარე პირველობაშიც ჯერჯერობით იგივე ადგილზეა. რამათგანელთა თავკაცი ისრაელის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მული კაცურინია. ნაკრებში კი ერთი კალათბურთელი — ური კოენი თამაშობს.

# ედმონტონი ნებიოლოს ნებაა



კანადელები 2001 წლის მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობამ ძალიან გაახარა

2001 წლის მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატს კანადის ქალაქი ედმონტონი უმასპინძლებს — განაცხადა გუშინ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პრიმო ნებიოლომ მონაკოში გამართული IAAF-ის საბჭოს სხდომის პირველ დღეს.

მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა ედმონტონელთა გარდა კალიფორნიულ სტენფორდს და თვით საფრანგეთის დედაქალაქ პარიზს სურდა, მაგრამ 25 ხმოსნიდან 22-მა უპირატესობა კანადურ ქალაქს მიანიჭა.



უკრაინელი სპორტული ჟურნალისტების მიერ მოწყობილი გამოკითხვა, რომელშიც ქართული მასმედიაც მონაწილეობდა, მოულოდნელი შედეგით დასრულდა.
70-იანი-80-იანი წლების საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა

**ალექსეი მიხაილიჩენკო,**

რომელმაც თვით ოლეგ ბლოხინს აჯობა.

იხილეთ მეშვიდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი
19 ნოემბერი
14 საათი
ისანი
200 (ტევადობა 5 000)

**არსენალი 4:0 კოლეჯი**

1:0 ყოლბაია (4), 2:0 სულაძე (48), 3:0 ამირიძე (55), 4:0 ტარიელაშვილი (65)
**არსენალი:** ჩლაიძე, ფირცხალავა (ყუფარაძე 46), დ. კაპანაძე, ვ. გველესიანი, ყოლბაია (ამირიძე 55), მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი (გ. სულაძე 37), ლაცაბიძე, კორღალიძე, ხოსროშვილი, ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* აბაშიძე, ქიქავა, ლომიძე
**კოლეჯი:** კუნჭულია, გ. ჩიჩუა, შანიძე, სიამაშვილი, ჩახუნაშვილი, ევგენიძე, თედორაძე, ქაცარავა, დარჩიძე, კობიძე (ბოლქვაძე 59), მ. ჩხაიძე
*სათადარიგონი:* გასპარიანი, ჯალაღანია, ვ. ჩიჩუა
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, გ კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი), ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. კაკულია

# ლექცია ნოემბრის სუსხში

**პაატა კვანტალიანი**

თასის გათამაშების მერვედფინალში ამ გუნდების დაპირისპირება ყველაზე ნაკლებ ინტერესს იწვევდა. პირველი ჯგუფის დებიუტანტი ფინანსური თვალსაზრისით წელგამართულია და ჩემპიონატშიც მეტ-ნაკლებად სოლიდურად გამოიყურება, „კოლეჯი" კი სეზონის წინ შეიქმნა და ერთი ჩვეულებრივი, მეორე ჯგუფის გუნდია. ყოველივეს გათვალისწინებით ბათუმში მეტოქეთა პირველი შეხვედრის შედეგი მოულოდნელი გახლდათ — 1:1. თუმცა „არსენალს" მაშინ ძირითადის რამდენიმე მოთამაშე აკლდა და ალბათ, ამიტომაც ვერ იმარჯვა.

განმეორებით მატჩში კი არმიელებმა პირწმინდად დაჩაგრეს მეტოქე და იოლად მოიგეს. შეხვედრა საკმაოდ უინტერესო გამოდგა, ნოემბრის სუსხიან ამინდს წვიმაც დაემატა და ბუნების ჭირვეულობა ფეხბურთელებსაც გადაედოთ. დოგრაშვილის სასტვენს მალე ყოლბაიამ გოლი მიაყოლა — მარჯვენა ფრთიდან ტარიელაშვილის ჩაწოდებული შეირგო და ახლო მანძილიდან კუნჭულია დაამწუხრა. ტაიმი ისე მიილია, მინდორზე საინტერესო აღარაფერი მომხდარა. არმიელებმა მალევე იგუმანეს, რომ მეტოქე თამაშის გამმწვავებელი არ იყო და თავიც დიდად აღარ გამოიდეს.

მეორე ნახევარიც პირველის მსგავსად დაიწყო. ხოსროშვილმა კარგი პასი მისცა ზირაქიშვილის შემცვლელ სულაძეს, მანაც კუნჭულიას შეცდომით ისარგებლა და ახლო კუთხეში გაუტანა. 54-ე წუთზე კი ბათუმელებმა იშვიათი კონტრშეტევის დროს კინაღამ გაქვითეს ერთი ბურთი — არმიელთა საჯარიმოში შეჭრილმა ქაცარავამ მცველთან ჭიდილში იმარჯვა. ჩლაიძეს პირველად მოუხდა თავის გამოდება და ბოლო წამს ბურთის დაჭერა შეძლო. ამის შემდეგ კი მატჩის ყველაზე საინტერესო წუთიც დადგა. ათი წამის უკან შეცვლაზე შესული ამირიძე პირდაპირ მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და ბურთთან პირველივე შეხებაც გოლით დაასრულა. ამის შემდეგ ფეხბურთელები მოვალეობის მოხდის მიზნით დროგამოშვებით თუ გაიქცეოდნენ-ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი გაქცევის დროს კი ხოსროშვილმა ტარიელაშვილი შეატოვა კუნჭულიას — გოლმა მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.



ზირაქიშვილის შემცვლელმა გიორგი სულაძემ „კოლეჯის" ვეტერან მეკარე ალექსანდრე კუნჭულიას მეორე გოლი გაუტანა

წყალტუბო
19 ნოემბერი
14 საათი
26 მაისი
500 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 2:1 იბერია**

1:0, 2:0 ფაიქიძე (26, 56), 2:1 ვ. გიგიაძე (83Ა)
**სამგურალი:** სტურუა, ჯავახაძე, ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე (ლონდაძე 62), მახვილაძე, ძაგნიძე, დარსაძე (ი. ხაჭაპურიძე 46), ფაიქიძე (თევდორაძე 66), კ. ჯანაშია
*სათადარიგონი:* ხაჩირაშვილი, ფილიპაშვილი, გ. თევზაძე
**იბერია:** გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, გ. ლურსმანაშვილი, გეგეშიძე ი. გიგიაძე, თოდუა (მუმლაძე 86), შ. ჩომახიძე, ბრეგვაძე, ვ. გიგიაძე, ივეჩიანი, ლორთქიფანიძე
*სათადარიგონი:* ჩაჩუა, გაბრიჭიძე, სადილიანი, მიქელთაძე, გ. ჭელიძე, ფხაკაძე
**გაფრთხილება:** ჯავახაძე (73), ხაჭაპურიძე (82)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი), ი. შალამბერიძე, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
**სფფ-ს დელეგატი:** ბ. ქარქაშაძე

# ...ორას ლარსაც გამოჰკრან ხელი

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

სამტრედიაში ნათამაშევმა 1:1-მა „სამგურალი" პრივილეგიურ მდგომარეობაში დატოვა. წყალტუბოელები გუშინ მოუგებლადაც გადიოდნენ თასის მეოთხედფინალში. ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერც გაიტანდნენ და არც გაუშვებდნენ. მაგრამ მასპინძლები ამის იმედად ვერ იქნებოდნენ და ახალი თავკაცის მომლოდინე „იბერიას" (როგორც ვიტყობინებოდით, სამტრედიულ კლუბში მთავარ მწვრთნელად ვახტანგ კოპალეიშვილს ეპატიჟებიან) ნამდვილი ბრძოლა გაუმართეს. „სამგურალი" თავიდანვე მოსაგებად განეწყო. სტუმრებმა ეს გამოწვევა მიიღეს და მოედანზე საკმაოდ საინტერესო და დაძაბული თამაში გაჩაღდა. მეტოქეები მორიგეობით ფლობდნენ უპირატესობას.

პირველი „ჩხვლეტა" მასპინძლებმა იგემეს. მე-5 წუთზე ჩომახიძემ მარჯვენა ფრთიდან კარგად ჩაუწოდა ვასო გიგიაძეს, რომელიც თავით მიწვდა მაღალ ბურთს და კარისკენ გაგზავნა, მაგრამ სტურუა ადგილზე აღმოჩნდა. ამას მასპინძელთა ორი სახიფათო იერიში მოჰყვა. ჯერ მახვილად გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე და მისი 18 მეტრიდან ძლიერად გასროლილი დოლიძემ უვნებელყო, შემდეგ ჯინჭარაძე — ფაიქიძე — ჯანაშიას კომბინაციას ამ უკანასკნელის მახვილი კუთხიდან დარტყმა მოჰყვა, თუმც ისევ მეკარემ იმარჯვა, იგი ძელთან გადაეფარა ბურთს. მერე იყო ათწუთიანი მონაკვეთი, როცა სამტრედიელები თამამად უტევდნენ, ხოლო „სამგურალი" მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდა. ამ მონაკვეთში საუკეთესოდ ითამაშა შოთა ჩომახიძემ. მე-20 წუთზე მან მარცხენა ფლანგზე სამი წყალტუბოელი ჩამოიცილა, ვასო გიგიაძეს თითქოს ზუსტად გაუჭრა, ოღონდ ტყუპს მცველმა წამით დაასწრო და სიტუაცია განმუხტა. სულ ერთ წუთში ჩომახიძე უკვე თავად შეეცადა წყალტუბოელთა კარის დალაშქვრას, ძალზედ სახიფათო საჯარიმო შეასრულა, მაგრამ აქაც მცველს მოხვდა ბურთი. მალე შოთამ მასპინძელთა საჯარიმოში ივეჩიანს დაასვა ბურთი თავზე. არც ამჯერად დაუფასდა გარჯა. ბიძინამ კარს ააცილა.

25-ე წუთზე კი „იბერიამ" გატანის ასპროცენტიანი შანსი გაუშვა ხელიდან. ლორთქიფანიძემ მინდვრის შუაგულიდან მიაწოდა ბურთი ვასო გიგიაძეს, ისიც იოლად გაექცა დაბნეულ წყალტუბოელებს (სამტრედიელი თამაშგარე ეგონათ), დოლიძესთან პირისპირ დარჩა და შორეულ კუთხეში დაურტყა დაბალი. ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, შემდეგ კი მეკარეს ჩაუვარდა ხელში. სტუმრები უმალვე დაისაჯნენ. საპასუხო იერიშისას ფაიქიძე „იბერიას" საჯარიმოს წინ ორ მცველს შეებრძოლა და ბურთი დაიმარტოხელა თუ არა, გამეტებულად დაჰკრა. ხარიხადან ბურთი ბადეში აღმოჩნდა. გატანილმა გოლმა წყალტუბოელები გამხნევა, შესვენებამდე ინიციატივა მათ მხარეს იყო და გაიოზ დარსაძის შეგირდებს ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ. ყველაზე რეალური მომენტი მოთამაშე დარსაძეს ჰქონდა, როცა დოლიძის მიერ მოგერიებულს ახლოდან ვერ დაამატა.

მეორე ტაიმიც მასპინძელთა შეტევებით დაიწყო და ათიოდე წუთში „იბერიამ" მეორე გოლიც მიიღო. ისევ ფაიქიძემ იმარჯვა. იგი სტუმართა საჯარიმოდან საკმაოდ შორს დაეუფლა ბურთს, სწრაფად გაიჭრა წინ, გეგეშიძემ მოიერიშეს ვერაფერი მოუხერხა და ფაიქიძემაც, მცველი ჩამოიტოვა თუ არა, აღარც დოლიძე გაახარა, ზუსტად დაურტყა შორეულ კუთხეში.

„იბერიას" ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრია. ამის შემდეგ გუნდები მონაცვლეობით უტევდნენ. 61-ე წუთზე ჩომახიძეს ძმაკაცმა სტურუამ აუღო ძნელი ბურთი. შეცვლაზე გამოსულ ლონდაძეს მაშინვე მიეცა გასამების შესაძლებლობა, მაგრამ ხაჭაპურიძის საგოლე პასით ვერ ისარგებლა. 71-ე წუთზე სტურუამ კარში დასარტყმელად გამზადებულ ივეჩიანს აართვა ბურთი ფეხიდან. ხუთ წუთში ლონდაძეს გაუცუდდა თავური. სულ მალე ჩომახიძემაც შემოირტყა თავში ხელი. შოთას მიერ კარისკენ გაგზავნილი მცველს მოხვდა, მისგან კი ძელს. და მაინც, „იბერიამ" შეძლო ერთის გაქვითვა. ქობულაძემ საკუთარ საჯარიმოში ივეჩიანი რომ წააქცია, ვასო გიგიაძემ უნაკლოდ შეასრულა პენალტი. სამტრედიელები მეორეს გასატანადაც შეესივნენ „სამგურალის" საჯარიმოს, მაგრამ მეტი ველარ იხეირეს. არადა, გეგეშიძეს გაყაიმების და „იბერიას" თასის გათამაშების მომდევნო წრეში გაყვანა შეეძლო... ახლოდან თავით სუსტად და მეკარისკენ რომ არ დაერტყა.

მოკლედ, სათასო იმერულ დერბიში „სამგურალმა" იმარჯვა. წინა ოთხ წაუგებელ მატჩს წყალტუბოელებმა გუშინ ერთიც მიაყოლეს და ახლა საკვირაო თამაშისთვის ემზადებიან. პირველი წრის ბოლო ტურში ისინი „დინამოს" მასპინძლობენ. გაგანდობთ, ქვეყნის მარად ჩემპიონთან გამარჯვების შემთხვევაში, წყალტუბოელ ფეხბურთელებს ორმაგ პრემიას არიან შეპირებულნი. 200 ლარი, აბა, ვის აწყენს...

ბათუმი
19 ნოემბერი
14 საათი
დინამო
700 (ტევადობა 18 000)

**ბათუმი 2:0 დილა**

1:0 სიჭინავა (59), 2:0 მაჭუტაძე (64)
ტულუშმა ვერ გაიტანა პენალტი (35)
**ბათუმი:** მალაყმაძე, ვერემჩუკი, მ. მახარაძე, პაპიძე, სიჭინავა, კანტიძე (მჟავანაძე 80), აფხაზავა, გადელია (რომანაძე 77), ტულუში, მაჭუტაძე, რუსია
*სათადარიგონი:* ფუტკარაძე, ღლონტი, მაქაცარია, ყულეჯიშვილი
**დილა:** თ. ილურიძე, ფეზუაშვილი (რ. ახალკაცი 67), რ. ხაჭაპურიძე, სამხარაძე, გაგნიძე, დ. მაისურაძე (ბ. ჩიტაია 5), მარეხაშვილი, თაყაძე, კაიდარაშვილი, გ. ჩიტაია, შატაკიშვილი (ლ. გოჩაშვილი 65)
*სათადარიგონი:* მდივანი, ციცქიშვილი
**გაფრთხილება:** ვერემჩუკი (30), ხაჭაპურიძე (42)
**გაძევება:** ტულუში (42)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ზ. ხუციშვილი (დმანისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ჯ. ანთიძე

# ზოგი ჭირი მარგებელია

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

„ბათუმი" რომ სათასო გუნდია, ახალი არ არის. ჰოდა, ამ მატჩამდე თამამად შეეძლო ეთქვა კაცს, მეოთხედფინალისტის ბედი უკვე გორში გადაწყდაო. ასეც მოხდა, მაგრამ გორელთა ასეთ უნიათო თამაშს, თან მთელი მეორე ტაიმში კაცნაკლულ მეტოქესთან, მაინც არავინ მოელოდა.

მასპინძელთა შემადგენლობის გაცნობისას თვალშისაცემი ჭიჭვეიშვილის და სათადარიგო მეკარის არყოფნა გახლდათ. ჭიჭვეიშვილი თურმე მოსკოვის „სპარტაკში" წაუყვანიათ გასასინჯად, ხოლო მალაყმაძის გარდა ზღვისპირელებს მეკარე მხოლოდ ერთი, ტოგონიძე ჰყავთ და ისიც დისკვალიფიცირებულია. მოკლედ, „ბათუმი" ღმერთს უნდა უმადლოდეს, მალაყმაძეს რაიმე რომ არ შეემთხვა, თორემ ადვილი წარმოსადგენია, რაც მოხდებოდა. ისე კი საინტერესოა, ამ შემთხვევაში ჭეიშვილს ვინ ჰყავდა შეგულებული კარში ჩასაყენებლად.

ბათუმში ორი დღე გადაუღებლივ წვიმდა და რა გასაკვირია, რომ გრუნტი ერთობ დამძიმებული იყო. თავიდანვე ცხადი გახდა, მობურთალთ ლამაზი თამაშის ჩვენება გაუჭირდებოდათ. ორივე გუნდმა უხალისოდ კი დაიწყო თამაში, მაგრამ პირველი ხიფათი უკვე მე-5 წუთზე შეიქმნა, როცა მოედნის ცენტრში შატაკიშვილი შეცდა, ბურთი სიჭინავამ მოიხელთა და უმალ მაჭუტაძე მოძებნა, რომელიც ილურიძესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ბურთი აეჭრა და კარსაც ააცდინა. ამის შემდეგ თამაში ოდნავ მიწყნარდა. ქართლელებმა დაცვითი სტილი ირჩიეს და დროდადრო კაიდარაშვილის მეოხებით კონტრშეტევებსაც ლამობდნენ, თუმცა მარტო ალეკო აბა, რას იხეირებდა. მეოცე წუთამდე არც მასპინძელთ გამოუდიათ თავი. აქ კი რუსიას მართებდა გატანა, მაგრამ ათიოდე მეტრიდან ბურთი მაინცდამაინც მეკარეს დაუმიზნა. მალე „ბათუმს" გატანის რეალური შანსი კიდევ ორჯერ მიეცა. ჯერ 32-ე წუთზე აფხაზავამ მცველი გააბითურა და მახვილი კუთხიდან კარშიც დაარტყა, მაგრამ მხოლოდ ძელი შეაწუხა. ორ წუთში კი ფეზუაშვილთან ბრძოლაში რუსია საჯარიმოში დაენარცხა და შალამბერიძემ ხელი პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა. იქედან დარტყმული ბურთი ტულუშმა კვლავ ძელს მოარტყა.

შესვენებამდე სამი წუთით ადრე მომხდარმა ეპიზოდმა მინდორზე მონასტერი არია. ხაჭაპურიძემ ათიოდე წუთის უკან ხელმოცარული ტულუში წააქცია. ესეც არ აკმარა და წაქცეულს შეაგინა კიდეც. ტულუშმა უმალ ხურდა დაუბრუნა — ისეთი ჰუკი უთავაზა გორელს, ჰოლიფილდს შეშურდებოდა. ატყდა ერთი რია-რია და გაწევ-გამოწევა. შალამბერიძემ სიტუაცია განმუხტა, პრინციპულობაც გამოიჩინა და ტულუშს სარბიელი დაატოვებინა. ამან კი ფანობა სულ გააგიჟა და მსაჯების ბედი, რომ „ბათუმმა" საბოლოოდ მოიგო, თორემ...

მეორე ტაიმში კაცნაკლულ ზღვისპირელებს წესით უნდა გასჭირვებოდათ. არაფერი მსგავსი. პირიქით, უფრო იმძლავრეს, უფრო ჯიგრიანად ათამაშდნენ და მალე იხეირეს კიდეც. თამაში 15 წუთის განახლებული იყო, რომ ჯარიმა დაინიშნა „დილას" კარში. მახარაძემ ბურთი სიჭინავას დაუგორა, ამანაც 25 მეტრიდან ჩვეულად გაისროლა და ბურთი კარის მარცხენა კუთხეში შეჭედა. გოლი მართლაც ლამაზი გამოდგა.

გაშვებულმა გოლმა ისედაც უხასიათოდ მყოფ გორელებს სულ წაუხდინა ნირი, „ბათუმმა" კი მთლად აიწყვიტა და 5 წუთში ანგარიშიც გააორა. მეორე გოლამდე რამდენიმე წამით ადრე ილურიძემ კანტიძეს კი აუღო ძნელი ბურთი, მაგრამ რუსიას პასით მაჭუტაძის ახლოდან დარტყმულს ვერაფერი დაუპირისპირა. ეს იყო და ეს. აქედან მოყოლებული, მატჩს ინტრიგის ნატამალიც კი არ შერჩა და დარჩენილ დროში ღირებული არც არაფერი შექმნილა. ისე კი, კაცნაკლულმა „ბათუმმა" უფრო კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მოკლედ, ფეხბურთშიც ზოგი ჭირი მარგებელი ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოლნისი
19 ნოემბერი
14 საათი
თემურ სტეფანია
500 (ტევადობა 3 000)

**სიონი 1:4 გორდა**

0:1 ლ. ალადაშვილი (45), 0:2 კილასონია (66), 0:3 ლ. ალადაშვილი (80), 1:3 მოსეშვილი (89), 1:4 ბურნაძე (90)
სიონი: დალაქიშვილი (ვოლკოვი 46), კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, თ. სამხარაძე, ძნელაძე, მ. სამხარაძე, ჩალაძე (ჯაგიდისი 55), მ. გოგოლაძე, მაზანაშვილი, გაგუა (ქობელაშვილი 46), მოსეშვილი
*სათადარიგონი:* ფ. არჩვაძე, დ. ჯაფარიძე, ყიფშიძე, გ. ჯაფარიძე
გორდა: მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, კილასონია, ტარტარაშვილი (შ. კაპანაძე 84), ზირაქაძე (ჩოხელი 80), გაბელაია, ლ. ალადაშვილი, კ. ალადაშვილი (კოპალიანი 79)
*სათადარიგო:* სოხაძე
მსაჯები: ს. კახიანი, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), დ. თოდუა (მარტვილი); გ. მგელაძე (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

# ასლარიანი თასი

ხვიჩა სანიკიძე ბოლნისიდან

ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ უფულო რუსთაველები „ტორპედოსთან" ფიასკოს მერე ბოლნისში ასე ადვილად გაუმკლავდებოდნენ მასპინძლებს. არადა, ამ გუნდების პირველი სათასო მატჩი 0:0 დამთავრდა და ყველანი უპირატესობას „სიონს" ვანიჭებდით, ბოლნისელები ხომ საკუთარ მოედანზე დამაჯერებლად თამაშობენ და მეტად უხერხულ მეტოქედ ითვლებიან.

შეხვედრის შემდეგ „სიონის" ზოგიერთი წარმომადგენელი ამტკიცებდა, ჩვენ თასის გათამაშება ზედმეტ ტვირთად მიგვაჩნია და ამიტომაც დავმარცხდითო, მაგრამ ამ სიტყვების მართებულობაზე თვით თამაში ნამდვილად არ მეტყველებდა. უფრო მეტიც, მარცხით განაწყენებულმა „სიონის" ერთ-ერთმა მესვეურმა მკაცრი განაჩენი გამოუტანა მწვრთნელ-ფეხბურთელებს — თითოეულს ასლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა.

ასე რომ, საქართველოს თასი ბოლნისელთა მხრიდან ას ლარად შეფასდა. რაც შეეხებათ რუსთაველებს, მათი სათასო სტიმული ქალაქის მერის სატელევიზიო დაპირება იყო და მეტი არაფერი. ოღონდ თქვენ მოინდომეთ და თვის ბოლოსთვის ყველა ვალს დაგიფარავთო — უთქვამს რუსთავის ხელმძღვანელს.

სიმართლე თუ გინდათ, მატჩი მასპინძლებმა ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე წააგეს. ისინი თვითდაჯერებულნი გამოვიდნენ მოედანზე, თანაც კარგად იცოდნენ სტუმართა გასაჭირი (ფინანსური). ეგონათ, რუსთაველები თავს არ მოიკლავდნენ და მწარედაც მოტყუვდნენ.

ბოლნისელი გულშემატკივრები ლავრენტი გაგუას ამაოდ ადანაშაულებდნენ შეხვედრის ამგვარად დამთავრებაში. მართალია, გაგუამ პირველ ტაიმში ხელიდან გაუშვა ორი მართლაც რეალური საგოლე მომენტი, მაგრამ ერთი მაინც რომ გამოეყენებინა, დარწმუნებული ვარ, სტუმრები თავისას გაიტანდნენ, რადგან დიდ შემართებასთან ერთად სწორ ფეხბურთს თამაშობდნენ...

აბა, სხვას რას ელოდნენ „სიონის" მწვრთნელები მარცხენა გარემარბ გაგუასგან, ცენტრალურ თავდამსხმელად რომ გაამწესეს იგი?

პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თუმცა სტუმრები კილასონიას წინამძღოლობით უფრო გააზრებულად ირჯებოდნენ და ამან ნაყოფი გამოიღო.

45-ე წუთზე კილასონიამ ოცდაორი მეტრიდან ძლიერად დაურტყა დალაქიშვილს, რომელმაც ბურთი მოიგერია და დამატებაზე ლაშა ალადაშვილმა აუღელვებლად გახსნა ანგარიში — 0:1.

სპარტაკ არჩვაძემ შესვენებაზე დალაქიშვილი ვოლკოვით შეცვალა, ხოლო გაგუა — ვეტერან ქობელაშვილით, მაგრამ მასპინძლებს ამანაც ვერ უშველა. მეორე ტაიმი რუსთაველების იყო და მის დებიუტში ვოლკოვს რომ არ ევარგა, სტუმრები კიდევ უფრო დაწინაურდებოდნენ.

რვა წუთის განმავლობაში მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ორჯერ შევიდა ბურთიანად კილასონია. თუ პირველ შემთხვევაში ვოლკოვმა აუღო, მეორედ ვარლამმა აუღებლად დაურტყა შორეულ კუთხეში და 0:2.

ამის შემდეგ ბოლნისელებმა გაიბრძოლეს, მაგრამ მოსეშვილმა და მაზანაშვილმა ბურთი მცირე მანძილებით ააცილეს მიზანს, აი, ქობელაშვილის დარტყმული ბურთი კი ქორიძემ მოიგერია.

მე-80 წუთზე კვლავ კილასონიამ გაინავარდა. შეტევაში გართულმა ბოლნისელებმა ბურთი დაკარგეს, მას კი ვარლამი დაეპატრონა და დაახლოებით სამოცი მეტრი გაირბინა. საჯარიმოში შესულმა მცველიც ჩამოიცილა და ძლიერად გაისროლა კარისკენ. ვოლკოვის სიმწრით მოგერიებულ ბურთს კი ლაშა ალადაშვილმა მიუსწრო — 0:3.

ცხრა წუთში მასპინძლებმა პირისპირ გაიყვანეს მოსეშვილი. ბახვამ მეკარე მოატყუა და ბურთიანად გადაკვეთა კარის ხაზი. პრესტიჟის გოლი კი შედგა, მაგრამ „სიონი" დიდი ანგარიშით დამარცხებას ვერ გადაურჩა.

მსაჯის მიერ დამატებულ დროში კილასონიამ კარგად მოძებნა შეტევაში ჩართული „გორდას" ლიბერო ბურნაძე. სანდრომ გამოცდილი ფორვარდის დარად საჯარიმოს მისადგომიდან თავზე გადაუგდო ბურთი წინ გამოსულ მეკარეს. მართლაც ლამაზი გოლი გამოდგა.

მარცხით განაწყენებულმა ბოლნისელმა გულშემატკივრებმა უჩვეულო სიჩუმით დატოვეს „თემურ სტეფანიას" ტრიბუნები. შეიძლება, არ სურდათ თასის გათამაშების მეოთხედფინალში გასვლა, მაგრამ ასეთი ანგარიშით წაგებას რა გამართლება აქვსო — მაინც ისმოდა წვიმისგან გალუმპულ ქომაგთა ჩივილი.

„სიონის" გასახდელიდან კი ისეთი ხმაური გამოდიოდა, ჭექა-ქუხილი გეგონებოდათ...

მცხეთა
19 ნოემბერი
14 საათი
არმაზი
100 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 0:0 თსუ**

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი, ჭოხონელიძე, ჯ. მუჯირი, დ. დოლიძე, ზ. გვაზავა, ვ. მაისურაძე, ლ. ნოზაძე, მაზიაშვილი (ი. კაპანაძე 76), ა. ბოკერია, ვ. ქუთათელაძე (ლამბაშიძე 90)
*სათადარიგონი:* გუგუნავა, ვ. გოჩაშვილი, ლამბაშიძე, თ. ბოკერია, დვალიშვილი
თსუ: ბათიაშვილი, გ. ილურიძე, ზამთარაძე, კობიაშვილი, დეკანოსიძე, დ. ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი, ჭუმბურიძე, ბახტაძე
*სათადარიგონი:* გაბელია, ებრალიძე, ნინუა, ო. სულაძე, ბუკია, ინწკირველი, სვანაძე
გაფრთხილება: ჭოხონელიძე (67), ილურიძე (89)
მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, ა. მეშკოვი, ვ. ჩოჩიშვილი; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

# თავიანთ თავს დააბრალონ

ვანო ოძროპირიძე მცხეთიდან

საქართველოს თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრა თსუ-მ კვლავ საკუთარ მოედანზე გამართა, თუმცა სტუდენტები ამჯერად სტუმრებად ითვლებოდნენ. პირველი მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა, ამიტომ თსუ-ს გამარჯვება აძლევდა შემდეგ წრეში გასვლის უფლებას, რადგან ძნელი წარმოსადგენი იყო, თამაში კვლავ 2:2 ან სულაც 3:3 დამთავრებულიყო. „ვიტ ჯორჯია" საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უფრო რომ იზრუნებდა, ვიდრე შეტევაზე, ეს სასტარტო შემადგენლობამაც დაგვანახა. ვიტელთა თავკაცმა ჯემალ მახარაშვილმა, პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, ერთი თავდამსხმელი გამოიყვანა, მეორე — გია გვაზავა კი მცველი დოლიძით შეცვალა. კიდევ ერთი თვალშისაცემი ცვლილება მინდორზე თამაზ ლორთქიფანიძის გამოჩენა იყო. ლორთქიფანიძე პირველ მატჩში მეოთხე მსაჯის მოვალეობას ასრულებდა, მთავარი მაშინ ლევან ფანიაშვილი გახლდათ, მაგრამ მან ისეთი შეცდომები დაუშვა, ფედერაციის წარმომადგენლებმა მისი შეცვლა გადაწყვიტეს და არც შემცდარან. ლორთქიფანიძემ მთელი შეხვედრა თითქმის უშეცდომოდ იმსაჯა. ყველაზე დიდ შეცდომად შეიძლება 89-ე წუთზე ილურიძის დანდობა ჩაითვალოს, როდესაც სტუდენტმა მეკარესთან ფაქტობრივად პირისპირ გასული მეტოქე ხელით შეაჩერა, მაგრამ არბიტრი ისედაც დაძაბული სიტუაციის გამწვავებას მოერიდა და ილურიძეს გაფრთხილება აკმარა.

შეხვედრა დაიწყო თუ არა, თსუ-მ საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ ბახტაძეს სუსტი თავური ჭურაძემ იოლად აუღო. ათიოდე წუთის შემდეგ მაღრაძემ იაქტიურა, ორი მოწინააღმდეგე ჩამოიცილა და კარში დაარტყა, მაგრამ ბურთი ისევ ჭურაძის ლუკმა გახდა. მალე წიტაიშვილს მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ მაისურაძემ დაასწრო და მდგომარეობა განმუხტა. 27-ე წუთზე ვეტერინარები გადარჩნენ, ბახტაძემ საჯარიმოში მეტოქე მოატყუა და ძლიერად დაარტყა, ბურთი მცველს მოხვდა და ისევ ბახტაძეს მიუვიდა, რომლის ახლოდან დამატებულს მეკარე გადაელობა. ამის შემდეგ თამაში ოდნავ დაწყნარდა და გათანაბრდა. „ვიტ ჯორჯია" ბევრს კი ცდილობდა, მაგრამ სახიფათოდ თსუ-ს კარს მაინც ვერ უტევდა, მაზიაშვილისა და მაისურაძის შორიდან დარტყმულ ბურთებს კი ბათიაშვილი იოლად გაუმკლავდა. ტაიმის მიწურულს ჭურაძე გამოსვლაზე შეცდა, თუმცა წიტაიშვილის თავით დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

მეორე ტაიმი უფრო დაძაბული გამოდგა. სახიფათო მომენტების სიმცირის მიუხედავად, მატჩი მაინც საინტერესო იყო. 66-ე წუთზე „ვიტ ჯორჯიამ" სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა, მაგრამ არჩილ ბოკერიას პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა მაზიაშვილმა მომენტი დაკარგა, მას საბოლოოდ ბათიაშვილმა აჯობა. ათ წუთში ისევ ვეტერინარებს შეეძლოთ დაწინაურება, თუმცა კარის წინ მარტოდმარტო დარჩენილ ბოკერიას ბურთი ფეხებში აებლანდა და ასპროცენტიანი საგოლე შესაძლებლობაც დაიკარგა. ასეთი მომენტის გაცუდებამ ვიტელთა გულშემატკივრები შეაფიქრიანა — ფეხბურთის დაუწერელი კანონი არ ამოქმედდესო და მართლაც, მატჩის ბოლოს მათ გუნდს ლამის გაუტანეს. 85-ე წუთზე წიტაიშვილმა მცველის შეცდომით ვერ ისარგებლა, ძალიან კარგი მდგომარეობიდან ბურთი კარს ააცილა. ერთ წუთში დეკანოსიძემ ორჯერ დაარტყა, პირველად ჭურაძემ იხსნა კარი, დამატებული კი მცველს მოხვდა. 88-ე წუთზე კი სტუდენტებმა ისეთი მომენტი ვერ გამოიყენეს, უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა. მაღრაძის შორიდან დარტყმული ჭურაძემ გაჭირვებით მოიგერია, ბურთი კარის გასწვრივ გაგორდა, დასამატებლად ბახტაძე და წიტაიშვილი გაეშურნენ, მაგრამ ერთმანეთს ხელი შეუშალეს, საბოლოოდ წიტაიშვილმა ვარდნაში დაარტყა და კარს ააცილა. შეხვედრაც ფრედ 0:0 დასრულდა და „სტუმრად" გატანილი ორი გოლის წყალობით შემდეგ წრეში ვეტერინარები გავიდნენ.



ჯაბა მუჯირმა (შუაში) და ვეტერინართა დაცვამ კობა წიტაიშვილს და სტუდენტებს ბურთი არ გაატანინეს

ზუგდიდი
19 ნოემბერი
14 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 7 500)

**ოდიში 1:0 მერანი**

1:0 ტაბალუა (26)
ოდიში: ნაყოფია, ღურწკაია, ჯაბუა, კიპაროიძე, იოსავა, კ. კვეკვესკირი, ტაბალუა, კუტალია, მარკოზია, თოლორდავა, აფაქიძე (თოლორაია 83)
*სათადარიგონი:* გოგია, ცაცუა, ჯოჯუა, კაკულია
მერანი: ნაჭყეპია, ცქიფურიშვილი, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, გენაძე, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი, დავითაშვილი, ხუციშვილი, მესხი (ჭინჭარაული 90)
*სათადირიგონი:* ლომაია, ე. ალადაშვილი, დევიძე, ბაჯელიძე, ივანიშვილი.
გაფრთხილება: აფაქიძე (10), ხუციშვილი (10)
მსაჯები: თ. მაჭარაძე (ხონი), ა. ორდენიძე (ონი), ლ. რაზმაძე (გორი); ზ. დარჩია (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ვ. მელაშვილი

# ყველანი ქართველები ვართ

თენგიზ ძოჩუა ზუგდიდიდან

„მერანსა" და „ოდიშს" შორის პირველი სათასო შეხვედრის შემდეგ ცოტას თუ სჯეროდა, რომ ზუგდიდელები მომდევნო ეტაპზე გავიდოდნენ, მაგრამ მადა ჭამაში მოდისო და სამი დღის წინ ბათუმელთა ძლევის შემყურე გულშემატკივართა ნაწილს იმედი მიეცა, იქნებ გაზაფხულზე თბილისელთა ნაცვლად „ოდიში" ვიხილოთ მეოთხედფინალშიო.

დასავლეთში რამდენიმედღიანმა წვიმამ თამაშს დაღი დაასვა. ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის ისედაც უხარისხო ბალახის საფარი მთლად ატალახებულიყო და ყოჩაღად ბურთაობა კი არა, ხეირიანი სიარულიც ჭირდა.

მატჩის დაწყებისთანავე გამოჩნდა, რომ მიუხედავად დამთრგუნველი ანგარიშისა, ზუგდიდელები საბრძოლო განწყობილებით იყვნენ გასული, აკი პირველივე წუთებიდან შეეცადნენ გოლის გატანას და ინიციატივა ხელთ იგდეს. თამაში ფაქტობრივად, ცალ კარში მიმდინარეობდა, თუმცა აშკარა საგოლე მომენტის შექმნა ოდიშარებმა მაინც ვერ მოახერხეს. მერანელთა ტაქტიკაც მალე გამოიკვეთა. მათ ძირითადად დაცვითი თამაში ირჩიეს და კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, მაგრამ მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ვერც სტუმრებმა შეძლეს რაიმე ღირებულის შექმნა.

26-ე წუთზე ჯაბუამ მარცხენა ფლანგიდან ჯარიმა ჩამოაწოდა. სტუმართა კარის დარაჯი ნაჭყეპია გამოსვლაზე შეცდა. ამით ტაბალუამ ისარგებლა და ბურთი თავით ცხრიანში გაგზავნა.

მასპინძლებს გოლის შემდეგ თითქოს უფრო უნდა გაემწვავებინათ თამაში, მაგრამ პირიქით მოხდა. თითქოს ამას ელოდაო, „მერანმა" შეტევებს უმატა. განსაკუთრებით დავითაშვილი გამოირჩეოდა. მარცხენა ფლანგიდან მისი გარღვევების შემდეგ ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ პარტნიორები სცოდავდნენ.

მეორე ნახევარიც პირველის მსგავსად დაიწყო, მაგრამ აქ სტუმრებმა უფრო მალე მოძებნეს ზუგდიდელთა ნახევარდაცვაში სუსტი რგოლი და თამაშის სასწორიც ტრანსპორტელებისკენ გადაიხარა.

ქორიძემ კვეკვესკირის შეცდომით ვერ ისარგებლა, საჯარიმოში სახიფათოდ შესულმა ცუდად ითამაშა და ბურთი პირითი ხაზის იქით გაექცა.

აი, მე-60 წუთზე კი „ოდიში" ნაღდად გადარჩა. სტუმრებმა საჯარიმოს შიგნიდან სამჯერ დაარტყეს კარში, მაგრამ ამაოდ, ხოლო 5 მეტრიდან ისევ ქორიძის დარტყმული ბურთი ნაყოფიამ დიდი გაჭირვებით გადააგდო კუთხურზე.

თავის მხრივ, მასპინძლებმაც ორი საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან. ორჯერვე თოლორდავა ურტყამდა, მაგრამ ჯერ მცირედით აცდინა, ხოლო მეორე სახიფათო გასროლილს მცველი გადაეღობა და ბურთმა ხარიხას გადაუქროლა.

ეს იყო და ეს, „მერანმა" დამსახურებულად მოიპოვა მეოთხედფინალის საგზური.

ერთადერთი, რამაც გაგვახარა, ის იყო, რომ ორივე გუნდი მონდომებით ირჯებოდა მოედანზე, რაც ჩვენს ჩემპიონატში არცთუ ხშირია, მაგრამ ხანდახან ზედმეტი „მონდომებაც" დასაგმობია. ფეხბურთელებიც და მსაჯებმაც უნდა გაითავისონ, რომ ფეხბურთი პროფესიონალთა თამაშია. ისინი მეტი პატივისცემით უნდა მოექცნენ ერთმანეთს. სხვა თუ არაფერი, ქართველები ისედაც ცოტანი ვართ და ერთმანეთი არ უნდა დავხოცოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სტანდარტ(ულ)ები

ესტონელებთან მატჩში ბევრი რამ იყო დასამახსოვრებელი — კარგიც და ზადიანიც, მაგრამ ერთი რამ მაინც არ შორდება თვალს: ქართველმა ფეხბურთელებმა არ, ან თითქმის არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ სტანდარტული სიტუაციების დროს და მათი უსუსურობა განსაკუთრებით საჯარიმო დარტყმების დროს ვლინდებოდა.

დავიწყოთ კუთხურებით. ახლა რომ მოვყვეთ იმაზე ლაპარაკს, რომ ერთ დროს ჩვენმა ფეხბურთელებმაც იცოდნენ კუთხურების ჩაწოდება, რომ დათუნაშვილი ახვევდა კიდეც და ახლა, რადგანაც ქვეყანას უჭირს, კუთხურების ჩამოწოდებაც არნახულად გაჭირდა, არ ვიქნებით მართალი ხალხი. კუთხურის ჩამოწოდება ის სფეროა, სადაც ველოსიპედი უკვე გამოიგონეს და თუკი კაცმა მოინდომა, კუთხურითაც შეიძლება მატჩის მოგება (ისევე, როგორც ლატვიის ნაკრებმა მოიგო მავანთან).

კლასიკური კუთხურის ჩამოწოდებისას ჩამომწოდებელი ბურთს აბზრიალებს ხოლმე და მერე საჯარიმოში ფორვარდი იბრძვის. გვახსოვს, 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანის დასაწყისის „დინამოში" როგორ გაჰქონდა კუთხურიდან მოწოდებული ბურთი რამაზ შენგელიას. იგი მყისიერად წინ გაიჭრებოდა და მოკლედ მოწოდებულს თავს ან ფეხს იმგვარად შეაგებებდა, მეტოქის მეკარე უმეტესად პირღია რჩებოდა. იმ კუთხურებს გუცაევი აწოდებდა. ერთი სიტყვით, გუცაევ-შენგელიას დუეტს შეეძლო და დამუშავებული ჰქონდა კუთხურის კომბინაცია. შენგელია რომ კალოევი ყოფილიყო, მაშინ იგი ადგილიდან ნახტომშიც მშვენივრად ითამაშებდა თავით და წინ გავარდნა არ დასჭირდებოდა. ასეთი კომბინაცია კი იმიტომ „მოიგონა" „დინამომ", რომ მისი მთავარი მეგოლე რამაზ შენგელია საშუალო სიმაღლის თავდამსხმელი გახლდათ, არც ნახტომი ჰქონდა შავლაყაძისეული და უნდოდა-არ უნდოდა, მეურვეს უნდა გასხლტომოდა. სხვანაირად გუცაევის (ან სხვის) მიწოდებულ კუთხურს შენგელია ვერ შესწვდებოდა. არ ვიცით,



ბადრი კოთილაძის ფოტო

დავით მუჯირმა (№20) „ბაიერი" თბილისში საფირმო საჯარიმოთი დააშამათა

ვის ეკუთვნოდა მსგავსი კუთხურის გამოგონების „პატენტი", მაგრამ ბურიაკ-შენგელიას დუეტიც ასე იქცეოდა სსრკ ნაკრებში. ერთი სიტყვით, ვისაც უნდა გამოეგონა კუთხურის ასეთი სახით გათამაშება, მთავარი იყო ის, რომ ნაკრებშიც და გუნდშიც გუცაევიც და ბურიაკიც ელემენტარულად „მოარგეს" რამაზ შენგელიას.

ამჟამინდელ ეროვნულ ნაკრებში კი კუთხური ველარ კუთხურობს. არც მომწოდებლები წყვეტენ ვარსკვლავებს და ფორვადებსაც თავით თამაში რახანია, უჭირთ. იყო დრო, ცხადაძე-შელიას ნახტომზე კეთდებოდა აქცენტი, ერთხელ შეაგდო კიდეც თავით კახა ცხადაძემ (პოლონეთთან), მაგრამ ეს იყო და ეს.

ერთგვარი, ახლებური სახის კუთხური გვიჩვენა ჩვენმა ნაკრებმა საბერძნეთთან თამაშის დროს. ეს მარტივი კომბინაციაა — ალამთან ორი ფეხბურთელი ათამაშებს კუთხურს, ერთი უგორებს მეორეს, რომელიც პირველს უჩერებს და პირველიც საჯარიმოში აწვდის. ამგვარად გათამაშებული კუთხურის პლიუსი არის ის, რომ მომწოდებელი გუნდი ბურთს აწვდის არა პირითი ხაზიდან, არამედ ორიოდე მეტრით მინდვრის სიღრმიდან (ესეც გარკვეული უპირატესობაა, რა თქმა უნდა).

ეს იყო და ეს, სხვა სახის და უფრო სახიფათოდ მოწოდებული კუთხური ჩვენი ნაკრების შესრულებით არ გვინახავს.

კუთხური რომ კარგად მოაწოდო, ამას მწვრთნელის ჩიჩინი და დავიდარაბა არ უნდა. ამ სფეროში მწვრთნელის წაქეზებას მუდმივი ვარჯიში სჯობს და ვარჯიშით რომ ჩვენს პირობებშიც შეიძლება ნორმალური კუთხურის მოწოდება, ამას თსუ-ს მაგალითიც ამტკიცებს (ვისაც არ სჯერა, ჩემპიონატის მატჩები იხილოს სტუდენტების მონაწილეობით).

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ კუთხურის მოწოდებას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება. ბურთი იმ ზომამდე უნდა დატრიალდეს, რომ მეკარეს დაჭერა გაუძნელდეს. როგორ გგონიათ, ინგლისის პრემიერლიგაში (ქვედა ლიგებშიც) თავით რომ გადის გოლები, მხოლოდ იმის ბრალია, რომ ინგლისელები ტრადიციულად ძლიერად თამაშობენ თავით? ზოგი ზოიძესაც ჰკითხეთ, ქართველ მეკართა ამ თაობიდან მხოლოდ მას მოუხდა „ინგლისურ" ბურთებთან ურთიერთობა. ზოიძეს კი არა, ამ საქმეში ჭიპმოჭრილ მეკარეებსაც უჭირთ ბრიტანელ მობურთალთა მიერ ოსტატურად დატრიალებულ ბურთებზე გამოსვლა. სწორედ კარგად ჩამოწოდებული ბურთების გამოა, იშვიათად რომ გამოდიან პრემიერლიგურ მატჩებში მეკარეები კარიდან.

ახლა ჯარიმებზეც. 18 ნოემბერს ორი თუ სამი ჯარიმა დაინიშნა ესტონელთა კარის მიმართულებით და არც ერთხელ ოდნავი ხიფათიც არ შექმნილა მეტოქის კართან. არადა, მანძილი სწორედ რომ სასურველი იყო.

კვლავ ახლო წარსულს გადავწვდეთ. ცნობილია, 1981 წლის მერე თუ რა დონეზე დაძაბუნდა თბილისის „დინამო" და მაშინაც კი იყო გუნდში თუნდაც ერთი ნომინალური ჯარიმის დამრტყმელი. საერთოდ, როცა ჯარიმის შესრულებაზე ვსაუბრობთ, კედლის ოსტატურად „მოტეხვას" ვგულისხმობთ. კედელი რომ „მოტეხოს" ფეხბურთელმა, ან ბურთი უნდა გადაავლოს ოსტატურად, ანაც რომელიმე სწრაფმა ფეხბურთელმა უკან უნდა მოიტოვოს კედელი და ზუსტი პასი გოლად აქციოს (დაახლოებით ისე, როგორც ყიფიანი და გუცაევი ათამაშებდნენ ხოლმე ჯარიმას).

ესტონელებთან მატჩისას, ბალაშვილმა შეასრულა საჯარიმო, საიდანაც გელა კეტაშვილი ათიდან შვიდს გაიტანდა. გახსოვთ, ალბათ, როგორ „ჭრიდა" კეტაშვილი დარტყმულს მეტოქეთა საჯარიმოს მარცხენა წვეროდან (ან მისი მიმდებარე არედან).

დიახ, ადრე ხდებოდა მსგავსი რამ, ახლა კი აღარ და სამწუხაროა, რომ მაჩაიძის, ქორიძის, ჩივაძის, ცაავას, იგივე კეტაშვილის საჯარიმოების მერე საქართველოს ეროვნული ნაკრები თითქმის ვერ ურტყამს ჯარიმებს.

თანამედროვე ფეხბურთში ასე არ უნდა იყოს. თანამედროვე ფეხბურთში „რეალს" იერო ჰყავს, „სელტას" მოსტოვოი, „მილანს" ალბერტინი, „სპარტაკს" ციმბალარი (ტიხონოვიც), „დორტმუნდს" ჰესლერი და ამ ფეხბურთელებს სხვა ბევრი ღირსების გარდა ერთიც აქვთ (უმთავრესი) — ისინი ჯარიმებს ასრულებენ დიდებულად (თქვენ წარმოიდგინეთ, სამტრედიის „იბერიასაც" ჰყავს „თავისი ჰესლერი" — შოთა ჩომახიძე). აი, საქართველოს ნაკრებში კი ვერ ურტყამენ ჯარიმებს (სხვა საქმეა, რომ საერთოდ ვერ ურტყამენ კარში).

გახსოვთ პლატინი? იგი მთელი თავისი კარიერის მანძილზე, ყოველი ვარჯიშის მერე საათი — საათნახევარი ოსტატდებოდა ჯარიმებში. კედლის მაგიერ ფანერის 182 სმ სიმაღლის მანეკენები „ეყენა", კარებში მეგობარი მეკარე ედგა და ურტყამდა და ურტყამდა ჯარიმებს. ასე მოდის დონე, ასე მოდის ოსტატობა და შედეგიც ასე მოდის.

ჩვენს ფეხბურთელებს პლატინის მაგალითი აღარ ახსოვთ, ისინი აკეთებენ იმას, რასაც მწვრთნელები სთხოვენ და თავად აღარ მუშაობენ სრულყოფაზე. ეტყობა კიდეც ჩვენს ნაკრებს.

ახლა მარტო გუნდური ვარჯიშებით (თუნდაც ორჯერადით), ანაც სანაკრებო შეკრებებით ბევრს ვერას მოიგებს ფეხბურთელი. საკუთარ თავზე ინდივიდუალურად მუშაობაა საჭირო. სხვანაირად კარგა ხანს მოხვდება კედელს ჩვენი ფეხბურთელების მიერ დარტყმული საჯარიმოები.

აფსუსი არ არის, საერთაშორისო დონეზე ქართველების მიერ კუთხურიდან და საჯარიმოდან გატანილი გოლი არ გვახსენდება. ერთხელ მუჯირმა გაიტანა „ბაიერთან". ეს იყო და ეს.

ამას უნდა მიხედვა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# 12-13 ტური

# მეორე ჯგუფი

## დასავლეთი, „ა" ქვეჯგუფი

XII ტური

10 ნოემბერი

**ტორპედო 2 1:3 სულორი**

1:0 ბობოხიძე (10); 1:1, 1:2 ორმოცაძე (55, 67), 1:3 ბრეგვაძე (86)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

**გაგრა 5:2 რაჭა**

1:0 მანაგაძე (10), 2:0, 3:0 ქაშიბაძე (28, 43), 4:0 ჩხეტიანი (53), 5:0 მანაგაძე (61), 5:1, 5:2 შარაშიძე (65, 88)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

**მეშახტე 5:2 ოკეანე**

1:0 კანკია (15), 2:0 ავალიშვილი (25), 2:1 ბზიკაძე (55), 3:1 კირკიტაძე (60), 4:1 ავალიშვილი (75), 5:1 კალანდაძე (85), 5:2 ხელაძე (89)
მსაჯი: ც. ადეიშვილი (ზესტაფონი)

**მარგვეთი 7:1 სამგურალი 2**

1:0 გაბუნია (35), 2:0 გოგაძე (37), 3:0 კაკაბაძე (41პ), 4:0 ქურციკიძე (50), 5:0 გოგაძე (61), 6:0 ქურციკიძე (67), 6:1 ქუთათელაძე (84), 7:1 ქურციკიძე (86)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**მაღაროელი 0:3 რიონი**

0:1 გედენიძე (17), 0:2 ბანძელაძე (43), 0:3 ლომინაშვილი (60)
მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

**საირმე 3:0 ჩიხურა**

1:0 რობაქიძე (15პ), 2:0 გოცირიძე (30), 3:0 გურგენიძე (41)
გაფრთხილება: კუპრაშვილი (ჩიხურა), გოცირიძე (საირმე)
მსაჯი: ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)

XIII ტური

14 ნოემბერი

**რიონი 0:2 მარგვეთი**

0:1 გაბრიჭიძე (49), 0:2 ქურციკიძე (90)
გაფრთხილება: ბანძელაძე, თოდაძე, გედენიძე, სოფრომაძე (ყველა რიონი), სულაკაძე, მალალურაძე, გაბუნია (ყველა მარგვეთი)
მსაჯი: ა. სამხარაძე (სოხუმი)

**იბერია 2 0:2 გაგრა**

0:1 მანაგაძე (23), 0:2 ხურცილავა (43)
მსაჯი: ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)

**რაჭა 2:1 ტორპედო 2**

0:1 კვერნაძე (15), 1:1 კიკვაძე (82), 2:1 ჯმუხაძე (88)
გაფრთხილება: ფუტკარაძე, მუშკუდიანი (ორივე ტორპედო 2)
მსაჯი: ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)

**სულორი 3:0 საირმე**

*„საირმე" არ გამოცხადდა*

15 ნოემბერი

**ჩიხურა 3:3 მაღაროელი**

1:0 აბულაძე (7), 2:0, 3:0 კერესელიძე (18, 37), 3:1 ი. ხვედელიძე (52), 3:2 ასათიანი (57), 3:3 ა. ხვედელიძე (80ს.კ.)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**სამგურალი 2 1:1 მეშახტე**

0:1 სახელაშვილი (42), 1:1 კოპალიანი (62)
გაფრთხილება: კალატოზი, ლომიძე, სახელაშვილი (ყველა მეშახტე)
გაძევება: თორთლაძე (74, მეშახტე)
მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 12 | 11 | 1 | 0 | 34:9 | 34 |
| მარგვეთი | 12 | 10 | 2 | 0 | 43:15 | 32 |
| მეშახტე | 12 | 9 | 1 | 2 | 28:13 | 28 |
| გაგრა | 12 | 9 | 0 | 3 | 26:12 | 24 |
| სამგურალი 2 | 12 | 7 | 2 | 3 | 25:20 | 23 |
| ოკეანე | 12 | 6 | 1 | 5 | 14:20 | 19 |
| რიონი | 12 | 4 | 1 | 7 | 17:17 | 13 |
| რაჭა | 12 | 4 | 0 | 8 | 20:26 | 12 |
| ტორპედო 2 | 12 | 3 | 1 | 8 | 13:21 | 10 |
| საირმე | 12 | 3 | 1 | 8 | 7:21 | 7 |
| ჩიხურა | 12 | 2 | 2 | 8 | 15:32 | 5 |
| იბერია 2 | 12 | 1 | 1 | 10 | 10:28 | 4 |
| მაღაროელი | 12 | 1 | 3 | 8 | 18:36 | 3 |

*„გაგრას", „საირმეს", „მაღაროელს" და „ჩიხურას" დაკლებული აქვთ 3-3 ქულა*

## დასავლეთი, „ბ" ქვეჯგუფი

XII ტური

10 ნოემბერი

**სამეგრელო 1:0 ეგრისი**

1:0 ბენდელიანი (85)
მსაჯი: ა. სამხარაძე (სოხუმი)

**ენგური 0:2 შუქურა**

0:1 ჯიჯავაძე (74), 0:2 ბაჟენაიშვილი (80)
გაფრთხილება: საჯაია (ენგური)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სქური 4:3 კოლხეთი 2**

0:1 ყურაშვილი (17), 1:1 ქორთუა (30), 2:1 კვარაცხელია (37), 2:2 დ. თედეევი (46), 3:2 ჩხეტია (53), 4:2 კვირკვია (69), 4:3 ჭანტურია (85)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

**ფაზისი 3:0 სალხინო**

*„სალხინო" არ გამოცხადდა*

**მერცხალი 3:0 ოდიში 2**

1:0 მჟავანაძე (55), 2:0 შათირიშვილი (79), 3:0 ტულუში (86)
მსაჯი: ს. შალამბერიძე (თბილისი)

**კოლხეთი — კოლეჯი**

*გაიმართება 23 ნოემბერს*

XIII ტური

14 ნოემბერი

**ბახმარო 0:2 კოლხეთი**

0:1 ზურაბ აიანადი (25), 0:2 ჭიჭინაძე (73)
გაფრთხილება: მრელაშვილი, გეფერიძე (ორივე ბახმარო), ზურაბ აიანადი, ზაზა აიანადი (ორივე კოლხეთი)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**კოლეჯი 2:1 მერცხალი**

1:0 კობიძე (39), 1:1 თორია (48), 2:1 კობიძე (58)
გაფრთხილება: ქაცარავა, გორჯლაძე (ორივე კოლეჯი), შათირიშვილი, ტულუში (ორივე მერცხალი)
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**ოდიში 2 1:3 ფაზისი**

0:1 კრავეიშვილი (27), 0:2 მაღლაკელიძე (30), 0:3 კრავეიშვილი (56), 1:3 ლიპარტია (81)
გაფრთხილება: ცაცუა (ოდიში 2), თოფურია (ფაზისი)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

**შუქურა 3:1 სამეგრელო**

1:0, 2:0 ჯიჯავაძე (32, 41), 3:0 ჩელებაძე (53), 3:1 ბელქანია (78)
მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

**სალხინო 5:7 სქური**

0:1 ჩხეტია (4), 0:2 ქორთუა (6), 1:2 გვილავა (19), 2:2 დარჯანია (24), 2:3 კვარაცხელია (27), 2:4 ჯღარკავა (32), 2:5, 2:6 ლვინჯილია (35, 39), 3:6 ძაგანია (50), 4:6 ოდიშარია (70), 4:7 კვირკვია (86), 5:7 ლაგვილავა (89)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

**კოლხეთი 2 2:4 ენგური**

0:1 შონია (13), 0:2 ჩიქობავა (22), 1:2 ბურჭულაძე (56), 1:3 ჯურხაძე (58), 2:3 ყურაშვილი (80), 2:4 ალმასია (88)
გაფრთხილება: ბურჭულაძე, ყურაშვილი (კოლხეთი 2), ბუკია (ენგური)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი | 11 | 9 | 1 | 1 | 36:6 | 28 |
| სქური | 12 | 8 | 1 | 3 | 34:23 | 25 |
| მერცხალი | 12 | 7 | 1 | 4 | 23:14 | 22 |
| ფაზისი | 12 | 7 | 1 | 4 | 19:10 | 22 |
| შუქურა | 12 | 7 | 1 | 4 | 23:19 | 22 |
| ენგური | 12 | 6 | 3 | 3 | 25:19 | 21 |
| კოლეჯი | 11 | 6 | 2 | 3 | 15:10 | 20 |
| სამეგრელო | 12 | 4 | 3 | 5 | 16:16 | 15 |
| ეგრისი | 12 | 3 | 4 | 5 | 16:20 | 13 |
| ბახმარო | 12 | 3 | 2 | 7 | 10:23 | 11 |
| ოდიში 2 | 12 | 2 | 4 | 6 | 13:22 | 10 |
| სალხინო | 12 | 2 | 0 | 10 | 19:43 | 6 |
| კოლხეთი 2 | 12 | 1 | 1 | 10 | 10:34 | 4 |

## ცენტრი

XII ტური

10 ნოემბერი

**ცხინვალი 1:0 დინამო 2**

1:0 მოსიაშვილი (68)
მაისურაძემ ვერ გაიტანა პენალტი (58, ცხინვალი)
გაფრთხილება: მაისურაძე, ეჯოშვილი (ორივე ცხინვალი)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

**ქარელი 3:0 განთიადი**

1:0 მინაძე (7), 2:0 მწყერაშვილი (58), 3:0 ნოზაძე (80)
გაფრთხილება: მიდელაშვილი, დ. იობაშვილი (ქარელი), ჯალალი, გაბიდაური (განთიადი)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**იბერია 12:2 ჟინერი**

0:1 ტაბატაძე (7), 1:1 ჭანტურია (17), 2:1 ბარათაშვილი (21), 2:2 ტაბატაძე (23), 3:2 რატიანი (35), 4:2 ბარათაშვილი (39), 5:2 ნინიაშვილი (44), 6:2 კასრაძე (48), 7:2 მარტიროსიანი (65), 8:2, 9:2 კასრაძე (67, 78), 10:2 ჭანტურია (82), 11:2 ბიძინაშვილი (85), 12:2 გიორგობიანი (88)
გაფრთხილება: მარტიროსიანი (იბერია), ახუხბაია (ჟინერი)
მსაჯი: ა. ორდენიძე

**მესხეთი 1:1 ცხუმი**

1:0 წიქარიშვილი (18), 1:1 არეშიძე (24)
გაფრთხილება: ცაავა, ბოჯგუა (ორივე ცხუმი)
მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

11 ნოემბერი

**ივერია 3:0 საუ**

*„საუ" არ გამოცხადდა*

12 ნოემბერი

**ლოკომოტივი 2 3:1 თორი**

1:0 გილაური (19), 1:1 ტეტუნაშვილი (22), 2:1 მორჩილაძე (36), 3:1 ბოლქვაძე (50)
გაფრთხილება: პოდრუჩნი (თორი)
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**დილა 2 3:0 ვარძია**

*„ვარძია" არ გამოცხადდა*

XIII ტური

16 ნოემბერი

**საუ 2:1 იბერია**

1:0 მაისურაძე (62), 2:0 მესხი (73), 2:1 ტარულიშვილი (90)
გაფრთხილება: უზნაძე (საუ), ხიდაშელი (იბერია)
გაძევება: ხიდაშელი (70, იბერია)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**განთიადი 1:3 ცხინვალი**

0:1 ტილკავაშვილი (3), 1:1 ნაროზაშვილი (34), 1:2 ეჯოშვილი (52), 1:3 ტილკავაშვილი (58)
გაფრთხილება: ხაჩირაშვილი (განთიადი), ყაჩლავაშვილი, ცხადაძე (ორივე ცხინვალი)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**თორი 0:1 ქარელი**

0:1 მიდელაშვილი (60)
გაფრთხილება ლომიძე (თორი), ელიკაშვილი, ხახიშვილი, მიდელაშვილი, მინაძე (ყველა ქარელი)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**დინამო 2 3:1 დილა 2**

0:1 გოგინაშვილი (9), 1:1 გველესიანი (23), 2:1 მიქაძე (53), 3:1 გაგუა (64)
გაფრთხილება მიქაძე, ტყებუჩავა (ორივე დინამო 2), საყვარელიძე, ქადაგაძე (ორივე დილა 2)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**ვარძია 1:1 მესხეთი**

1:0 მოდებაძე (37), 1:1 გოგოლაძე (80)
გაფრთხილება თარხნიშვილი (ვარძია), მაისურაძე, ბერძენიშვილი (ორივე მესხეთი)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ჟინერი 1:10 ლოკომოტივი 2**

**ცხუმი 2:3 ივერია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 13 | 11 | 0 | 2 | 34:12 | 33 |
| ცხინვალი | 13 | 10 | 1 | 2 | 38:10 | 28 |
| ლოკომოტივი 2 | 13 | 9 | 1 | 3 | 38:17 | 28 |
| ქარელი | 13 | 9 | 1 | 3 | 25:9 | 28 |
| ივერია | 13 | 8 | 3 | 2 | 35:15 | 27 |
| განთიადი | 13 | 6 | 3 | 4 | 21:21 | 21 |
| ცხუმი | 13 | 5 | 2 | 6 | 27:21 | 17 |
| იბერია | 13 | 5 | 1 | 7 | 31:30 | 16 |
| საუ | 13 | 4 | 3 | 6 | 19:23 | 15 |
| მესხეთი | 13 | 4 | 3 | 6 | 22:28 | 15 |
| თორი | 13 | 4 | 1 | 8 | 17:23 | 13 |
| დილა 2 | 13 | 2 | 2 | 9 | 21:34 | 8 |
| ჟინერი | 13 | 1 | 2 | 10 | 18:73 | 5 |
| ვარძია | 13 | 0 | 3 | 10 | 9:39 | 3 |

*„ცხინვალს" დაკლებული აქვს 3 ქულა.*

## აღმოსავლეთი

XII ტური

10 ნოემბერი

**მრეტები 0:1 ჭაბუკიანი**

0:1 გიგუაშვილი (24)
გაფრთხილება: შეყილაძე (ჭაბუკიანი)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

**სამგორი 2:2 ქანაგკო**

1:0 კირვალიძე (3), 2:0 კიკნაველიძე (25), 2:1 მელაშვილი (31), 2:2 ხუცურაული (44)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

**არსენალი 2 0:2 ღარწყალი**

0:1, 0:2 ტოკლიკიშვილი (5, 55)
გაფრთხილება: რობაქიძე (არსენალი 2), ტოკლიკიშვილი (ღარწყალი)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

**ყვარელი 1:0 ხალიბი**

1:0 ღვინიაშვილი (65)
გაფრთხილება: ლობჟანიძე, ქარენაშვილი (ყვარელი), ჩოხელი, თაბუკაშვილი (ხალიბი)
მსაჯი: დ. თოდუა (მარტვილი)

11 ნოემბერი

**აკადემია 4:0 ზოოვეტი**

1:0 მეტრეველი (50), 2:0 კოჩაძე (60), 3:0 მეტრეველი (76), 4:0 ჯუღელი (88)
გაძევება: ალავიძე (20), ურუშაძე (41) (ორივე ზოოვეტი)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**დინამო 3 2:1 ალაზანი**

0:1 ოყროშიძე (30), 1:1, 2:1 ახალაია (87, 88)
გაფრთხილება: ალახვერდოვი (დინამო 3), კუპრაშვილი (ალაზანი)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

12 ნოემბერი

**უნივერსიტეტი იბერია 0:2 ალგეთი**

0:1 ბარამიძე (7), 0:2 დათუაშვილი (60)
გაფრთხილება: აჭარაძე (იბერია), ტოროშელიძე (ალგეთი)
გაძევება: ისიანი (ალგეთი, 87)
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

XIII ტური

16 ნოემბერი

**კახეთი 2:1 მრეტები**

0:1 ამაშუკელი (40), 1:1 ჭვრიტიძე (41), 2:1 კობაიძე (47)
გაფრთხილება: მორბელიძე (კახეთი), ჩარკვიანი, ჭაჭია (ორივე მრეტები)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

**ჭაბუკიანი 2:0 სამგორი**

1:0 მჭედლიშვილი (40), 2:0 მერებაშვილი (65)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

**ქანაგკო 0:4 აკადემია**

0:1 ბახტაძე (65), 0:2 ხაბულიანი (67), 0:3 გოგრიჭიანი (84), 0:4 ვაშაკიძე (88)
გაფრთხილება: ხვთისავრიშვილი, მელიაშვილი (ორივე ქანაგკო), გოგრიჭიანი (აკადემია)
გაძევება: ცაგარეიშვილი (62, ქანაგკო)
მსაჯი: დ. თოდუა (თბილისი)

**ზოოვეტი 2:1 არსენალი 2**

1:0 გუგუშვილი (11), 1:1 კაპანაძე (30), 2:1 მახარობლიშვილი (54)
გაფრთხილება: დარჩიაშვილი (ზოოვეტი), ბერიანიძე (არსენალი 2)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

**ღარწყალი 1:1 ყვარელი**

1:0 ომანიშვილი (58), 1:1 წიწრიაშვილი (88)
გაფრთხილება: მიქაბერიძე, სომხიშვილი (ორივე ყვარელი)
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

**ხალიბი 2:0 უნივერსიტეტი იბერია**

17 ნოემბერი

**ალგეთი 2:3 დინამო 3**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 12 | 10 | 1 | 1 | 30:5 | 31 |
| ღარწყალი | 12 | 8 | 4 | 0 | 26:9 | 28 |
| ყვარელი | 11 | 8 | 3 | 0 | 22:6 | 27 |
| ხალიბი | 12 | 8 | 0 | 4 | 21:13 | 24 |
| არსენალი 2 | 12 | 6 | 2 | 4 | 19:12 | 20 |
| ზოოვეტი | 12 | 6 | 2 | 4 | 28:22 | 20 |
| ჭაბუკიანი | 12 | 7 | 1 | 4 | 21:14 | 19 |
| დინამო 3 | 11 | 6 | 1 | 4 | 14:17 | 19 |
| კახეთი | 12 | 5 | 3 | 4 | 18:16 | 18 |
| ალგეთი | 13 | 6 | 0 | 7 | 21:20 | 18 |
| უნივერსიტეტი იბერია | 12 | 3 | 3 | 6 | 13:17 | 12 |
| სამგორი | 12 | 1 | 3 | 8 | 13:25 | 6 |
| მრეტები | 13 | 1 | 1 | 11 | 12:31 | 4 |
| ალაზანი | 12 | 1 | 0 | 11 | 11:37 | 3 |
| ქანაგკო | 12 | 1 | 2 | 9 | 10:35 | 2 |

*„ჭაბუკიანს" და „ქანაგკოს" დაკლებული აქვთ 3-3 ქულა*

# ექსპერიმენტთა დღე

## ამხანაგური მატჩები

**ბრაზილია 5:1 რუსეთი**

1:0 ელბერი (3), 2:0 ამოროზო (19), 3:0 რივალდო (44 პ), 4:0 მარკოს ასუნსაო (59), 4:1 კორნაუხოვი (66 პ), 5:1 ამოროზო (71)

ბრაზილია: როჟერიო კენი (ემერსონ ფერეირა 75), კაფუ (მარკოს ასუნსაო 39), ანტონიო კარლოსი, სეზარი, სერჟინიო, ფლავიო კონსეისაო, ვამპეტა (ნარსიზო 67), რივალდო, დენილსონი (ჯეკსონი 67), ამოროზო, ელბერი (კრისტიანი 75)

რუსეთი: ნოვოსადოვი (შიშკინი 60), მამედოვი, ნეკრასოვი, ვარლამოვი, სოლომატინი (კორნაუხოვი 32), იგონინი, სმერტინი (კონდრაშოვი 50), კორმილცევი, სემაკი, იესიპოვი (პანოვი 59), ფილიპენკოვი (ბულატოვი 46)

რუსები გაყინული მოსკოვიდან თბილ ფორტალეზაში 30 საათიანი მგზავრობის შემდეგ ჩავიდნენ. ჩავიდნენ მეორე შემადგენლობით, დროში განსხვავება 6 საათი



იტალია — ესპანეთი. სტუმართა მეორე ნომერმა მიჩელ სალგადომ უდავოდ ბრწყინვალედ ითამაშა

REUTERS სალერნოდან

იყო, ხოლო ტემპერატურაში მთელი 40 გრადუსი და თანაც ისინი მსოფლიოს უტიტულოვანეს ნაკრებს უნდა შეხვედროდნენ. მართალია, მასპინძლებსაც არ ჰყოლიათ უძლიერესი შემადგენლობა, მაგრამ რამდენიმე ვარსკვლავი, მათ შორის სამი — რივალდო, დენილსონი, კაფუ — მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი რუსებს მაინც დაუხვდა.

ის იყო არბიტრს მატჩის დაწყების ნიშანი უნდა მიეცა, სტადიონზე რომ ჩამობნელდა — ელექტროენერგია გამოირთო. ამ ხარვეზის გამოსწორებას მთელი ნახევარი საათი დასჭირდა და როგორც იქნა, შეხვედრაც დაიწყო.

ანგარიში უკვე მესამე წუთზე გაიხსნა — მიუნხენის „ბაიერნის" ერთ-ერთმა საუკეთესო მეგოლემ ჯოვანი ელბერმა ბრაზილიის ეროვნულ გუნდში ჩატარებულ მეექვსე მატჩში მეექვსე გოლი გაიტანა და ამით სტადიონზე შეკრებილ ტორსედორებს ამცნო, რუსებს შავ დღეს დავაყრითო. ასეც მოხდა.

ელბერის გატანილიდან 16 წუთში „უდინეზეს" ფორვარდმა ამოროზომ შეაგდო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ვამპეტამ ბურთი თავზე დაასვა. სხვათა შორის, ამოროზოსთვის, ვინც გუშინწინ მეორედ მოირგო ნაკრების ყვითელი მაისური, ეს გოლი სადებიუტო გამოდგა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა შემადგენლობაში.

ის იყო მსაჯს პირველი ტაიმი უნდა დაესრულებინა, რივალდო მეტოქის საჯარიმოში აკრძალული ილეთით რომ შეაჩერეს — თერთმეტმეტრიანი თავად დაზარალებულმა შეასრულა უნაკლოდ — 3:0.

მატჩის მეორე ნახევარიც ბრაზილიელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა. რუსები ტემპის დაგდებას ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. 59-ე წუთზე მსოფლიოს ჩემპიონის და ვიცე-ჩემპიონის კაფუს ნაცვლად შეცვლაზე შესულმა მარკოს ასუნსაომ საჯარიმო დარტყმა კარგად შეასრულა, მაგრამ ნოვოსადოვი რომ არ მდგარიყო კარში, ის გოლი ნაღდად არ გავიდოდა. რუსთა მეკარე პატარა ბავშვივით გაისარჯა და ბურთი ხელიდან გაუვარდა.

ამას ერთი საპასუხო, პრესტიჟის გოლი მოჰყვა. ასევე შეცვლაზე შესულმა კორნაუხოვმა ივარგა და პენალტი გოლად აქცია, თუმცა ეს ბოლო შემთხვევა როდი იყო, ბურთი ბადეში რომ აღმოჩნდა. ზუსტად ხუთ წუთში ამოროზომ ბრაზილიელთა მეხუთე ხოლო თავისი მეორე გოლი გაიტანა და რამდენიმე შეხვედრაში გამარჯვების უნახავი რუსები შინ, თოვლიან და გაჭირვებულ მოსკოვში კუდამოძუებულები გაუშვა.

**ინგლისი 2:0 ჩეხეთი**

1:0 ანდერტონი (22), 2:0 მერსონი (40)

ინგლისი: მარტინი, კიოუნი, კემპბელი, ბატი, ფერდინანდი, ლე სო, ბექემი, ანდერტონი, დაბლინი, რაიტი (ფაულერი 70), მერსონი (ჰენდრი 77)

ჩეხეთი: კოუბა, ლატალი (კოტულეკი 46), ვოტავა, ნოვოტნი (ვონაშეკი 46), რეპკა, ბერგერი, ნემეცი (ბარანეკი 46), პობორსკი, კუკა (სლონჩიკი 74), შმიცერი (ლოკვენცი 46), ბეიბლი

— დღეს კარგად ვითამაშეთ და მშვენიერ შედეგსაც მივაღწიეთ. ჩეხეთის ნაკრები ნამდვილად არ არის ხელწამოსაკრავი, ბოლოს და ბოლოს, ევროპის ვიცე-ჩემპიონია და ამიტომ ეს გამარჯვება მით უფრო დასაფასებელია, თანაც ახალი ფეხბურთელებიც გამოვცადე, რომელთა ასეთ მაღალ დონეზე თამაში პირადად ჩემთვის მოულოდნელი იყო.

მართალია გლენ ჰოდლი, ახალწვეულებს რომ აქებს. „ქოვენთრიდან" ახლახან პრემიერლიგის ლიდერ „ასტონ ვილაში" გადასული და ბოლო ორ ტურში ხუთი ბურთის გამტანი დიონ დაბლინი გვარიანად აწუხებდა ჩეხთა დაცვას. ისევე, როგორც ახალგაზრდა ლი ჰენდრი, რომელიც აქამდე ინგლისის 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების წევრი იყო. მან ღირსეულად შეცვალა ამ მატჩის მეორე გოლის გამტანი პოლ მერსონი.

ინგლისელთა გამარჯვება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ჩეხები გუშინწინდლამდე ჩატარებულ ათ მატჩში დაუმარცხებელნი იყვნენ. ბოლოს მათ ბრაზილიის ეროვნულ გუნდთან წააგეს, რის შემდეგაც ნაკრებს იოჟეფ ჩუვანეცი ჩაუდგა სათავეში (იანვარში) და ინგლისელებთან წაგებამდე ისინი წაუგებლად მიიყვანა.

ტაბლოზე ანგარიში პირველად 22-ე წუთზე შეიცვალა, როდესაც დაუბერებელი იან რაიტის აქტიურობის შემდეგ ბურთი დარენ ანდერტონმა მიიღო და დაახლოებით საჯარიმოს მისადგომებიდან ცაცია ისე დაჰკრა, სტუმართა მეკარემ, პეტერ კოუბამ ვერაფერი გააწყო.

„ვესტ ჰემის" შავკანიანმა ფორვარდმა მეორე გოლშიც დაიდო წილი და ერთ დროს ლონდონის „არსენალში" თანაკლუბელს, ყოფილ ნარკომანსა და ლოთს პოლ მერსონს გაატანინა. ეს ყველაფერი პირველ ტაიმში მოხდა, მეორეში კი მასპინძლები „უემბლიზე" შეკრებილი ფანების გულის გასახარად კვლავ სჯობდნენ მეტოქეს, მაგრამ გოლის გატანა ველარ მოახერხეს. არადა, ამის გაკეთება ლე სოს, ბექემს და ჰენდრის სულ თავისუფლად შეეძლოთ, უბრალოდ, იღბალმა ზურგი აქციათ. რაც შეეხებათ ჩეხებს, ისინი კი ცდილობდნენ რაიმე ღირებულის შექმნას, მაგრამ მთლიანობაში თავი ვერაფრით დაგვამახსოვრეს. ერთადერთი სახიფათო მომენტი ნაიჯელ მარტინის კართან მე-9 წუთზე შეიქმნა — პაველ კუკა იყო ახლოს მიზანთან.

**იტალია 2:2 ესპანეთი**

1:0 ინძაგი (14), 1:1 დე პედრო (33), 2:1 ინძაგი (74), 2:2 რაული (82პ)

იტალია: პერუცი, პანუჩი (ტორიჩელი 43), კანავარო, მალდინი, ფავალი (პესოტო 61), ფუზერი (ტომაზი 46), დინო ბაჯო (კიეზა 46), ალბერტინი (დი ბიაჯო 46), დი ფრანჩესკო, ინძაგი, ტოტი

ესპანეთი: კანისარესი (ხიმენესი 83), სალგადო, ხემესი, ელენა, სერხი, ხოსება ეჩებერია (გარსია 46), ენგონგა (ელგუერა 46), ალკისა (ვალერონი 46), დე პედრო (არანსაბალი 63), რაული, ურსაისი (სანჩესი 79)

სალერნოს სტადიონი „არჩი" იტალიის ჩემპიონატის ლიდერ „ფიორენტინასთვის" დამღუპველი აღმოჩნდა. სწორედ სალერნოში, შვეიცარიულ „გრასჰოპერთან" არდასრულებული შეხვედრის შემდეგ მოკვეთეს ფლორენციელები უეფას თასის გათამაშებიდან. ვილაცის ნასროლი ასაფეთქებელი ხელსაწყოს გამო „ფიორენტინა" მერვედფინალში ვერ გავიდა. მაშინ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, ესპანელებთან მატჩი სალერნოში გვაქვს დაგეგმილი, მაგრამ არაა გამორიცხული, სხვაგან გადავიტანოთო.

შეხვედრა მაინც სალერნოში შედგა. იტალიის და ესპანეთის რჩეულ ფეხბურთელთა დაპირისპირებას ამხანაგური შეხვედრის გარდა სხვა დატვირთვაც ჰქონდა — მატჩის მთელი შემოსავალი, წლის დასაწყისში სალერნოს ჩრდილოეთით მეწყერის შედეგად დაღუპული 150 ადამიანის ოჯახების დასახმარებლად გადაირიცხა. იტალიელებისგან განსხვავებით, ესპანელები შავი სამკლაურებით თამაშობდნენ — სამშაბათს ესპანეთის ჩრდილოეთით ავტოკატასტროფაში ცხრა ახალგაზრდა დაღუპულა. ერთი სიტყვით, შეხვედრა გარკვეულწილად საქველმოქმედოც გახლდათ.

საბოლოო ანგარიში — 2:2, ალბათ, მატჩისთვის ზედგამოჭრილი იყო — მართალია, მეორე ტაიმში მცირედი უპირატესობა ესპანელებს ჰქონდათ, მაგრამ იტალიელებიც ისე თამაშობდნენ, რომ მათი დამარცხება უსამართლობა იქნებოდა. სანახაობრივი მატჩი, ოთხი გოლი, კარგი მომენტები, დაძაბული ორთაბრძოლები — ასეთი გახლდათ იტალია-ესპანეთის დაპირისპირება. სხვათა შორის, გუნდები ახალი მწვრთნელების ხელმძღვანელობით მხოლოდ მესამე შეხვედრებს ატარებდნენ. წინა ორი მატჩი ორივემ მოიგო — დინო ძოფის „სკუადრა ატურამ" უელსი და შვეიცარია დაამარცხა ერთნაირი ანგარიშით — 2:0, ხოსე ანტონიო კამაჩოს ესპანეთმა კი ჯერ რუსეთს მოუგო 1:0, მერე კი ისრაელს სძლია 2:1. სალერნოს შემდეგ მეტოქენი კვლავ დაუმარცხებელნი დარჩნენ.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. მალე სანტიაგო კანისარესის სისხარტემ ესპანელები ფრანჩესკო ტოტის გოლისგან იხსნა. ორიოდ წუთში იმავე ტოტიმ უძლიერესი დარტყმით ძელი შეაზანზარა. ესპანელთა კართან დენთის სუნი იგრძნობოდა და მალე ტყვიაც გავარდა — ფილიპო ინძაგისთან ერთად თავდასხმაში გამწესებულმა ტოტიმ მახვილგონივრული პასი მიაწოდა პარტნიორს, რომელმაც თავის მხრივ ლამაზი გოლი გაიტანა. „სკუადრა ატურაში" მერვედ მოთამაშე ინძაგისთვის ეს ბურთი პირველი გამოდგა.

— მრცხვენია, პირველი გოლი ამხანაგურ თამაშში რომ გავიტანე და არა ოფიციალურში, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ძალიან მიხარია. მას დიდი ხანია, ველოდი — განუცხადა ინძაგიმ ჟურნალისტებს.

დაწინაურდა თუ არა იტალია, ესპანელთა შეტევები გაცილებით მძაფრი გახდა. ინძაგის გოლამდე იგრძნობოდა, რომ კანისარესის კარში ბურთი უნდა გასულიყო. სწორედ ისეთივე წინათგრძნობა იყო დე პედროს საპასუხო გოლამდეც. გათანაბრდა კიდეც ანგარიში — სალგადომ მარცხენა ფლანგზე ფაბიო კანავაროს აჯობა, ჩააწოდა, პერუციმ უმალ დატოვა კარი, იქით, მარჯვენა კუთხეში, უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა ფრანსისკო დე პედრომ კი თავური დარტყმით იტალიელებს გაუტანა.

რაც დინო ძოფი იტალიის ნაკრებს თავკაცობს, გუნდმა პირველი გოლი სწორედ დე პედროსგან გაუშვა. მანამდე „სკუადრა ატურას" კარის ბადე მხოლოდ ავსტრიელ ანდრეას ჰერცოგს შეერხია, ისიც პენალტით, მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩის ბოლო წუთებზე.

მეორე ტაიმში სიტუაცია პირველი ნახევრის ანალოგიურად წარიმართა — იტალიელებმა კარგად დაიწყეს, მერე ესპანელებმა იძალეს. 74-ე წუთზე ფილიპო ინძაგიმ მეორედ დააწინაურა იტალია — საჯარიმოში შეჭრილმა ტომაზიმ ბურთი ინძაგის მიაწოდა, მან კი ცრუმოძრაობით მეურვე ელენა ჩამოიშორა და კანისარესს მეორე გოლი გაუტანა. ესპანელებმა ანგარიში ახლა უფრო ნაკლებ დროში გაქვითეს — ფაბიო კანავაროს უხეშობა ანჯელო პერუცის კარში გატანილ მეორე გოლად იქცა. ორი გოლი იტალიის ნაკრებმა ბოლოს, საფრანგეთის ოთხთა ტურნირზე, ბრაზილიასთან გაუშვა.

შეხვედრის განხილვა აქვე შეიძლებოდა დაგვემთავრებინა, თუმცა...

პირველი — დინო ძოფმა აშკარა ექსპერიმენტებს მიმართა. მეორე ნახევარში „სკუადრა ატურამ" სამი თავდამსხმელით და სამი ნახევარმცველით ითამაშა, ასეთი ცვლილება კი იტალიელებს კარგა ხანია, არ მოუხდენიათ. გაამართლა თუ არა სამი ფორვარდით თამაშმა, ეს სხვა საქმეა. მთავარი ისაა, რომ ძოფის იტალიამ ჩეზარე მალდინის ტაქტიკაზე უარი თქვა.

მეორე — შესანიშნავად ითამაშა ესპანელთა მეორე ნომერმა მიჩელ სალგადომ. ვიგოს „სელტას" მცველის შეჩერება მასპინძლებს ძალიან უჭირდათ. კაცმა რომ თქვას, აპენინელები სალგადოს ვერც აჩერებდნენ. დე პედროს, პირველ გოლში დიდი წვლილის გარდა, პერუცის კარის დალაშქვრა თავადაც შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული ძელს მოხვდა.



გერმანია — ჰოლანდია. ჰოლანდიელი პატრიკ კლუივერტი თავურს ურტყამს

REUTERS გელზენკირხენიდან

**გერმანია 1:1 ჰოლანდია**

0:1 რაიციგერი (22), 1:1 მარშალი (52)

გერმანია: კანი, შტრუნცი (ჰამანი 86), მათეუსი (რამელო 70), ნოვოტნი (რემერი 46), ვიორნსი, ჰაინრიხი, იერემისი, ბასლერი (ციკლერი 72), მიოლერი, ბირჰოფი, კირსტენი (მარშალი 21)

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი (ვან ვონდერემი 68), [illegible] ბური, ვან ჰინტი, ტალანი (ბუსატა 73), ზეედორფი, კოკუ, ოვერმარსი (ვან ფოსემი 81), კლუივერტი (მოლსი 46), ვან ნისტელროი

— პირველ ტაიმში მეტოქემ გვაჩვენა, თუ როგორ უნდა ითამაშო ფეხბურთი. საბედნიეროდ, შესვენების შემდეგ შევძელით, საკუთარ თავში ძალა გამოგვენახა და მატჩი გადაგვერჩინა — მასპინძელთა 61 წლის მწვრთნელი ერიხ რიბეკი მიღწეული შედეგით ნამდვილად არ იყო კმაყოფილი.

მატჩს ამხანაგური ეწოდებოდა, თუმცა გერმანელებმაც და ჰოლანდიელებმაც ძალიან კარგად უწყოდნენ, რომ მათი დაპირისპირება ამხანაგური არასდროსაა. მეზობლებს მუდამ თვალსასეირო ორთაბრძოლები ახასიათებდათ და ახლაც ასე იყო — გელზენკირხენის სტადიონზე შეკრებილი ქომაგები დაძაბული მატჩის მოსწრენი შეიქნენ.

ეგებ ნაადრევად თქმულია, მაგრამ ფრენკ რაიკაარდი არანაკლებ კარგი მწვრთნელი ყოფილა, ვიდრე ფეხბურთელი. „ნარინჯისფერები" რიბეკის ბიჭებს პირველ ტაიმში აშკარად სჯობდნენ. უპირატესობა, რაგინდარა კომპონენტში, შესვენებამდე სტუმრების გახლდათ და ის, რომ პირველი ტაიმი მათ სასარგებლოდ დასრულდა, კანონზომიერება იყო — მიხაელ რაიციგერის შორიდან დარტყმული ბურთის მოსაგერიებლად ოლივერ კანი კი გადახტა, მაგრამ საფრთხე მაინც ვერ აიცილა.

— მეტოქემ ნამდვილად კარგად ითამაშა. მისი მოქმედების ფონზე ჩვენი ფეხბურთი თითქოს ცუდად გამოჩნდა, მაგრამ ეს ასე სულაც არაა. გერმანიის ნაკრები ახლა, ფაქტობრივად, თავიდან ყალიბდება და გუნდს ჩავარდნა რომ აქვს, სავსებით გასაგებია — ლოთარ მათეუსმა გელზენკირხენში ნაკრების მაისური 130-ედ მოირგო.

თუ პირველი ტაიმი პირწმინდად სტუმრებმა მოიგეს, შესვენებისშემდგომ 45 წუთზე კაცი იმავეს ნამდვილად ვერ იტყოდა. რიბეკმა, ეტყობა, სწორად მიუთითა ფეხბურთელებს ნაკლზე და მასპინძლებიც საგრძნობლად შეიცვალნენ. არა, გერმანელებს მეორე ტაიმში ჰოლანდიელებისთვის არ უჯობნიათ, უბრალოდ, თამაში გაათანაბრეს.

„კაიზერსლაუტერნის" „მოხუცმა" თავდამსხმელმა ოლაფ მარშალმა თანამემამულენი წაგებას გადაარჩინა — 52-ე წუთზე ვან დერ სარის კარში ერთდაერთი გოლი გაიტანა.

— ჩემთვის უმთავრესი გოლის გატანა არაა. მთავარია, ნაკრების ყველა წევრს ყველა პოზიციაზე შეეძლოს თამაში. ახალს არაფერს ვამბობ, უბრალოდ, ვცდილობ, ჰოლანდიის ნაკრები უნივერსალურ გუნდად ვაქციო. ტოტალურ ფეხბურთს მუდამ ვეტრფოდი, მისი მიმდევარი ვარ და მსურს, გუნდიც ამ მიმართულებით წავიყვანო. მჯერა, ერთ წელიწადში ჰოლანდიას ძლიერი გუნდი ეყოლება — რაიკაარდი მიზნებს არ მალავდა.

გერმანულმა პრესამ ერიხ რიბეკის გუნდის თამაში საშინლად გააკრიტიკა. რამდენიმე გაზეთმა ისიც კი დასძინა, მეტოქეს დენის ბერხკამპი და ედგარ დავიდსი რომ არ მოესაკლისებინა, მარცხს ვერ გადავურჩებოდითო.

**ნოდარ ძასრაძე**
**ირაკლი ილაშვილი**

**EURO 2000**
**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

## III ჯგუფი

**ჩრდ. ირლანდია 2:2 მოლდოვა**

0:1 გაიდამაშჩუკი (22), 1:1 დოუვი (49), 1:2 ტესტიმიცანუ (57), 2:2 ლენონი (64)
ჩრდ. ირლანდია: ფეტისი, კენედი, გრიფინი, პატერსონი, მოროუ, ლენონი, ლომასი, გილესპი (მაკკარტი 88), როულენდი (გრეი 77), ჰიუზი, დაუი
მოლდოვა: დინოვი, ფისტიკანი, რებეჯა, ტესტემიცანუ (მაიევიჩი 86), გუზუნი (პუშკა 66), სტროენკო, კურტიანუ, სტრატულატი (სუხარევი 62), გაიდამაშჩუკი, ეპურიანუ, კლეშჩენკო

ბელფასტში ქართველთა ძველმა ნაცნობმა მოლდოვის ნაკრებმა ევრო 2000-ის შესარჩევ ტურნირში პირველი ქულა


REUTERS ბელფასტიდან

ჩრდ. ირლანდია — მოლდოვა. მასპინძლებს ნილ ლენონმა (№8) უშველა

მოიპოვა. არადა, მათ სულ ადვილად შეეძლოთ სამის მოპოვებაც — ორჯერ იგებდნენ, თუმცა ვერ შეინარჩუნეს ეს უპირატესობა და ორივეჯერ მეტოქეს გათანაბრების საშუალება მისცეს. შეხვედრის ბოლო მონაკვეთი ჩრდილოირლანდიელთა უპირატესობით წარიმართა, თანაც მას შემდეგ, რაც „ლესტერში" მოთამაშე ნილ ლენონმა 64-ე წუთზე მეორედ გაქვითა, სულ რაღაც 3 წუთში მსაჯმა მოლდოველთა კაპიტან ალექსანდრე კურტიანუს მეორედ უჩვენა ყვითელი ბარათი და სტუმრები მეტნი დატოვა.

ერთი სიტყვით, მატჩი ფრედ დასრულდა. ახლა ორივე გუნდი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება — მოლდოველები კვლავაც ბოლო ადგილზე არიან, ხოლო ბრიტანელები მესამეზე, ოღონდ წინ ორი შეხვედრა ელით მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ გერმანიის ეროვნულ გუნდთან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| თურქეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ჩრდ. ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| მოლდოვა | 3 | 0 | 1 | 2 | 5:8 | 1 |

## VI ჯგუფი

**სან მარინო 0:1 კვიპროსი**

0:1 სპოლიარიჩი (41)

სექტემბერში, ყველასათვის მოულოდნელად ესპანეთის ნაკრების მძლეველი კვიპროსელები სან მარინოს ეროვნულ გუნდს ესტუმრენ და მართალია მოკრძალებულად, მაგრამ მაინც მოუგეს 1:0. ეს ერთადერთი გოლი მასპინძელთა კარში კვიპროსელთა ნახევარმცველმა მილენკო სპოლიარიჩმა პირველი ტაიმის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე საჯარიმო დარტყმით გაიტანა. საერთოდ მატჩი არცთუ საინტერესო გამოდგა, მეტოქეები იშვიათად უტევდნენ ერთმანეთს და ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. შეხვედრის მიწურულს სანმარინოელებს შეეძლოთ ქულის მოპოვება, მაგრამ პაულო მონტანიას ძლიერად დარტყმული სტუმართა მეკარე ნიკოს პანაიოტომ სასწაულებრივ აიღო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| კვიპროსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | 6 |
| ისრაელი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:3 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:10 | 0 |

## VIII ჯგუფი

**მალტა 1:2 მაკედონია**

0:1 ნიკოლოვსკი (49), 0:2 ზახარიევსკი (62), 1:2 სიქსმიტი (69)
მალტა: მუსკატი, სიქსმიტი, კამილერი, სპიტერი, დებონო, ბატიჯიჯი, ბუზუტილი, სალიბა (ტერნერი), ნვოკო (კარაბოტი), ბრინკეტი, კუტაიარი (აგიუსი)
მაკედონია: მილოშევსკი, ვესელინოვსკი, ნიკოლოვსკი, სედლოსკი, ბაბუნსკი, სტავრესკი, ზახარიევსკი, მიჩევსკი, ბოზინოვი (სტანკოვსკი), საინოვსკი, საკირი

**იუგოსლავია 1:0 ირლანდია**

1:0 მიატოვიჩი (63)
იუგოსლავია: კრალი, ჯუკიჩი, ჯოროვიჩი, იოკანოვიჩი, მიხაილოვიჩი, ი.სტანკოვიჩი, იუგოვიჩი (გროზიჩი 83), დ.სტანკოვიჩი, მიატოვიჩი, სტოიკოვიჩი (კოვაჩევიჩი 46), მილოშევიჩი (დრულოვიჩი 76)
ირლანდია: გივენი, ირვინი, სტონტონი, კანინგემი, ბრინი, კინი, მაკლაფლინი (კონოლი 71), კინსელა, ქუინი (კასკარინო 71), მაკატირი (ონილი 83), დაფი

შეხვედრა, რომელიც ერთი თვის წინ უნდა გამართულიყო, მხოლოდ ახლა შედგა — ბელგრადში იუგოსლავიელებმა ძალიან დაძაბულ ბრძოლაში აჯობეს ირლანდიელებს და შესარჩევი ტურნირის მოგებით დაიწყეს.

თამაშის ერთადერთი გოლი მადრიდის „რეალის" თავდამსხმელმა პრედრაგ მიატოვიჩმა გაიტანა ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ — ჩემპიონთა ლიგის ფინალში ერთადერთი გოლის ავტორმა ირლანდიელ უკანახაზელთა შორის უმალ გაიკვალა გზა და უძლიერესი დარტყმით „ნიუკასლ იუნაიტედის" მეკარის შეი გივენის კარი დალაშქრა.

— შედეგით ძალიან ნასიამოვნები ვარ. ჩვენ დავამარცხეთ ძლიერი გუნდი, რომელიც, უეჭველია, კიდევ ბევრს გაამწარებს — განაცხადა იუგოსლავიელთა მწვრთნელმა მილან ზივადინოვიჩმა.

მატჩის მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათ ნამდვილად დამსახურებულად გაიმარჯვეს, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მომენტებში მიკ მაკართის გუნდი შესანიშნავად მოქმედებდა.

იუგოსლავიამ მოიგო, ირლანდიამ წააგო. ჯგუფში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა — მაკედონია ლა ვალეტაში მალტას ესტუმრა და მეტოქე 2:1 დაამარცხა.

მერვე ჯგუფში ძალიან დაძაბული სიტუაციაა — ერთბაშად სამ ნაკრებს 6 ქულა აქვს, თუმცა სამი თამაშიდან. პოტენციურ ლიდერად იუგოსლავიელები გვევლინებიან. 10 თებერვალს მილან ზივადინოვიჩის გუნდი მალტას სტუმრობს და არაა გამორიცხული, დიდი ანგარიშით გამარჯვების შემთხვევაში პირველ ადგილზე ადგილზე გადაინაცვლონ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:1 | 6 |
| მაკედონია | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 6 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მალტა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:15 | 0 |

**Coca-Cola FIFA WORLD RANKING**

*ოთხშაბათს ფიფამ კვლავ გამოაქვეყნა რეიტინგი, რომელშიც დიდი ცვლილებები მაინცდამაინც არ იგრძნობა. პირველობა კვლავ ბრაზილიელებს უპყრიათ ხელთ და თან საკმაოდ დამაჯერებლადაც. მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთი მეორეა.*

*ოქტომბრის რეიტინგთან შედარებით რამდენიმე ნაკრებმა საკმაოდ საგრძნობლად გადაინაცვლა წინ. მათ შორის უდავოდ აღსანიშნავია შვედეთის გუნდის პროგრესი, რომელმაც 25-ე ადგილიდან ერთბაშად რვა საფეხურით აინაცვლა.*

*საქართველოს ნაკრებმა 55-ე პოზიციაზე გადაინაცვლა მაშინ, როცა ერთი თვის წინ 59-ე იყო.*

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ბრაზილია | 73.59 | 31. სლოვაკეთი | 52.06 |
| 2. საფრანგეთი | 68.98 | 32. კოლუმბია | 51.89 |
| 3. გერმანია | 67.07 | 33. იამაიკა | 51.87 |
| 4. ხორვატია | 66.75 | 34. ბელგია | 51.76 |
| 5. არგენტინა | 66.22 | 35. ავსტრალია | 51.33 |
| 6. ჩეხეთი | 64.37 | 36. შოტლანდია | 49.52 |
| 7. იუგოსლავია | 64.34 | 37. რუსეთი | 49.28 |
| 8. იტალია | 64.29 | 38. ისრაელი | 49.17 |
| 9. ჰოლანდია | 62.41 | 39. კამერუნი | 48.35 |
| 10. მექსიკა | 62.27 | 40. პორტუგალია | 47.96 |
| 11. ინგლისი | 61.70 | 41. კოტ დივუარი | 47.11 |
| 12. რუმინეთი | 59.87 | 42. საამიროები | 46.97 |
| 13. მაროკო | 59.66 | 43. უკრაინა | 46.41 |
| 14. ნორვეგია | 59.12 | 44. ირანი | 46.35 |
| 15. ესპანეთი | 58.37 | 45. უნგრეთი | 46.06 |
| 16. ჩილე | 57.81 | 46. ბულგარეთი | 45.65 |
| 17. შვედეთი | 56.32 | 47. ურუგვაი | 45.18 |
| 18. დანია | 55.19 | 48. განა | 44.95 |
| 19. კორეა | 55.19 | 49. ტრინიდადი | 44.88 |
| 20. ტუნისი | 54.85 | 50. ანგოლა | 44.59 |
| 21. ავსტრია | 54.76 | 51. ტაილანდი | 43.59 |
| 22. აშშ | 54.74 | 52. ფინეთი | 43.40 |
| 23. ეგვიპტე | 54.61 | 53. მალი | 42.91 |
| 24. პარაგვაი | 54.57 | 54. საბერძნეთი | 42.77 |
| 25. ქუვეითი | 54.29 | 55. საქართველო | 42.52 |
| 26. ზამბია | 54.03 | 56. თურქეთი | 42.51 |
| 27. საუდეთი | 52.72 | 57. ირლანდია | 42.05 |
| 28. სამხ. აფრიკა | 52.70 | 58. ლიტვა | 41.57 |
| 29. პოლონეთი | 52.30 | 59. ისლანდია | 41.27 |
| 30. იაპონია | 52.14 | 60. ბოლივია | 41.24 |

# საუკეთესო

მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის და ბრინჯაოს პრიზიორი ევროპის ჩემპიონი, ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელი, ევროპის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი, გფრ-ის მრავალგზის ჩემპიონი... ტიტულები არასდროს ჰკლებია, მაგრამ მისი ყველაზე უმთავრესი მიღწევა ის იყო, რომ მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშედ შევიდა.

ფრანც ბეკენბაუერი ფეხბურთის ისტორიის და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გუშინ XX საუკუნის გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა: კიდევ ერთი აღიარება!

გამოკითხვაში მონაწილეობდნენ გერმანელი ჟურნალისტები, ფეხბურთის სპეციალისტები და ვეტერანი ფეხბურთელები. ჯამში დაახლოებით ორი ათასამდე რესპოდენტის გამოკითხვამ ის შედეგი მოიტანა, რომ ფრანც ბეკენბაუერი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. გერმანიის ფეხბურთის კავშირის ამჟამინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა ტიტულისთვის ბრძოლაში აჯობა ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელს, თანაგუნდელ გერდ მიულერს, და მესამე ადგილზე გასულ ფრიც ვალტერს. რომელიც გფრ-ს მაშინ კაპიტნობდა, როდესაც გუნდმა 1954 წელს პირველად მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი.

## პოლონეთი

მე-15 ტური. ბელხატოვი — სტომილი 1:0, ვისლა — ზაგლებიე 0:1, ამიცა — ვიძევი 2:3, რუხი — პოლონია 0:0, ლეგია — ლეხი 1:0, გურნიკი — პოგონი 4:0, ლკს — ოდრა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 15 | 13 | 1 | 1 | 36:11 | 40 |
| ლეხი | 15 | 10 | 0 | 5 | 33:16 | 30 |
| ლეგია | 15 | 8 | 4 | 3 | 21:14 | 28 |
| გურნიკი | 15 | 7 | 5 | 3 | 23:16 | 26 |
| ვიძევი | 15 | 8 | 1 | 6 | 27:20 | 25 |
| რაძიონწკოვი | 15 | 6 | 4 | 5 | 23:16 | 22 |
| ამიცა | 15 | 6 | 2 | 7 | 24:24 | 20 |
| პოლონია | 15 | 5 | 5 | 5 | 20:21 | 20 |
| ბელხატოვი | 15 | 6 | 2 | 7 | 17:23 | 20 |
| რუხი | 15 | 5 | 4 | 6 | 14:23 | 19 |
| ზაგლებიე | 15 | 4 | 4 | 7 | 25:28 | 16 |
| ლკს | 15 | 4 | 4 | 7 | 16:24 | 16 |
| კატოვიცე | 15 | 5 | 1 | 9 | 14:27 | 16 |
| პოგონი | 15 | 4 | 3 | 8 | 20:31 | 15 |
| სტომილი | 15 | 4 | 2 | 9 | 14:22 | 14 |
| ოდრა | 15 | 1 | 6 | 8 | 15:26 | 9 |

# ჰიტლერის დანატოვარი

ბერლინში არის ნაცისტების აშენებული ოლიმპიური სტადიონი, რომელმაც 1936 წლის ოლიმპიადას უმასპინძლა. დღეს, ადოლფ ჰიტლერის დანატოვარი გერმანიას შესაძლოა ერთობ გამოადგეს. ყოველ შემთხვევაში ქალაქის ხელისუფალთა აზრით თუ ევროპის ამ სახელმწიფომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა ხელთ იგდო, ბერლინის „ოლიმპიაშტადიონი" მისი ერთ-ერთი მასპინძელთაგანი გახდება.

მუნიციპალიტეტის პრეს მდივანმა მიხაელ-ანდრეას ბუტცმა ამასწინათ განაცხადა, რომ სარბიელის განახლებისთვის საჭიროა სამშენებლო კომპანია, რომელიც საქმეს ითავებს. საუკეთესო კომპანიის ძიებაში ბერლინის მთავრობამ უკვე დაიწუნა ათიდან რვა წინადადება, ხოლო შემორჩენილი ორი ფირმიდან რომელს ერგება სტადიონზე მუშაობის უფლება, 1 დეკემბერს გადაწყდება.

ნავარაუდევია, რომ სამუშაოები 2000 წელს უნდა დაიწყოს.

განაახლონ თუ არა სტადიონი, ამაზე ხუთი წლის განმავლობაში ბჭობდნენ. ცხადია რატომაც: ის ჰიტლერის სახელს, მესამე რაიხს უკავშირდება. ამ სტადიონის ამბები ლენი რიეფენსტალის 11 საათიან ფილმშია კარგად ასახული. ფილმი 1936 წლის ოლიმპიადას ეძღვნება.

— ქალაქის მმართველები 1 დეკემბერს იტყვიან საბოლოო სიტყვას. ჩვენ გრაფიკს არ გადავუხვევთ, 2006 წლისთვის გერმანიის ფეხბურთის ფედერაციას სარბიელს მზად ჩავაბარებთ — თქვა ბუტცმა.

ბერლინელების გეგმით „ოლიმპიაშტადიონის" ტევადობა არ შეიცვლება. იგი 74 ათასიანი იყო და ასევე დარჩება. რეკონსტრუქციისთვის ადგილობრივი და ფედერალური ბიუჯეტიდან 100 მილიონი მარკაა (60 მილიონი დოლარი) გამოყოფილი.

აღსანიშნავია, რომ ბერლინის ამ ისტორიულ სარბიელზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთის არმიას შტაბი ჰქონდა და ყოველწლიურად დედოფლის, ელიზაბეტ II-ის დაბადების დღეს აღლუმს მართავდა.

1990 წელს მასზე ინგლისურმა როკ-ჯგუფმა „როლინგ სტოუნზმა" გამართა კონცერტი.

1994 წელს, გერმანიის გაერთიანებიდან ოთხი წლის შემდეგ ბრიტანელებმა „ოლიმპიაშტადიონი" დატოვეს.

1996-ში, რომის პაპს, იოანე პავლე II-ს „ოლიმპიაშტადიონზე" 100 ათასი ადამიანი შეეგება.

**ბაჩუნა ძიძია**



ბერლინის ოლიმპიური სტადიონი

# ცხელი ყავა, ცივი შამპანური და დიდი ამბიციები...

უკრაინის დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ახალგაზრდულმა ასოციაციამ და გაზეთმა „კიევსკიე ნოვოსტიმ“ განიზრახეს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩაეტარებინათ გამოკითხვა, რომელსაც საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელი უნდა გამოევლინა. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვა ერთობ შეზღუდულ პირობებში უნდა წარმართულიყო. კერძოდ:

1. რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ მხოლოდ 70-80-იან წლებში მოთამაშე ფეხბურთელები. სულ ხუთი მოთამაშე უპირატესობის მინიჭების უფლებით. პირველ ადგილზე დასახელებული ფეხბურთელი იღებდა ხუთ ქულას, მეორეზე გასული — ოთხს და ასე შემდეგ.
2. გამოკითხვის მონაწილეთ, მეტი ობიექტურობისთვის, არ უნდა დაესახელებინა თავის რესპუბლიკაში მოთამაშე ფეხბურთელი.
3. შედეგების შეჯამების შემდეგ უნდა მოწვეულიყვნენ საპატიო სტუმრები, მოწყობილიყო გამარჯვებულთან შეხვედრა და მისი საზეიმოდ დაჯილდოება.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 15 რესპუბლიკის 64-მა საინფორმაციო საშუალებამ: 17-მა ტელეარხმა და 47-მა გაზეთმა. უკრაინას და რუსეთს რატომღაც ერთგვარი უპირატესობა მიენიჭათ: ამ ქვეყნების 2-2-მა ტელეარხმა და 4-4-მა გაზეთმა მიიღო გამოკითხვაში მონაწილეობის უფლება. დანარჩენ რესპუბლიკებს კი სამი გაზეთის და თითო ტელეარხის ოდენობის კვოტა მისცეს. რესპონდენტთა შერჩევაც, ცოტა არ იყოს, უცნაური და პირადად ჩემთვის გაუგებარი პრინციპით მოხდა, მაგრამ ამაზე თქვენს ყურადღებას აღარ გავამახვილებ და პირდაპირ საქმეზე გადავალ. მით უმეტეს, რომ მოსათხრობი მართლაც საკმაოა.

ამთავითვე გეტყვით, რომ ჩემთვისაც და ბევრი სხვისთვისაც გამოკითხვა მოულოდნელი შედეგით დასრულდა. ისე არ გაიგოთ, თითქოს მოწინავე ადგილებზე მავანი უცნობი და უსახელო ფეხბურთელები მოხვდნენ. არა, ნამდვილად სახელოვანთ ერგოთ ეს პატივი. მაგრამ აწ უკვე გამარჯვებულის პირველობას ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. ზედმეტად აღარ ვისარგებლებ თქვენი მოთმინებით და გაგაცნობთ შედეგებს. პირველ ადგილზე გავიდა კიევის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების წამყვანი ნახევარმცველი ალექსეი მიხაილიჩენკო. მას მეტად უმნიშვნელოდ ჩამორჩა მისი თანამემამულე, ალბათ, ყველაზე კაშკაშა საბჭოთა ვარსკვლავი ოლეგ ბლოხინი. მესამე-მეოთხე ადგილებზე მოსკოვის სპარტაკელი რინატ დასაევი და კვლავ კიევის დინამოელი ლეონიდ ბურიაკი გავიდნენ. მეხუთე პოზიციაზე თბილისის „დინამოს“ ფორვარდი რამაზ შენგელია აღმოჩნდა. თვალსაჩინოებისთვის გაცნობებთ საუკეთესო ხუთეულში მოხვედრილ ფეხბურთელთა მიერ დაგროვებულ ქულებს. შედეგები შეაჯამა საგანგებო კომისიამ და როგორც ამ კომისიის ერთ-ერთი წევრი, ამ შეჯამების ობიექტურობაზე თქვენს მონა-მორჩილსაც შეუძლია თავი დადოს. მაშ ასე: ალექსეი მიხაილიჩენკო — 232, ოლეგ ბლოხინი — 223, რინატ დასაევი — 98, ლეონიდ ბურიაკი — 69, რამაზ შენგელია — 51.

მოულოდნელობაზე მოგახსენეთ და ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, ბლოხინს თუ ვინმე გაუწევდა კონკურენციას. მიხაილიჩენკოს საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს, მაგრამ ბლოხინს თუ ვინმე აჯობებდა, თუნდაც უმნიშვნელო უპირატესობით, ამას არ მოველოდი.

როგორც ჩანს, ასევე ფიქრობდნენ ქართული საინფორმაციო საშუალებებიც, რადგან ყოველმა მათგანმა ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე პირველი ადგილი სწორედ ოლეგ ბლოხინს არგუნა. საქართველოში გამოკითხვის მონაწილეთა არჩევის პრეროგატივა მიენიჭა საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეას“, რომელმაც შესაბამისი წინადადებით მიმართა თავის ხელმომწერებს, გაზეთებს „სარბიელს“, „რეზონანსს“, „ალიას“ და ტელეკომპანია „იბერიას“. ალბათ, დაგაინტერესებთ და გამოკითხვით გამოვლენილ საბოლოო ვარიანტს შეადარებთ ჩვენი საინფორმაციო საშუალებების ვერსიებს:

„სარბიელი“: ბლოხინი, ხიდიატულინი, ბურიაკი, დასაევი;

„რეზონანსი“: ბლოხინი, დასაევი, მიხაილიჩენკო, კონკოვი, ჩერენკოვი;

„ალია“: ბლოხინი, გავრილოვი, ჩერენკოვი, ბესსონოვი, დასაევი;

„იბერია“: ბლოხინი, დასაევი, პროტასოვი, ბესსონოვი, გავრილოვი.

გამოკითხვის შედეგად მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: 6. გავრილოვი, 7. ყიფიანი, 8. ჩივაძე, 9. ჩერენკოვი, 10. ხიდიატულინი.

ჩვენების, დავით ყიფიანისა და ალექსანდრე ჩივაძის გარდა კიდევ რამდენიმე რესპონდენტმა დასახელა თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, ოთარ გაბელია და გელა კეტაშვილი. საერთოდ, გამოკითხვის მონაწილე 64-მა საინფორმაციო საშუალებამ უამრავი კანდიდატურა წამოაყენა და ამიტომ, ბუნებრივია, ყველა მათგანის ჩამოთვლის საშუალება არა მაქვს.

18 ნოემბერს, 12 საათზე, ორგანიზატორებმა გაზეთ „კიევსკიე ნოვოსტის“ რედაქციაში საპატიო სტუმრები მოიწვიეს და საკმაოდ კოლორიტული ფურშეტიც მოაწყვეს. ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ჯგუფური ტურნირის მორიგი მატჩების გამო ცერემონიალს ვერ დაესწრო თვად გამარჯვებული, კიევის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის ვალერი ლობანოვსკის ასისტენტი ალექსეი მიხაილიჩენკო. არადა, საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე ორიოდე დღით ადრე უკვე ვიცოდი, რომ მიხაილიჩენკო ნამდვილად გაიმარჯვებდა. საქმე ისაა, რომ გარკვეულ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზთა გამო უკრაინელები თბილისს ყველაზე გვიან დაუკავშირდნენ, მაშინ, როცა სხვათა ხმები უკვე დათვლილიც კი იყო და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენი ოთხივე საინფორმაციო საშუალება პირველ ადგილს ოლეგ ბლოხინს მიანიჭებდა (რაც ასეც მოხდა), მიხაილიჩენკო კი არავის გაახსენდებოდა, ეს უკანასკნელი მაინც ლიდერად დარჩებოდა. მართალია, გამოკითხვის შედეგების გამხელა ყველას გვეკრძალებოდა, მაგრამ ამ განსაკუთრებული ვითარების გამო დინამოელთა მწვრთნელს მაინც დავუკავშირდი.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ მილოცვისთვის. ნამდვილად ძალიან გამიხარდა ესოდენ პატივცემულ კომპანიაში პირველობა. ამ იდეასაც მივესალმები. ჩვენს ვეტერანებს პატივისცემა სჭირდებათ, ისინი არ უნდა დავივიწყოთ. ერთი იმაზე მწყდება გული, რომ გასაგებ მიზეზთა გამო პრეზენტაციას ვერ დავესწრები. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ ამ იდეას ყოველმხრივ მივესალმები.

**— თქვენი აზრით, ადგილები ობიექტურად განაწილდა?**

— ამას ვერ გეტყვით თუნდაც იმიტომ, რომ საუკეთესოდ მე მაღიარეს. ისე, ვფიქრობ, რომ თითქმის ყველა საუკეთესო მოწინავეთა შორის მოხვდა და რამდენიმე უზუსტობას თუ არ გავითვალისწინებთ, თქვენმა კოლეგებმა, ალბათ, ობიექტურად შეაფასეს სიტუაცია.

**— უზუსტობაში რას გულისხმობთ?**

— თუნდაც იმას, რომ იგორ ბელანოვი უფრო მეტს იმსახურებდა. ის კი, ვგონებ, ათეულშიც ვერ მოხვდა, ასე არ მითხარით? „ოქროს ბურთის“ ლაურეატი განა მეტს არ იმსახურებდა?

**— როგორ გგონიათ, ჩვენი თანამემამულენი, დავით ყიფიანი და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე მეტს არ იმსახურებდნენ?**

— ასე უცბად ყველაფერზე ვერ გავამახვილებ ყურადღებას. მე ის გითხარით, რაც უცებ გამახსენდა.

**— ვიცი, რომ გეჩქარებათ, ამიტომ დიდხანს არ დაგაყოვნებთ, მხოლოდ ამასღა გკითხავთ: თქვენ ვალერი ლობანოვსკის ასისტენტად მუშაობთ, სიყრმის წლებიდან კი ყოველთვის პირველობას იყავით ჩვეული. არ ფიქრობთ, რომ დროა, რომელიმე გუნდს თავად უხელმძღვანელოთ?**

— უამბიციო და ბედს შეგუებული ადამიანი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ მე ჯანმრთელი ამბიციები მამოძრავებს და არა ამპარტავნობა. ჯერ ერთი, კიევის „დინამოში“ მუშაობა ძალიან დიდი პატივია იმის მიუხედავად, რა თანამდებობაზე მუშაობ. თანაც ვთვლი, რომ ბოლო-ბოლო ამის დროც უსათუოდ დადგება, ამჟამად კი ეს ნაბიჯი ნაადრევად მიმაჩნია.

ახლა კი დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალის თაობაზე. როგორც მომეჩვენა, ორგანიზატორები თავიანთი თანამემამულის გამარჯვებით ორმაგად კმაყოფილნი დარჩნენ. ჯერ ერთი, პატრიოტული მოსაზრებათა გამო, რაც ყველასთვის გასაგებია და ამაში არაფერია უცნაური. მეორეც: არაუკრაინელის გამარჯვების შემთხვევაში მათ დამატებითი სახსრების გაღება მოუწევდათ გზისა და სასტუმროს ხარჯების ასანაზღაურებლად. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, ეტყობა, ჟურნალისტთა ახალგაზრდული ასოციაცია და „კიევსკიე ნოვოსტი“ ფინანსურად მთლად წელში გამართულნი ვერ არიან და მათი აღტაცების მიზეზიც, ალბათ, სწორედ ეს იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხვაში მონაწილეობის პატივი რატომღაც არ რგებია უკრაინის უპირველეს სპორტულ გაზეთ „კომანდას“ და უკრაინის სახელმწიფო ტელევიზიას UT-1, რომელიც კომერციულმა უკრაინა+-მა შეცვალა და ყოველივე გაამუქა კიდევაც. ეს ისე, სიტყვამ მოიტანა...

ასეა თუ ისე, 12 საათისთვის „კიევსკიე ნოვოსტის“ რედაქციაში უკვე სტუმრებმა იწყეს დენა, თუმცა მათი დიდი ნაწილი მაინც აგვიანებდა. ამით ვისარგებლე და უკრაინის დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ახალგაზრდული ასოციაციის პრეზიდენტს ტარას გორდიენკოს რამდენიმე კითხვით მივმართე.

**— თქვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის ერთმა წინაპირობამ ცოტა არ იყოს, გამაკვირვა. კერძოდ, რესპონდენტებს მხოლოდ 70-80-იანი წლების ფეხბურთელები უნდა დაესახელებინათ?**

— იცით რაშია საქმე... ერთი ეს მითხარით, როგორ არის თქვენთან ქუჩის ფეხბურთის საქმე?

**— არცთუ სახარბიელოდ.**

— აი, ხომ ხედავთ, ჩვენთანაც სწორედ ასეა. ადრე კარგი ფეხბურთელები ქუჩიდან მოდიოდნენ, ეს ერთგვარი სტიქიურად შექმნილი კონვეირი იყო, ახლა კი ახალგაზრდობას ფეხბურთი ნაკლებად იტაცებს, მას სხვა ინტერესები გააჩნია. გამოკითხვაში ბობროვი, ბესკოვი, პაიჭაძე და ძველი პლეადის სხვა ფეხბურთელები რომ ჩაგვერთო, ახალგაზრდობა დაიბნეოდა, ბლოხინი, დასაევი და სხვები კი ყველას კარგად მოეხსენება, მათი თამაშებიც ბევრს უნახავს და ვიდეომასალაც უფრო ხელმისაწვდომია. ამრიგად, ეს ხერხი ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის უფრო მომგებიანია.

საერთოდ, გეგმა სხვაც ბევრი გვაქვს, რაზეც ახლა ვერ ვილაპარაკებ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ უახლოეს მომავალში ვაპირებთ ერთი პრიზის დაწესებას, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა ყოფილი საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელს. მისი მიღების საშუალება ქართველებსაც ექნებათ, რუსებსაც, ლიტველებსაც და სხვებსაც.

ამასობაში სტუმრებიც შეიკრიბნენ. ვის არ ნახავდით აქ: ბლოხინი, ბურიაკი, ბელანოვი, რაცი, ბანიკოვი, სხვანი და სხვანი. იყვნენ ფეხბურთთან დაახლოებით დაახლოებულნიც და საერთოდ არდაახლოებულნიც. განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყურებოდა გრუზა მამაკაცთა ხუთკაციანი ჯგუფი, რომელთა ვინაობა და ფუნქცია ვერაფრად დავადგინე და ბოლოს ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ისინი საჭმელ-სასმელის შესანთქმელად მოსულიყვნენ, რომელიც შეხვედრას ნამდვილად არ აკლდა, ღმერთმაც შეარგოთ...

ორგანიზატორებმა დამსწრეთ წარუდგინეს გამარჯვებულისთვის დაწესებული პრიზი: პატარა საზამთროს ხელა ვერცხლის სიმპათიური ორნამენტით დამშვენებული ბურთი, რომელსაც მოზრდილი ასოებით ეწერა THE BEST OF SOVIET UNION და სიგელი, რომელშიც მოკლედ იყო ახსნილი საქმის ვითარება. ერთსაც და მეორესაც ალექსეი მიხაილიჩენკო ჩემპიონთა ლიგის მატჩების დასრულების შემდეგ მიიღებს. გვიჩვენეს 70-80-იანი წლების ცნობილ საბჭოთა ფეხბურთელთა თამაშის კადრები, იყო უამრავი მოგონება და როდესაც შევამჩნიე, რომ შეხვედრის ყველაზე სასიამოვნო ნაწილის, ფურშეტის დაწყებას ბევრი აღარაფერი უკლდა, ჩემს მახლობლად მდგარ ოლეგ ბლოხინს მივაშურე. ბლოხინთან შენახვედრიც ვიყავი, ნალაპარაკევიც და ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ მცირე წარუმატებლობის გამო იგი ასე განაწყენდებოდა და ლამის ბავშვივით გაიბუტებოდა. კაცი მსოფლიოს უღიარებია და ჟურნალისტთა უბრალო გამოკითხვას ასე როგორ უნდა გაენაწყენებინა...

— მე ვინმეს წარმატება კი არ მეწყინა, არავითარ შემთხვევაში, უბრალოდ, ვამჩნევ, რომ საკმაოდ ხშირად ჩემს დამსახურებებს ივიწყებენ. სწორად გამიგეთ, ამას დღევანდელთან დაკავშირებით არ ვამბობ, საერთოდ ასეა.

**— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ გამოკითხვაში მონაწილე უკლებლივ ყველა ქართულმა საინფორმაციო საშუალებამ პირველობა თქვენ მოგანიჭათ. შემიძლია ანკეტებიც განახოთ.**

— არ არის საჭირო. ქართველები სიტყვის ხალხი ხართ და მჯერა. მიხარია, რომ თბილისელებს კიდევ ვახსოვარ. ყოველთვის მიყვარდა თქვენთან ჩამოსვლა. რაღაც განსაკუთრებული ატმოსფერო იყო და განწყობაც სხვანაირი მეუფლებოდა.

**— ერთი ხანობა საბერძნეთში დაბრუნდით და პაოკს ჩაუდექით სათავეში, მაგრამ როგორც გაირკვა, მხოლოდ რამდენიმე დღით. მაინც რა მოხდა ამისთანა?**

— იყო რაღაც წყალქვეშა დინებები. მიზეზი სწორედ ეს იყო, ყოველ შემთხვევაში, ჩემი პროფესიონალიზმი აქ არაფერ შუაშია, როგორც ზოგიერთი ცდილობს ამის წარმოდგენას.

ბლოხინი გატრიალდა და მშვიდად მოსაუბრე ვეტერანთა ერთ ჯგუფს შეუერთდა. მე კი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გამიხმო და მითხრა:

— ვგრძნობ, რომ ბლოხინის ჩამორჩენით თქვენც გაკვირვებული და იქნებ ოდნავ ნაწყენი დარჩით. ჩემი აზრით, ის უდავოდ უძლიერესი და უკრაინელთა ეროვნული სიამაყეა. მაგრამ საქმე ისაა, რომ, როგორც ჩანს, ჟურნალისტებმა სხვა კრიტერიუმებით იხელმძღვანელეს. ბლოხინი მხოლოდ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ბრწყინავდა. მას, უბრალოდ, არ ჰქონდა მეტის საშუალება. მიხაილიჩენკომ კი აქაც ისახელა თავი, იტალიაშიც და შოტლანდიაშიც. ბოლოს და ბოლოს, ის ერთადერთია საბჭოთა ფეხბურთელთაგან, რომელმაც სამი ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, თანაც არაერთგზის. ამას თასების მფლობელთა თასის გათამაშების გამარჯვებულის და ევროპის პირველობის ვიცე-ჩემპიონის ტიტულებიც დავუმატოთ და მაშინ, ალბათ, ამ სურათსაც ოდნავ სხვაგვარად შევხედავთ.

საკმაოდ უგუნურად გამოიყურებოდა „ოქროს ბურთის“ კიდევ ერთი ლაურეატი იგორ ბელანოვიც, თუმცა უკრაინული ბულვარული პრესის წერილების თანახმად, ამის მიზეზი მისი მეუღლესთან ურთიერთობა უფრო უნდა ყოფილიყო, ვიდრე სხვა რამ. თუმცა ყოფილმა ვარსკვლავმა მოსვლა მაინც ინება. ბელანოვს არც საუბრის დიდი ხალისი ეტყობოდა, გისმენთო, მხოლოდ ეს მკითხა წყნარი ხმით.

**— თქვენ დიდების ზენიტში მცირე ხანს იყავით. ამან ხომ არ განაპირობა ის, რომ ათეულშიც კი ვერ მოხვდით?**

— ამისი მე რა მოგახსენოთ. საერთოდ, ამ ყოველივეს სერიოზულად არც ვეკიდები. ბევრად უკეთესი იქნებოდა, ჩვენთან ერთად სხვა რესპუბლიკებიდანაც რომ მოეწვიათ წარმომადგენლები (ამას მარტო ბელანოვი კი არა, სხვა დამსწრეებიც აღნიშნავდნენ).

**— მაშინ რატომ ინებეთ აქ გამოცხადება?**

— კიევში საქმეები მქონდა, თანაც უხერხულია, მიპატიჟებაზე უარი თქვა.

შესაკითხი კიდევ მქონდა, მაგრამ ბელანოვმა ხელი ჩაიქნია, გვეფოფარ და ტელეეკრანს მიაჩერდა. არც მე შემიწუხებია ზედმეტად. რაიმე საინტერესო მთქმელი მაინც არ ჩანდა.

შემდეგ იყო ფურშეტი, სტუმართა უმეტესობა წასვლას არ ჩქარობდა. ნელ-ნელა ხალხი გამხიარულდა და სერიოზული საუბრიდან ხუმრობაზე და ნახევრად ლაზღანდარულ ტონზეც გადავიდა. კვლავ იყო მოგონებები და იყო ისიც, რაც დამსწრეთ განსაკუთრებით სიამოვნებდათ: ცხელი ყავა, ცივი შამპანური და დიდი ამბიციები, რომლებიც მხოლოდ დიდოსტატებს ახასიათებთ.

**ირაკლი სირაძე კიევიდან**
**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

## ფეხბურთის რუკასთან

ᲓᲐᲜᲘᲣᲠᲘ „კოპენჰაგენის“ მეკარემ მიქაელ სტიინსგაარდმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა ინგლისური პრემიერლიგის გუნდთან „საუთჰემპტონთან“. სტიინსგაარდი 24 წლისაა. ინგლისში მოღვაწეობას იგი 1 დეკემბერს დაიწყებს. „კოპენჰაგენამდე“ სტიინსგაარდი „ლივერპულში“ სათადარიგო მეკარე იყო, მაგრამ მხრის ტკივილის გამო დატოვა ეს კლუბი.

ᲙᲝᲠᲔᲐᲨᲘ 24 მშობელი და საფეხბურთო მოხელე სასამართლოს წინაშე წარსდგება. მიზეზი: თურმე სკოლის გუნდების შეჯიბრებაში ბევრი მატჩი ჩაწყობილი იყო, რადგან მაღალ ადგილებზე გასული გუნდების მოთამაშეებს კოლეჯებში შეღავათით იღებენ. შვიდი წლის წინ, ქალაქ პუსანში, 16 ფეხბურთელი ბავშვის მშობლებს მსაჯებისა და სხვა ოფიციალურ პირთათვის ქრთამი დაურიგებიათ. მაზანდა ასეთი ყოფილა — 10 მილიონი ვონი ანუ 7700 დოლარი. გამოძიებამ დაადგინა, რომ ხსენებული 16 ბავშვი სკოლის დამთავრების შემდეგ ქვეყნის სხვადასხვა პრესტიჟულ კოლეჯში მოწყობილა და საამისოდ საფეხბურთო შედეგები დიდად გამოდგომია. ზოგადად, კორეულ ფეხბურთში კორუფცია, როგორც ჩანს, ერთობ ფესვგადგმულია, რამეთუ იქ ამ თემაზე გამუდმებით საუბრობენ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ, სადაც ფეხბურთი ფინანსურ კრიზისს განიცდის, ფიქრობს, რომ სტადიონებზე ალკოჰოლისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამირება მას მდგომარეობიდან გამოიყვანს. ვინაიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის დომინიონი ყოველმხრივ გასაჭირშია, იქაურ საფეხბურთო სამყაროს სახელმწიფოს იმედი არ უნდა ჰქონდეს, თუმცა ხელისუფლებას ხელშეწყობა, ბუნებრივია, შეუძლია და ეს ალკოჰოლისა და სიგარეტის რეკლამირების დაშვებით გამოიხატება. გარდა ამისა, საჭიროა კანონი ტოტალიზატორებისა და ლატარიების თაობაზე. რუსეთში ფიქრობენ, რომ რეკლამის აკრძალვით მწეველთა და მსმელთა რაოდენობას მაინც ვერ შეამცირებენ და ამიტომაც ბევრი დასავლეთევროპული ქვეყნის საპირისპირო პოლიტიკას ადგანან.



ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ქალაქ ბარსელონაში ახალი კომერციული ცენტრის აგებაზე ლაპარაკობენ. იგი საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ განკარგულებაში იქნება და მას „კამპ ნოუს“ სტადიონთან მონორელსით დააკავშირებენ. კლუბის პრეზიდენტმა ხოსე ლუის ნუნიესმა ქალაქის თავკაცებთან უკვე გააფორმა ოფიციალური ხელშეკრულება „ბარსა 2000“-ის პროექტთან დაკავშირებით. ეს პროექტი დაახლოებით 40 მილიონ პესეტას ანუ 264 მილიონ დოლარს მოითხოვს. კომერციული ცენტრი სავარაუდოდ 190 ათას კვადრატულ მეტრზე გაშენდება და მოიცავს კინოთეატრებს, რესტორნებს და სამ მუზეუმს, რომელთაგან ერთი საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ მიეძღვნება, მეორე ოლიმპიურ მოძრაობას, მესამე კი კატალონიურ სპორტს. გეგმა კატალონიის მთავრობამ უნდა განიხილოს და თუ დაამტკიცებს კიდეც, მშენებლობა 1999 წლის მიწურულს დაიწყება. კომერციული ცენტრი სავარაუდოდ 2001 წელს ამოქმედდება.

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ უეფამ დაადგინა, რომ 10 დეკემბრისთვის დანიშნული აღმასკომის სხდომა იერუსალიმიდან თავის შტაბბინის სიახლოვეს უნდა გადაიტანოს. მიზეზი მარტივია: პოლიტიკური დაძაბულობა სპარსეთის ყურეში. მოგეხსენებათ, ეს სხდომა ძალიან მნიშვნელოვანია, რამეთუ მასზე წერტილი უნდა დაესვას ჩემპიონთა ლიგის გაზრდა-განახლებაზე საუბარს და ევროპამ უმთავრესი საკლუბო შეჯიბრების დამტკიცებული ფორმატი უნდა მიიღოს.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ეროვნული გუნდის მწვრთნელი ერიხ რიბეკი თვლის, რომ ბუნდესლიგაში გუნდების რაოდენობა 18-დან 16-მდე უნდა შემცირდეს. „ორი კლუბით ნაკლები რომ გვყავდეს, იდეალური იქნებოდა. ამით ნაკრებს გაცილებით გაუიოლდებოდა ფეხბურთელების გამოძახება“ — განუცხადა რიბეკმა ცნობილ ჟურნალ „შპორტ ბილდს“.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **20 ნოემბერი** | | | |
| აინტრახტი — ვერდერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| შალკე — დუისბურგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| **21 ნოემბერი** | | | |
| ნიურნბერგი — ვოლფსბურგი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ბოხუმი — ლევერკუზენი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ჰერტა — ბაიერნი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| კაიზერსლაუტერნი — დორტმუნდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| შტუტგარტი — ჰანზა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| მიუნხენ 1860 — ჰამბურგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| **22 ნოემბერი** | | | |
| მიონხენგლადბახი — ფრაიბურგი | 1,9 | 3,0 | 3,5 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **20 ნოემბერი** | | | |
| ობერჰაუზენი — გიუტერსლო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ფორტუნა — კოტბუსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ვატენშაიდი — კიოლნი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ურდინგენი — მაინცი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| დიუსელდორფი — ზტ. პაული | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| **22 ნოემბერი** | | | |
| ფიურტი — უნტერჰახინგი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| კაიერსი — ულმი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ბერლინი — ჰანოვერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| **23 ნოემბერი** | | | |
| არმინია — კარლსრუე | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **21 ნოემბერი** | | | |
| ასტონ ვილა — ლივერპული | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბლექბერნი — საუთჰემპტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლიდსი — ჩარლტონი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ლესტერი — ჩელსი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| მიდლსბრო — ქოვენთრი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| შეფილდ უენსდეი — მანჩესტერი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ტოტენჰემი — ნოტინგემი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| უიმბლდონი — არსენალი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| **22 ნოემბერი** | | | |
| დერბი — ვესტ ჰემი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| **23 ნოემბერი** | | | |
| ევერტონი — ნიუკასლი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **21 ნოემბერი** | | | |
| ბრისტოლი — სტოკპორტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბერი — გრიმსბი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ჰადერსფილდი — ბრედფორდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| იფსვიჩი — ბოლტონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ოქსფორდი — პორტ ვეილი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| პორტსმუთი — ვესტ ბრომვიჩი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ქუინზ პარკი — შეფილდ იუნაიტედი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სანდერლენდი — ბარნსლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| სვინდონი — კრისტალ პალასი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ტრანმერი — ნორვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| უოტფორდი — კრიუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| **22 ნოემბერი** | | | |
| ვულვერჰემპტონი — ბირმინგემი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **20 ნოემბერი** | | | |
| სოშო — სტრასბური | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ლანსი — ბასტია | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| პსჟ — რენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ნანტი — მონპელიე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ოსერი — მეცი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლორიანი — ტულუზი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ნანსი — ლე ავრი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **21 ნოემბერი** | | | |
| ბოლონია — პერუჯა | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| კალიარი — პარმა | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| რომა — ბარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| **22 ნოემბერი** | | | |
| ფიორენტინა — ინტერი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| იუვენტუსი — ემპოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| მილანი — ლაციო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სალერნიტანა — ვენეცია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| სამპდორია — ვიჩენცა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| უდინეზე — პიაჩენცა | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **21 ნოემბერი** | | | |
| ნაპოლი — ჯენოა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| **22 ნოემბერი** | | | |
| ატალანტა — კოზენცა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| კრემონეზე — ტერნანა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| ლეჩე — ჩეზენა | 1,3 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 2,0 | 2,8 | 2,5 |
| პესკარა — მონცა | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| რავენა — კიევო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| რეჯანა — ტორინო | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| რეჯინა — ბრეშა | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| ტრევიზო — ლუკეზე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ვერონა — ფ. ანდრია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **20 ნოემბერი** | | | |
| ტენერიფე — ბილბაო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| **21 ნოემბერი** | | | |
| ატლეტიკო — ვალიადოლიდი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| მალიორკა — ბარსელონა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ოვიედო — ბეტისი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| სოსიედადი — სარაგოსა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ვალენსია — რეალი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ალავესი — სელტა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| **22 ნოემბერი** | | | |
| დეპორტივო — ვილიარეალი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ესპანიოლი — რასინგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სალამანკა — ესტრემადურა | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **21 ნოემბერი** | | | |
| ლეიდა — რაიო ვალეკანო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ოსასუნა — ერკულესი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| **22 ნოემბერი** | | | |
| ბადახოსი — ბარსელონა B | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლეგანესი — ალბასეტე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მერიდა — ტოლედო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| რეკრეატივო — ებაირი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ორენსე — სპორტინგი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| სევილია — ლას პალმასი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| კომპოსტელა — მალიორკა B | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ნუმანსია — ატლეტიკო B | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მალაგა — ლოგრონიესი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **20 ნოემბერი** | | | |
| გიმარაეში — რიუ ავე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| **21 ნოემბერი** | | | |
| პორტუ — ბენფიკა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ბრაგა — სეტუბალი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| **22 ნოემბერი** | | | |
| სალგეიროში — შავეში | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ფარენსე — კამპომაიორენსე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ლეირია — აკადემიკა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| მარიტიმუ — ბეირა მარი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბოავიშტა — სპორტინგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ალვერკა — ამადორა | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **20 ნოემბერი** | | | |
| მაასტრიხტი — ნაიმეგენი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| **21 ნოემბერი** | | | |
| ფეიენოორდი — კამბური | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| გრააფსხაპი — ჰერენვენი | 3,4 | 2,9 | 1,9 |
| ბრედა — სიტარდი | 1,3 | 3,0 | 4,0 |
| როდა — ვიტესი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ტვენტე — ტილბურგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| **22 ნოემბერი** | | | |
| ეინდჰოვენი — უტრეხტი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ვალვაიკი — აიაქსი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| სპარტა — ალკმაარი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **21 ნოემბერი** | | | |
| ოსტენდე — ლოკერენი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| სტანდარდი — ჰარელბეკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| გენტი — ანდერლეხტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| გენკი — ლომელი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| შარლერუა — ეკერენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბევერენი — ბრიუგე | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| მუსკრონი — ვესტერლო | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| **22 ნოემბერი** | | | |
| კორტრაიკი — სტ. ტრუიდენი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| აალსტი — ლიერსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **20 ნოემბერი** | | | |
| ალთაი — ფენერბაჩე | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| **21 ნოემბერი** | | | |
| საქარია — გალათასარაი | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| ქოჯაელი — ისთანბული | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| დარდანელი — ტრაბზონი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| **22 ნოემბერი** | | | |
| ბეშიქთაში — ქარაბუქი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| გაზიანთეფი — გენჩლერბირლიგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ანთალია — ადანა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბურსა — ერზურუმი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ანკარა — სამსუნი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **21 ნოემბერი** | | | |
| აბერდინი — სტ. ჯონსტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| სელტიკი — რეინჯერსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ჰართსი — დანფერმლაინი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| კილმარნოკი — მოზერველი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| **22 ნოემბერი** | | | |
| დანდი იუნაიტედი — დანდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **20 ნოემბერი** | | | |
| შტურმი — ტიროლი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| **21 ნოემბერი** | | | |
| ლუსტენაუ — გრაცერი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| რიდი — რაპიდი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| შტაირი — ზალცბურგი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| **22 ნოემბერი** | | | |
| აუსტრია — ლინცერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **20 ნოემბერი** | | | |
| იანგ ბოისი — ციურიხი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| **21 ნოემბერი** | | | |
| გრასჰოპერი — ბაზელი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| **22 ნოემბერი** | | | |
| სიონი — ლუცერნი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლოზანა — სერვეტი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სენტ გალენი — ქსამაქსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ლუგანო — აარაუ | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ჰოკეი. ნჰლ

| | | | |
|---|---|---|---|
| **20 ნოემბერი** | | | |
| ბუფალო — ტორონტო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ვაშინგტონი — ოტავა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| კაროლინა — ფილადელფია | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| დალასი — აილენდერსი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ანაჰაიმი — ედმონტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| სან ხოსე — ფინიქსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| **21 ნოემბერი** | | | |
| ბოსტონი — ვაშინგტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ტორონტო — ბუფალო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| მონრეალი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ოტავა — კალგარი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ნიუ ჯერსი — ფლორიდა | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| პიტსბურგი — ტამპა ბეი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| სენტ ლუისი — დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნეშვილი — აილენდერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ვანკუვერი — დეტროიტი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ფინიქსი — ედმონტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ლოს ანჯელესი — ჩიკაგო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| სან ხოსე — რეინჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| **22 ნოემბერი** | | | |
| კაროლინა — ნიუ ჯერსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ფლორიდა — ფილადელფია | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| ანაჰაიმი — ჩიკაგო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| **23 ნოემბერი** | | | |
| ტორონტო — კალგარი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ოტავა — ვანკუვერი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| დალასი — სან ხოსე | 1,3 | 4,4 | 4,0 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | |
|---|---|---|
| გერმანია (მე-14 ტური) | 25 და ნაკლები .... 1,9 | 27 და მეტი ..... 1,9 |
| ინგლისი (მე-14 ტური) | 25 და ნაკლები .... 1,9 | 27 და მეტი ..... 1,9 |
| იტალია (მე-10 ტური) | 23 და ნაკლები .... 1,9 | 25 და მეტი ..... 1,9 |
| ესპანეთი (მე-11 ტური) | 26 და ნაკლები .... 1,9 | 28 და მეტი ..... 1,9 |
| პორტუგალია (მე-12 ტური) | 22 და ნაკლები .... 1,9 | 24 და მეტი ..... 1,9 |
| ჰოლანდია (მე-15 ტური) | 26 და ნაკლები .... 1,9 | 28 და მეტი ..... 1,9 |
| ბელგია (მე-15 ტური) | 26 და ნაკლები .... 1,9 | 28 და მეტი ..... 1,9 |
| თურქეთი (მე-13 ტური) | 24 და ნაკლები .... 1,9 | 26 და მეტი ..... 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კორაჩის თასი. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 18-19 ნოემბერი

### A ჯგუფი

გალათასარაი (თურქეთი) — რადნიჩკი (იუგოსლავია) 74:72

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 4 | 3 | 1 | 282:236 | 7 |
| რადნიჩკი | 4 | 2 | 2 | 301:284 | 6 |
| ინტერი | 4 | 1 | 3 | 235:298 | 5 |

### B ჯგუფი

ალიტა (ლიტვა) — სპარტაკი (სანქტ პეტერბურგი, რუსეთი) 82:80; კომფორტი (პოლონეთი) — დოლფინსი (შვედეთი) 61:72

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დოლფინსი | 6 | 4 | 2 | 532:488 | 10 |
| ალიტა | 6 | 4 | 2 | 477:466 | 10 |
| სპარტაკი | 6 | 3 | 3 | 516:508 | 9 |
| კომფორტი | 6 | 1 | 5 | 431:494 | 7 |

### C ჯგუფი

ტატამი (გერმანია) — ოსტენდე (ბელგია) 93:72; ძუკეტი (იტალია) — უნიკახა (ესპანეთი) 85:72

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოსტენდე | 6 | 4 | 2 | 509:459 | 10 |
| ძუკეტი | 6 | 3 | 3 | 441:475 | 9 |
| ტატამი | 6 | 3 | 3 | 489:461 | 9 |
| უნიკახა | 6 | 2 | 4 | 420:464 | 8 |

### D ჯგუფი

კერავნოსი (კვიპროსი) — ფრიბურგი (შვეიცარია) 64:54; ჟელეზნიკი (იუგოსლავია) — პანიონიოსი (საბერძნეთი) 68:79

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანიონიოსი | 6 | 5 | 1 | 458:420 | 11 |
| კერავნოსი | 6 | 3 | 3 | 405:405 | 9 |
| ჟელეზნიკი | 6 | 3 | 3 | 421:441 | 9 |
| ფრიბურგი | 6 | 1 | 5 | 402:420 | 7 |

### E ჯგუფი

ფალკო (უნგრეთი) — პეპსი (იტალია) 85:66; ბეშიქთაში (თურქეთი) — ბიტომი (პოლონეთი) 87:75

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 6 | 5 | 1 | 480:455 | 11 |
| ბიტომი | 6 | 3 | 3 | 462:445 | 9 |
| პეპსი | 6 | 2 | 4 | 433:453 | 8 |
| ფალკო | 6 | 2 | 4 | 458:480 | 8 |

### F ჯგუფი

ფორუმი (ესპანეთი) — მონსი (ბელგია) 83:57; ნოვა ჰუტი (ჩეხეთი) — დიჟონი (საფრანგეთი) 95:90

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დიჟონი | 6 | 4 | 2 | 502:477 | 10 |
| ფორუმი | 6 | 4 | 2 | 459:422 | 10 |
| მონსი | 6 | 3 | 3 | 446:451 | 9 |
| ნოვა ჰუტი | 6 | 1 | 5 | 447:504 | 7 |

### G ჯგუფი

მაკაბი (ირონი, ისრაელი) — სპარტა (ჩეხეთი) 80:50; ციტლიუკი (ბოსნია) — აპოლონი (საბერძნეთი) 66:49

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ციტლიუკი | 6 | 4 | 2 | 409:375 | 10 |
| აპოლონი | 6 | 4 | 2 | 442:411 | 10 |
| მაკაბი | 6 | 4 | 2 | 450:409 | 10 |
| სპარტა | 6 | 0 | 6 | 352:458 | 6 |

### H ჯგუფი

ბენფიკა (პორტუგალია) — ბამბერგი (გერმანია) 63:69; ლე მანი (საფრანგეთი) — მაკაბი (რიშონ ლე ციონი, ისრაელი) 91:89

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 6 | 4 | 2 | 490:454 | 10 |
| ბამბერგი | 6 | 4 | 2 | 424:416 | 10 |
| ლე მანი | 6 | 3 | 3 | 475:480 | 9 |
| ბენფიკა | 6 | 1 | 5 | 429:468 | 7 |

### I ჯგუფი

პორტუ (პორტუგალია) — ადეკო (ესპანეთი) 95:88; ატომიქსი (ბელგია) — ბეზანსონი (საფრანგეთი) 74:73

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ადეკო | 6 | 5 | 1 | 496:449 | 11 |
| პორტუ | 6 | 4 | 2 | 493:463 | 10 |
| ბეზანსონი | 6 | 2 | 4 | 437:418 | 8 |
| ატომიქსი | 6 | 1 | 5 | 411:507 | 7 |

### J ჯგუფი

ბენსტონი (ხორვატია) — დუკატო (იტალია) 66:64; ბორაცი (ბოსნია) — ტუბორგი (თურქეთი) 73:69

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დუკატო | 6 | 4 | 2 | 449:355 | 10 |
| ბენსტონი | 6 | 4 | 2 | 396:417 | 10 |
| ბორაცი | 6 | 3 | 3 | 392:391 | 9 |
| ტუბორგი | 6 | 1 | 5 | 398:458 | 7 |

### K ჯგუფი

ზრინიევაცი (ხორვატია) — სლობოდა (ბოსნია) 62:57; პაპაგოსი (საბერძნეთი) — ტელეკომი (გერმანია) 91:81

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტელეკომი | 6 | 4 | 2 | 469:439 | 10 |
| პაპაგოსი | 6 | 4 | 2 | 456:433 | 10 |
| სლობოდა | 6 | 3 | 3 | 368:395 | 9 |
| ზრინიევაცი | 6 | 1 | 5 | 413:439 | 7 |

### L ჯგუფი

შიაულიაი (ლიტვა) — ლოკომოტივი (რუსეთი) 84:62; პოგონი (პოლონეთი) — შახტიორი (უკრაინა) 98:65

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შიაულიაი | 6 | 4 | 2 | 538:484 | 10 |
| პოგონი | 6 | 4 | 2 | 494:453 | 10 |
| ლოკომოტივი | 6 | 3 | 3 | 503:531 | 9 |
| შახტიორი | 6 | 1 | 5 | 495:562 | 7 |

### M ჯგუფი

აეროპორტი (იტალია) — ლოვჩენი (იუგოსლავია) 92:67; კრკა (სლოვენია) — ჰაპოელი (გალილ ელიონი, ისრაელი) 73:60

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეროპორტი | 6 | 5 | 1 | 477:424 | 11 |
| კრკა | 6 | 5 | 1 | 465:426 | 11 |
| ლოვჩენი | 6 | 1 | 5 | 414:466 | 7 |
| ჰაპოელი | 6 | 1 | 5 | 444:484 | 7 |

### N ჯგუფი

პსჟ (საფრანგეთი) — ბაიერი (გერმანია) 68:58; ბარსელონა (ესპანეთი) — ოკაპი (ბელგია) 87:60

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 6 | 0 | 515:411 | 12 |
| ოკაპი | 6 | 3 | 3 | 498:524 | 9 |
| პსჟ | 6 | 3 | 3 | 466:451 | 9 |
| ბაიერი | 6 | 0 | 6 | 409:502 | 6 |

### O ჯგუფი

აზოვბასკეტი (უკრაინა) — ნეპტუნასი (ლიტვა) 85:90; არსენალი (რუსეთი) — ჰონკა (ფინეთი) 79:75

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 6 | 5 | 1 | 487:398 | 11 |
| ნეპტუნასი | 6 | 4 | 2 | 522:485 | 10 |
| ჰონკა | 6 | 3 | 3 | 449:457 | 9 |
| აზოვბასკეტი | 6 | 0 | 6 | 428:546 | 6 |

### P ჯგუფი

ბეობანკა (იუგოსლავია) — დარუშაფაკა (თურქეთი) 87:91; ირაკლიონი (საბერძნეთი) — სვიტი (სლოვაკეთი) 81:61

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დარუშაფაკა | 6 | 5 | 1 | 523:429 | 11 |
| ირაკლიონი | 6 | 4 | 2 | 472:464 | 10 |
| ბეობანკა | 6 | 3 | 3 | 482:463 | 9 |
| სვიტი | 6 | 0 | 6 | 397:518 | 6 |

***ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გავიდა მეთექვსმეტედფინალში, სადაც მატჩები ორ წრედ გაიმართება.***

**მეთექვსმეტედფინალი. 9 დეკემბერი 16 დეკემბერი**

რადნიჩკი (იუგოსლავია) — დოლფინსი (შვედეთი)
ალიტა (ლიტვა)— გალათასარაი (თურქეთი)
ძუკეტი (იტალია) — პანიონიოსი (საბერძნეთი)
კერავნოსი (კვიპროსი) — ოსტენდე (ბელგია)
ბიტომი (პოლონეთი) — დიჟონი (საფრანგეთი)
ფორუმი (ესპანეთი)— ბეშიქთაში (თურქეთი)
აპოლონი (საბერძნეთი) — მაკაბი (რიშონი, ისრაელი)
ბამბერგი (გერმანია)— ციტლიუკი (ბოსნია)
პორტუ (პორტუგალია) — დუკატო (იტალია)
ბენსტონი (ხორვატია) — ადეკო (ესპანეთი)
პაპაგოსი (საბერძნეთი) — შიაულიაი (ლიტვა)
პოგონი (პოლონეთი) — ტელეკომი (გერმანია)
კრკა (სლოვენია)— ბარსელონა (ესპანეთი)
ოკაპი (ბელგია) — აეროპორტი (იტალია)
ნეპტუნასი (ლიტვა) — დარუშაფაკა (თურქეთი)
ირაკლიონი (საბერძნეთი) — არსენალი (რუსეთი)



ეროვნული ბიბლიოთეკა

დუბლინის „ლენსდაუნ როუდზე“ ქართველ „ბორჯღალოსანთა“ გულსაკლავი მარცხის ამბავი უკვე გამცნეთ. თქმა არ უნდა, სპორტის საბურთაო სახეობებში ყველაზე დიდი წარმატების მიღწევის რეალური შანსი გავუშვით ხელიდან — რუმინეთთან წავაგეთ და ახლა სანუგეშო ტურნირში მასზე გაცილებით ძლიერ ტონგასთან მოგვიწევს დაჯახება ვაკანტურად დარჩენილი ერთ-ერთი საგზურისთვის. არადა, ბრძოლა ნამდვილად ცხარე მოგველის. არანაკლები, ვიდრე დუბლინში. მოგველის როგორც თბილისში, ასევე ავსტრალიის აღმოსავლეთით, წყნარ ოკეანეში მიმოფანტული პოლინეზიური კუნძულების დედაქალაქ ნუკუალოფაში. მაინც უნდა ვიბრძოლოთ...

...რაც მოხდა, მოხდა. ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. თუ ოდესმე დიდი წარმატების მიღწევა გვსურს, დამარცხების ღირსეულად გადატანა და შეცდომებისგან სწორი დასკვნების გამოტანაც უნდა ვისწავლოთ. ადრე თუ გვიან ეს ეტაპი უნდა გაგვევლო. ეს ხომ აუცილებელია თუნდაც ასეთ დონეზე თამაშისთვის აუცილებელი გამოცდილების მისაღებად. ჩვენ ვერც „როიტერისა“ თუ სხვა უცხოური საინფორმაციო საშუალებების მიერ ჩვენი ბიჭების მისამართით ნათქვამი ქების სიტყვები გვწამლობს და ვერც ღირსეულად დამარცხების იარლიყი გვშველის. ჩვენ წაგება წაგებად გვტკივა, თუმც ისიც მშვენივრად გვესმის, რომ უმოედნოდ, უფულოდ და უპატრონოდ (ამ სიტყვების ადრესატებად რაგბის კავშირის ხელმძღვანელობაზე მაღლა მდგომ ინსტანციებს ვგულისხმობთ), დარჩენილმა მორაგბეებმა კიდევ ბევრს მიაღწიეს.

დღეს-ხვალ ჩვენი ნაკრები შინ დაბრუნდება და წაგების მიზეზებზე დაწვრილებით მაშინ ვისაუბრებთ, ახლა კი, ცხელ გულზე, ეს ინტერვიუს იყოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტთან ზაზა ქასაშვილთან, რომელსაც გუშინ პარიზში შევეხმიანეთ.

# წაგება გვტკივა... მაგრამ საყვედურს ნუ ვიჩქარებთ



REUTERS ფოტოქრონიკა

წინ რუმინელია, უკან ქართველები

— მარცხი უმთავრესად ასეთ მაღალ დონეზე თამაშის გამოუცდელობამ განაპირობა. რუმინეთი მსოფლიოს თასის წინა გათამაშებებში ყოველთვის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობდა. ამ მხრივ ჩვენ შორის დიდი განსხვავებაა, რომლის დაძლევაც ვერ შევძელით. აქედან გამომდინარე, ეს მარცხი კანონზომიერიც ჩანს. ეს ეტაპი აუცილებლად გასავლელია და რაც ადრე მოხდება, მით უკეთესი. სხვანაირად გამოცდილება არ მოვა და ამ პროცესს ვერც ხელოვნურად დავაჩქარებთ. ამ შეხვედრის ბედი რუმინელთა სასარგებლოდ კი გადაწყდა, მაგრამ მათ ძალიან გაუმართლათ. სწორედ გამოუცდელობის გამო ვერ ახერხებდა ჩვენი უკანა ხაზი თამაშის სწრაფ და სწორ ორგანიზებას. უპირატესობა მთელი თამაშის განმავლობაში ჩვენებისა იყო, მაგრამ ეს ანგარიშში არ ასახულა. რუმინელებმა თავიანთი შანსები უნაკლოდ გამოიყენეს. ჩვენების ძლიერი თამაში ირლანდიურმა პრესამაც აღნიშნა, ქართველები მომავალი სარაგბო ერია და მას თავისი ადგილი ექნება მსოფლიოშიო. თითქმის ყველამ მოიწონა ჩვენი ნაკრების დონე ყველა კომპონენტში ვჯობდით მეტოქეს, თამაშსაც დაახლოებით 70 პროცენტით ვაკონტროლებდით, მაგრამ მაინც წავაგეთ.

**— ამჟამად გუნდში როგორი განწყობაა? ამ წაგებით ხომ ყველაფერი არ დაკარგულა.**

— ეს-ესაა, გია რაფავას ვესაუბრებოდი და მან მითხრა ის, რაც ყველას განწყობილებას გამოხატავს: მთელი გუნდი, ფრანგი მწვრთნელ-კონსულტანტების ჩათვლით, ერთი მიზნისთვის დარაზმულ, მეგობრულ და შეკრულ კოლექტივად რჩება. მათ სწამთ, რომ აუცილებლად მოიმკიან თავიანთი გარჯის ნაყოფს, ხოლო ეს წაგება კარგ გაკვეთილად იქცევა. ეს მარცხი სამომავლოდ გამოცდილებად და ჭკუის სასწავლებლად გამოადგებათ, რათა გუნდი კიდევ უფრო დაირაზმოს, შეიკრას და ღირსეულად შეებას ტონგას. იმედი მაქვს, ქართველი მაყურებელი თბილისში ლამაზ გამარჯვებას იხილავს.

**— იხილავს ტონგასთან, რომელიც რუმინეთზე გაცილებით ძლიერია?**

— ჩვენს ნაკრებს დღეს ნამდვილად შესწევს ნებისმიერ მეტოქესთან ბრძოლის ძალა. ტონგა რუმინეთზე მართლაც გაცილებით ძლიერია. აქედან გამომდინარე, მეტი მუშაობაც გვმართებს, განსაკუთრებით სამეოთხედელებისა და უკანახაზელების ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ჩვენ ვთვლით, რომ შანსები ტონგასთან მაინც გვაქვს და არცთუ ისე მცირე. მათთან შეხვედრის დრო მალე დაზუსტდება.

**— ნაკრების ხელმძღვანელობა ხომ არ თვლის, რომ ირლანდიაში ღირსეულად საასპარეზოდ უფრო უკეთ მომზადება იყო საჭირო?**

— გუნდის წევრებსაც და მის ხელმძღვანელობასაც მიაჩნიათ, რომ შესაძლებლობების მაქსიმუმი გაკეთდა. ისინი მოსამზადებელი პერიოდით უკმაყოფილონი ნამდვილად არ არიან, თუმც უფრო მეტი სათამაშო პრაქტიკა, ასეთი დონის გუნდებთან შეხვედრების მეტი გამოცდილება და საერთოდ, უფრო უკეთესი პირობები რომ ყოფილიყო, გაცილებით კარგი იქნებოდა. მაგრამ რაზეა ლაპარაკი, როცა ბიჭებს საქართველოში ნორმალურ მოედანზე თამაშის საშუალება არა აქვთ! ჩვენებურ ქვიან და უვარგის სტადიონებზე ხეირიანი რაგბის თამაში არ შეიძლება. ვარკეთილის მოედანზე ისეთი მტვრის ბუღი ავარდება-ხოლმე ქვიანი საფარის გამო... ამიტომ უკანა ხაზის მოთამაშეები დაშავების შიშით შებოჭილად თამაშობენ. ეს ნაკლი, ეს კომპლექსი კარგ ევროპულ მოედნებზე თამაშის მიუხედავად აშკარად ეტყობოდა ჩვენს ნაკრებსაც.

ირაკლი თავაძე

# ტონგას ვნახავთ, ტონგა გვნახავს

გუშინწინ მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპის კიდევ ოთხი მონაწილე გამოვლინდა. ინგლისელთა, ირლანდიელთა და რუმინელთა დარად ეს უფლება მოიპოვა იტალიამ, რომელმაც 67:7 მოუგო ჰოლანდიას. ამ ჯგუფში დარჩა ინგლის-იტალიის მატჩი, რომელიც აღარაფერს წყვეტს (ისევე, როგორც ირლანდია — რუმინეთი).

კიდევ ორი მონაწილე დეკემბრის დამდეგს გაირკვევა, როცა ედინბურგში ევროპა-3 ჯგუფის გუნდები — შოტლანდია, პორტუგალია და ესპანეთი შეიკრიბებიან: ორი საუკეთესო ფინალში გავა, მესამეს სანუგეშო ტურნირი ელის.

სადღეისოდ მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე გუნდები ასე დალაგდნენ:

A ჯგუფი (შოტლანდიაში)
**სამხრეთი აფრიკა, ევროპა-3 ჯგუფის ორი საუკეთესო, სანუგეშო ჯგუფის გამარჯვებული (მაროკო — ურუგვაი — ევროპა-3-ის მაჩანჩალა).**

B ჯგუფი (ინგლისში)
**ახალი ზელანდია, ინგლისი, იტალია, სანუგეშო ჯგუფის გამარჯვებული (კორეა, ჰოლანდია, საქართველო, ტონგა)**

C ჯგუფი (საფრანგეთში)
**საფრანგეთი, ფიჯი, კანადა, ნამიბია**

D ჯგუფი (უელსში)
**უელსი, არგენტინა, დასავლეთი სამოა, იაპონია**

E ჯგუფი (ირლანდიაში)
**ავსტრალია, ირლანდია, აშშ, რუმინეთი**

### მომდევნო მატჩები

**ევროპა-3: შოტლანდია — პორტუგალია (28 ნოემბერი), ესპანეთი — პორტუგალია (2 დეკემბერი), შოტლანდია — ესპანეთი (5 დეკემბერი)**

ორი საუკეთესო გადის ფინალში. მესამეადგილოსანი შეხვდება ურუგვაის, ამათში მოგებული — მაროკოს. გამარჯვებული გადის ფინალში.

კორეა ეთამაშება ჰოლანდიას, საქართველო — ტონგას. ამათში მოგებულები ერთმანეთს ხვდებიან და გამარჯვებული გადის ფინალში.



REUTERS ფოტოქრონიკა

იტალიამ ჰოლანდიის გასაქანი არ მისცა

# ჩემი თამაში შენსას სჯობს


სარბიელის არქივიდან

გორან ივანიშევიჩი

გასულ კვირას მოსკოვის „კრემლის თასზე“ გამართული პრესკონფერენციები სქესთა შორის ბრძოლას უფრო წააგავდა — იქ მოთამაშე ჩოგბურთელმა კაცებმა თავიანთ კოლეგა ქალებს კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს თავს.

ყველაფერი შვეიცარიელმა მარკ როსემ დაიწყო: „ოთხი ან ხუთი ჩოგბურთელი ქალის გარდა კარგ ფორმაში არც ერთი არ არის. ისინი მთელი დღის განმავლობაში ან კაბებს იზომავენ ან საერთოდ არაფერს არ აკეთებენ, რადგან არც სჭირდებათ — ქალების ჩოგბურთი გაცილებით სუსტია. აი, პიტ სამპრასი ყველა ქალაქში საყიდლებზე ან ექსკურსიებზე რომ დადიოდეს, პირველი ჩოგანი ალარც იქნებოდა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ქალთა თამაში გაცილებით იოლია და ისინი ბევრი ოფლისღვრის გარეშე იჯიბავენ უზარმაზარ თანხებს“.

1992 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მერე ფემინისტურ მოძრაობასაც დაუცაცხანა, ქალები ტყუილად ცდილობენ თანასწორუფლებიანობის მოპოვებას, ჩვენთან პაექრობას ვერასოდეს შეძლებენო: „ავსტრალიის ღია პირველობაზე დებმა უილიამსებმა განაცხადეს, კლასიფიკაციის მესამე ასეულიდან ნებისმიერ ჩოგბურთელს იოლად მოვუგებთო. აირჩიეს გერმანელი კარსტენ ბრააში და ორივემ 1:6 წააგო (ვინუსმა 2:6) — ის კი ერთადერთია ტურზე, რომელიც კორტზე გასვლის წინ სიგარეტს ეწევა“.

როსეს მხარი გორან ივანიშევიჩმაც დაუჭირა, უილიამსების ფიასკო ყველაფერზე მოწმობს, მით უმეტეს, რომ ბრააში დღეში ორ კოლოფ სიგარეტს ეწევა და ჩოგბურთზე მეტ დროს გოლფის თამაშს უთმობსო: „ქალებისა და კაცების ჩოგბურთს ვერც კი შევადარებ ერთმანეთს. მაგალითად, აშშ-ის ღია პირველობაზე საპრიზო ფონდი თანაბარი გვაქვს, მაგრამ მარტინა ჰინგისი მეოთხედფინალამდე სულ 6:0, 6:0-ებით იგებს, ჩვენ კი ხუთსეტიან მატჩებს ვუძლებთ“.

ზემოთქმულის მიუხედავად, ივანიშევიჩი ერთ ჩოგბურთელ ქალს მაინც გამოარჩევს ყველასგან: „ჩემთვის შტეფი გრაფი ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელი ქალია. შეიძლება სხვებსაც არა უშავდეთ, მაგრამ შტეფი, თუ მას თამაში უნდა, ყველას მოუგებს“.

რაღა მისახვედრია, ვის გამო მოინანია თავისი ნათქვამი მეორე დღეს როსემ: „უნდა ვაღიარო, რომ ცოტა გადავამლაშე. ზოგიერთ ჩოგბურთელ ქალს დიდ პატივს ვცემ, განსაკუთრებით შტეფი გრაფს. ასე კი იმიტომ გავცხარდი, რომ გავიგე, მონიკა სელეშს ჩვენს შესახებ რაღაც არასასიამოვნო უთქვამს და პასუხის გაცემა მსურდა“.

აი, ევგენი კაფელნიკოვმა კი როსე-ივანიშევიჩის მსგავსი გამონათქვამებისგან თავი შორს დაიჭირა, ის კი არა, მონიკა სელეშის ზემოხსენებულ განცხადებას, კაცების ჩოგბურთი ჩვენსაზე ინტერესო გახდაო — სულაც მხარი დაუჭირა: „ჩვენ მართლაც კრიზისში ვიმყოფებით. ედბერგი სპორტიდან წავიდა, ბეკერი სულ უფრო ნაკლებს თამაშობს, ისეთი გამორჩეული ვარსკვლავები კი, როგორიც ანდრე აგასი და პიტ სამპრასი არიან, ბოლო ხანებში არ გამოჩენილან“.

თუმცა კაფელნიკოვს მშველელიც ეგულება - 18 წლის თანამემამულე მარატ საფინი: „მარატი უკვე დაღვინებული, საკუთარი სტილის მქონე მოთამაშეა, რომელსაც მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელებიც პატივს სცემენ. ცოტა გამოცდილება აკლია, თორემ მისი ფიზიკური და ტექნიკური შესაძლებლობები თითქმის ამოუწურავია“.

საბედნიეროდ, კამათში მონაწილეობის შესაძლებლობა ჰოლანდიელ რიჩარდ კრაიჩეკს არ ჰქონია. გაინტერესებთ მისი ერთ-ერთი გამონათქვამი სელეშის კოლეგებზე? „ყველა ჩოგბურთელი ქალი ზარმაცი ღორია“

## ჰოლანდიელთა უკანასკნელი რეისი

**ჰარტფორდი. აშშ. ATP ტურის წყვილების მსოფლიოს ჩემპიონატი. ტარდება ჰარდზე. საპრიზო 800 ათასი $**

როგორც წესად იქცა, წყვილების მსოფლიოს ჩემპიონატში ერთეულებში გამორჩეული ჩოგბურთელებიდან ისევ არავინ ასპარეზობს. არადა, მათ ჰარტფორდში ჩასატყუებლად ATP ტურმა წლეულს ყველა ღონე იხმარა: საუკეთესო ათეულის წარმომადგენელს ჯილდოდ 150 ათასი დოლარი დაუდგინა, ოცეულისას - 50 ათასი, მაგრამ ისევ არაფერმა გაჭრა: ყველაზე მაღალი კლასიფიკაციის პატრონი ჩემპიონატზე 41-ე ფაბრის სანტოროა.

ჰარტფორდში წლეულს 90-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო დუეტის—იაკო ელტინგისა და პოლ ჰაარჰუისის გედის სიმღერა შედგება. „მფრინავ ჰოლანდიელებად“ წოდებული წყვილის უმცროსი წევრი - 28 წლის ელტინგი ამ ტურნირის შემდეგ ქრონიკული მუხლის ტკივილების გამო დიდ სპორტს ეთხოვება: „ჩოგბურთს 12 წლიდან ვთამაშობ, შესანიშნავი კარიერაც მქონდა, მაგრამ ჩემოდნების ხშირად ჩალაგების სურვილი დიდი ხანია, გამიქრა“.

ჰოლანდიელებს ერთად 38 ტიტული აქვთ მოპოვებული, მათ შორის, ოთხივე დიდი სლემის ტურნირის და ამჟამად კლასიფიკაციაშიც პირველები არიან. ელტინგმა ჰაარიუსის არყოფნაში (შვილის შეძენის გამო) იანვარში იონას ბიორკმანთან ერთად ავსტრალიის ღია პირველობაზეც იმარჯვა. მას აშშ-ს ღია პირველობაზე ნახევარი საუკუნის მანძილზე პირველად დიდი სლემის მოპოვების შესაძლებლობაც ჰქონდა, მაგრამ ისტორიაში შესვლას პირმშო ლარსის დაბადებაზე დასწრება ამჯობინა.


REUTERS ჰარტფორდიდან

ტოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი

„ჩვენ გვინდა, პარტნიორობა წარმატებით დავაგვირგვინოთ — ჰარტფორდში გავიმარჯვოთ და სეზონი მსოფლიოს საუკეთესო წყვილად დავასრულოთ“ — განაცხადა ჰაარჰიუსმა.

ჰოლანდიელების მთავარი კონკურენტები მეორედ განთესილი ინდური დუეტი — ლეანდერ პაესი და მაჰეშ ბჰუპატი იქნებიან, რომლებიც „მფრინავებს“ 180 ქულით ჩამორჩებიან. შედარებით წარუმატებელი სეზონის მიუხედავად, არ შეიძლება „ვუდების“ — ტოდ ვუდბრიჯისა და მარკ ვუდფორდის ჩამოწერაც. ამათ ჩემპიონატზე ზედიზედ მერვედ ასპარეზობით მაკენროი-ფლემინგის ძველი რეკორდი გააუმჯობესეს.

8 წყვილი კენჭისყრით ორ ჯგუფად გაიყო, რომლებიდანაც პირველ-მეორე ადგილზე გასულები ნახევარფინალში იასპარეზებენ.

მწვანე ჯგუფი:
ელტინგი/ჰაარჰიუსი (1)
ვუდბრიჯი/ვუდფორდი (3)
ელის ფერერა/რიკ ლიჩი (5)
ოლივიე დელეტრი/სანტორო (7)
ოქროს ჯგუფი
ბჰუპატი/პაესი (2)
მარკ ნოულსიპდანიელ ნესტორი (4)
სენდონ სტოლი/სირილ სუკი (6)
დონალდ ჯონსონი/ფრანსისკო მონტანა (8)

**პირველი წრის შედეგები: ელტინგი და ჰაარჰიუსი — ფერერა და ლიჩი 6:4, 6:4; დელეტრი და სანტორო — ვუდბრიჯი და ვუდფორდი 6:7 (1:7), 6:3, 6:4; ჯონსონი და მონტანა — ბჰუპატი და პაესი 3:6, 6:4, 7:6 (7:4); ნოულსი და ნესტორი — სტოლი და სუკი 1:67 6:4, 6:2.**

ავთანდილ სვანიძე

## რიოსი უფროსობას უტევს

მარსელო რიოსმა ამ დღეებში კიდევ ერთხელ შეუტია ATP ტურის თავკაცობას.

„ისინი ისე გვეპყრობიან, თითქოს არმიაში ვიყოთ - განუცხადა ჩილელმა მსოფლიოს მეორე ჩოგანმა გერმანული ყოველკვირეულ „შტერნს“ - თუ ნერვებაშლილი ჩოგბურთელი ჩოგანს გატეხს, დამსჯელი მანქანა მაშინვე ამოქმედდება-ხოლმე. მათ სურთ, უსისხლო არსებებად გვაქციონ“.

რიოსი გერმანიას მშობლიური სანტიაგოს ტურნირზე იმედგამაცრუებული ასპარეზობის შემდეგ ეწვია - გამარჯვება კლასიფიკაციის პირველ ადგილზე აღზევების შესაძლებლობას იძლეოდა, რიოსი კი მეოთხედფინალში ნაკლებად ცნობილ კოსტარიკელ ხუან ანტონიო მარინთან დამარცხდა. მიუხედავად ამისა, ჩილელს პიტ სამპრასის გასწრების შანსი მაინც აქვს, თუ მომავალი კვირის ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით გამოვა.

რიოსმა, რომელმაც ყველაზე მეტ —7 ტურნირზე იმარჯვა და ერთი ხანობა პირველი ჩოგანიც გახლდათ, ინტერვიუში აღნიშნა, ჩოგბურთი მაინცდამაინც მეგობრული სპორტი არ არისო: „ამ ბიზნესში თავს ისე გრძნობ, როგორც გარეული ცხოველი გალიაში. თითოეული საკუთარ თავზე ზრუნავს, სხვებისთვის კი დრო არა აქვს ან სულაც არ აინტერესებს“.

ფეთქებადი და საკუთარ თავში ჩაკეტილი ჩილელი საფრანგეთის ღია პირველობაზე ყველაზე უსიამოვნო ჩოგბურთელისთვის განკუთვნილი „ლიმონის პრიზის“ მუდმივი ლაურეატი ხდება. მაგრამ საგაისოდ სხვანაირი ამბიციები აქვს: „ბოლო თვეების განმავლობაში მე მგონი, გამოვსწორდი. შეიძლება 1999-ში ეს დაწყევლილი პრიზი სხვასაც მისცენ“.


სარბიელის არქივიდან

მარსელო რიოსი

ცნობილმა რუსმა ჩოგბურთელმა ევგენი კაფელნიკოვმა თითქმის გასრულებული სეზონი აშკარად სუსტად ჩაატარა, მაგრამ ბოლო აკორდი მაინც მაჟორული გამოდგა. შინ, მოსკოვში, „კრემლის თასზე“ მან წინ აღარავინ გაუშვა და პირველობაც ირგუნა. თანაც ფინალში თავისი ძველი მეტოქე, ხორვატი გორან ივანიშევიჩი დაამარცხა ერთობ დაძაბულ ბრძოლაში 7:6, 7:6. ამ სეზონში კაფელნიკოვმა მესამედ გაიმარჯვა. მანამდე, თებერვალში, მან ლონდონის ტურნირზე იმარჯვა, ივნისში კი გერმანულ ქალაქ ჰალეში მიაღწია წარმატებას. კრემლის თასის საპრიზო ფონდი საკმაოდ შთამბეჭდავია — 1 150 000 დოლარი. გამარჯვებულს აქედან 157 ათასი დოლარი ერგო, პლუს სარეიტინგო ქულები, რომლებიც მას ჰონოვერის მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლებას მისცემს.

# ათეისტი კაფელნიკოვი სამპრასს მეუძრება


სარბიელის არქივიდან

ევგენი კაფელნიკოვი

**— „კრემლის თასზე“ გამარჯვება რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის?**

— უმნიშვნელოვანესი. ეს სეზონი სხვადასხვა მიზეზთა გამო ჩემთვის არცთუ წარმატებული გამოდგა, რითაც სარეიტინგო ქულები მრავლად დამაკლდა. მოსკოვური გამარჯვება კი იმის საშუალებას მაძლევს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატში მივიღო მონაწილეობა.

გარდა ამისა, თავადაც ნახავდით კორტზე მოსული უამრავ გულშემატკივარს და არ მინდოდა, მათთვის იმედები გამეცრუებინა. სად არ მიწევს ტურნირებში თამაში, სამშობლოში კი ამას იშვიათად ვახერხებ. თვისტომთა წინაშე გამარჯვება ყოველთვის უფრო გასახარია.

**— 1996 წელს კრემლის თასის ფინალში თქვენ უკვე შეხვდით ივანიშევიჩს და მაშინ დამარცხდით. წელს, ასევე მძიმე ბრძოლაში, გამარჯვება მოახერხეთ. თქვენი შეხვედრები უკვე ტრადიციულად იქცა და ყოველთვის დაძაბულად მიმდინარეობს. რით ახსნით ამას?**

— კითხვას თავადვე გაეცით პასუხი. ჩვენ ხშირად გვიწევს თამაში, კარგად ვიცნობთ ერთმანეთს და ეს დაძაბული გეიმები და სეტებიც სწორედ აქედანაა.

**— კრემლის თასის ფინალურ შეხვედრაში დაახლოებით 18 ათასი ადამიანი გქომაგობდათ. თანაც არასაჩოგბურთო ხერხებით — ხმამაღალი შეძახილებით. ეს ხელს არ გიშლიდათ?**

— ადრე ტრიბუნებს დიდ ყურადღებას ვაქცევდი და ხანდახან ისინი ჩემზე უარყოფითადაც მოქმედებდნენ, მაგრამ მერე და მერე ყველაფერმა გაიარა და ახლა ქომაგთა ხმა საერთოდ არ მესმის, ასე რომ, ხელსაც არაფერში მიშლის.

**— ყოველ წელს უამრავ ტურნირში მონაწილეობთ. განა ამას დიდი ფიზიკური ძალა არ მიაქვს და სტაბილურად თამაშში ხელს არ გიშლით?**

— საერთოდ, ფიზიკური მომზადება ჩემს სუსტ წერტილად მიმაჩნია, მაგრამ იმდენსაც არ ვთამაშობ, რომ ამან ჩემს შედეგზე იმოქმედოს.

**— რით ახსნით ჩავარდნას წლევანდელ სეზონში? ის ხომ თქვენთვის არცთუ წარმატებული აღმოჩნდა...**

— მთელი სეზონის განმავლობაში ტრავმები მაწუხებდა, რასაც არ შეიძლებოდა, არ ემოქმედა. ვიმედოვნებ, რომ მომავალი სეზონი გაცილებით ბევრს მომიტანს და შევძლებ დაკარგული პოზიციების დაბრუნებას.

**— კორტის მიღმა რით ხართ დაკავებული?**

— ჩოგბურთს ძალიან დიდ დროს ვუთმობ, მაგრამ სხვა ინტერესებიც გამაჩნია. მოხარული ვარ, რომ ჩემი ჰობი ისევ ჩოგბურთში მეხმარება. ძალიან მიყვარს თხილამურებით სრიალი, რაც ჩემთვის კუნთების განვითარების საუკეთესო საშუალებაა. ბოლო დროს სიამოვნებით ვუყურებ აგრეთვე კრივის ტელერეპორტაჟებს. სხვაც ბევრი რამ მიტაცებს, რომელთა შესახებაც საუბარი არ მსურს.

**— ბევრის აზრით, სამპრასი დღესდღეობით უძლეველია. იგულისხმება არა ცალკეული შეხვედრები, არამედ საერთო შედეგები.**

— მე ასე არ მგონია, რის დამტკიცებასაც უახლოეს ხანს აუცილებლად შევეცდები.

**— თქვენი გამარჯვებებიდან რომელს გამოარჩევდით?**

— ბოლო დროს ასე აღარ ვფიქრობ, თავისებურად ყველა დასაფასებელი და ღირსსახსოვარია.

**— მორწმუნე ბრძანდებით?**

— არა, ათეისტი გახლავართ.

**— ხანდახან წარმოუდგენელი სისწრაფით მოძრავი ბურთის აღებას ახერხებთ. რაიმე საგანგებო მეთოდიკით ვარჯიშობთ?**

— არაფერი განსაკუთრებული. თანაც, სიმართლე გითხრათ, ხანდახან წარმოუდგენლად მიმართლებს.

**— ცხოვრებაშიც ასეა?**

— ალბათ.

**— ფიქრობთ თუ არა, რომ ოდესმე შეიძლება გახდეთ პლანეტის პირველი ჩოგანი?**

— ამაზე სერიოზულად არ მიფიქრია. თავისთავად ეს მშვენიერია, მაგრამ ბოლო ხანს დიდი სლემის რომელიმე ტურნირის მოგებასაც არანაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებ.

**— ბუნებით მიმტევებელი ადამიანი ხართ?**

— მრისხანე არ მეთქმის. შემატყვეთ რამე?

**— ესე იგი, მეტოქეს მტრად არ მიიჩნევთ?**

— არა, რა თქმა უნდა.

**— განსაკუთრებით ვისთან გიჭირთ თამაში?**

— ახლა უამრავი ძლიერი ჩოგბურთელია და ვინმეს გამორჩევა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. თამაში მათთან მიჭირს, ვინც ჩემს სტილს კარგად იცნობს.

**— რას ფიქრობთ რუსეთში გამეფებულ საყოველთაო სიღატაკეზე?**

— იმედი მაქვს, რომ ესოდენ მდიდარი პოტენციალის მქონე ქვეყანა, როგორიც რუსეთია, შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას.

**იური ციბანიოვი**
**მოსკოვიდან**
**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „ბეა“**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

# ...ისის ქვეყნის დაისი

გუშინ ფრენბურთელმა კაცებმა იაპონიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალური ეტაპის მეორე ტურის მატჩები გამართეს. კვლავ გაიმარჯვა ესპანეთის ნაკრებმა, ...ლმაც ამჯერად ტურნირის მასპინძლებს ...ა. ესპანელთა მსგავსად ყველა თამაში ...ჯერობით კიდევ ხუთმა ქვეყანამ მოიგო ...რაზილიამ, კუბამ, იტალიამ, ჰოლანდიამ ...უგოსლავიამ. ალბათ, სწორედ ამ გუნ...დან ერთ-ერთი გახდება მსოფლიოს ჩე...ონიც.

...როსიმაში, სადაც I მეოთხედფინალური ...ის შეხვედრები ტარდება, პირველად ...ლებმა და კანადელებმა ითამაშეს. კუბ...ლებმა დაძაბულ ბრძოლაში მორიგი გა...ვება მოიპოვეს. „გუშინ ბულგარელე...თამაშმა ძალიან დაგვქანცა და დღეს ...მ ვერ ვიყავით ჩვეულ ფორმაში. ამის ...დავად, წარმატებას მივაღწიეთ და ნა...ფინალისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გა...ით" — თქვა კუბელთა მწვრთნელმა ...ასმა.

...ობა, კუბელებთან თამაშით ბულგარე... სულ არ დაღლილან, რადგან მე-2 ...ი მათ არგენტინელებთან 2 საათსა და ...ის იბრძოლეს და გაიმარჯვეს კიდეც. ...ტებში საუკეთესო ივაილო სტეფანო..., მისმა სწორად განაწილებულმა პა...შედეგი გამოიღო — 3:2. „პირველ ...ში არ გაგვჭირვებია, შემდეგ ცოტა...რიეთ. ბოლო ხელში კი მობილიზება ...ით და მოგება ხელიდან არ გავუ... — უთხრა ბულგარელთა კაპიტან ...უზუნოვს.

...ოთხედფინალში ბარზილიელებს ჯერ პა... არ დაუთმიათ. გუშინ მათ კორეე...ჯობეს — 15:13, 15:5, 15:9. ეს აზიელთა...ორე 0:3 წაგებული მატჩია. პირველ ...ში კორეა ახლოს იყო გამარჯვება...:9, მაგრამ აქ გამოჩნდა ბრაზილიე...ლების სიძლიერე. საბოლოოდ — 15:13 ...ის სასარგებლოდ. „კორეა დანარ...ური ქვეყნების სტილში თამაშობს. ...უნდებთან კი ჩვენ, როგორც წესი, ...დ ვიმარჯვებთ" — წარმატების მი...ანდო ჟურნალისტებს ბრაზილიის ...ს თავკაცმა ფილიო ლატარიმ.

...ის ბოლო მატჩში ერთმანეთის პი... ესპანელები და იაპონელები წა... კარგად ორგანიზებულმა ევროპე...ავიანთი ლიდერის რაფაელ პასკუ...ხელმძღვანელობით დაძაბულ ბრძოლა...ეს მასპინძლების მეორედ დამარცხ... ...რველი პარტია პირინეელებმა იო...ეს (15:5) და მეორეშიც დაწინაუ...3:6). თუმცა აქ იაპონელები გარდა...ა თავიანთი მაყურებლის მხარდა...ზედიზედ ცხრა ქულა მოიპოვეს. ...გათანაბრდა. მესამე პარტიაც იმ...ით დაიწყო, მაგრამ აქ უკვე ესპა...

ნელებმა მოახერხეს თამაშში გარდატეხის შეტანა — 15:8. მეოთხეში კვლავ ამომავალი მზის ქვეყნის ფრენბურთელებმა იმარჯვეს და მათ 6 700 გულშემატკივარსაც იმედი მიეცა, რომ წინა ეტაპზე 1:3 წაგების გამო რევანშიც შედგებოდა. იაპონელები იმედოვნებდნენ, ესპანელებმა კი მოიგეს.

მეორე ჯგუფში ნახევარფინალში გასვლის ოთხივე კანდიდატმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. იუგოსლავიამ საბერძნეთი დაამარცხა, რუსეთმა ჩინეთი, ჰოლანდიამ უკრაინა, იტალიამ კი აშშ გაანადგურა (15:6, 15:2, 15:2). „მნიშვნელოვანი შეხვედრა მოვიგეთ, თუმცა მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინაა. იმედი მაქვს, საუკეთესო ოთხეულში მოხვედრას შევძლებთ" — იმედიანად საუბრობდა რუსთა მწვრთნელი გენადი ჩიპულინი. რამდენად გამართლებულია მისი ოპტიმიზმი, ჩვენი მეზობლების იტალიასთან, ჰოლანდიასთან და იუგოსლავიასთან შეხვედრები გვაჩვენებს.

**გაიოზ თალაკვაძე**

**მეოთხედფინალური ჯგუფები**
**II ტური**

კუბა — კანადა 3:1 (15:10, 10:15, 15:12, 15:5)
ბულგარეთი — არგენტინა 3:2 (15:8, 16:17, 15:7, 10:15, 15:9)
ბრაზილია — კორეა 3:0 (15:13, 15:5, 15:9)
ესპანეთი — იაპონია 3:2 (15:5, 13:15, 15:8, 11:15, 15:12)
იუგოსლავია — საბერძნეთი 3:1 (11:15, 15:3, 15:9, 15:5)
რუსეთი — ჩინეთი 3:1 (15:8, 16:17, 17:16, 15:9)
ჰოლანდია — უკრაინა 3:1 (14:16, 15:11, 15:8, 16:14)
იტალია — აშშ 3:0 (15:6, 15:2, 15:12)

I მეოთხედფინალური ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 6:0 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 6:2 | 4 |
| კუბა | 2 | 2 | 0 | 6:2 | 4 |
| არგენტინა | 2 | 1 | 1 | 5:4 | 3 |
| ბულგარეთი | 2 | 1 | 1 | 4:5 | 3 |
| იაპონია | 2 | 0 | 2 | 3:6 | 2 |
| კანადა | 2 | 0 | 2 | 1:6 | 2 |
| კორეა | 2 | 0 | 2 | 0:6 | 2 |

II მეოთხედფინალური ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 6:0 | 4 |
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 6:1 | 4 |
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 6:1 | 4 |
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 6:3 | 4 |
| აშშ | 2 | 0 | 2 | 2:6 | 2 |
| ჩინეთი | 2 | 0 | 2 | 1:6 | 2 |
| საბერძნეთი | 2 | 0 | 2 | 1:6 | 2 |
| უკრაინა | 2 | 0 | 2 | 1:6 | 2 |

*მესამე ტურში, ხვალ, ერთმანეთს შეხვდებიან: ბულგარეთი - ესპანეთი, კანადა - არგენტინა, კორეა - კუბა, იაპონია - ბრაზილია, საბერძნეთი - რუსეთი, უკრაინა - იუგოსლავია, აშშ - ჰოლანდია და ჩინეთი - იტალია.*



იტალია — აშშ. იტალიელთაგან კვლავაც პასკუალე გრავინა გამოირჩეოდა



# საჩუქარი იგვიანებს

18 ნოემბერი

**ვაშინგტონი — ტორონტო 4:1**

0:1 3:0 1:0

0:1 დ. კინგი 2'10 (7); 1:1 ზედნიკი 20'58 (2); 2:1 ბულისი 24'33 (1); 3:1 ბულისი 35'55 (2); 4:1 ოუთსი 46'22 (5)

ის, რომ თასის შარშანდელი ფინალისტი ვაშინგტონი ჩემპიონატის დასაწყისში სატურნირო ცხრილის ბოლოში მოექცა, სიურპრიზი არავისთვისაა, რადგან ტრავმებისა და საკონტრაქტო პრობლემების გამო კლუბს ძირითადი შემადგენლობის თითქმის ნახევარი აკლდა. დედაქალაქელთა საბედნიეროდ, ამ დღეებში მათი საქმე გამოსწორდა, თანაც ზედიზედ ორ გამარჯვებაში სწორედ გამოჯანმრთელებულ ჰოკეისტებს უდევთ ლომის წილი. ამჯერად ახალგაზრდა რიხარდ ზედნიკი (1+1) და იან ბულისი (2+1) გამოირჩნენ, რომლებმაც მეორე პერიოდში თამაში გარდატეხეს. ვაშინგტონის ქომაგებმა განსაკუთრებით სლოვაკი ზედნიკის დაბრუნებით გაიხარეს — მან გოლი 10 მატჩის გამოტოვების შემდეგ მიითვალა.

**ედმონტონი — დეტროიტი 2:6**

1:3 0:0 1:3

0:1 აიზერმანი 0'48 (7); 0:2 უორდი 5'46 (1); 1:2 მიურეი 6'46 (5); 1:3 კოზლოვი 15'54 (2); 1:4 ლაპოინტი 48'14 (4); 1:5 აიზერმანი 53'39 (8); 1:6 ფიოდოროვი 56'28 (4); 2:6 პოტი 57'57 (1).

მასპინძელთა მწვრთნელმა რონ ლოუმ მეორე პერიოდში სამეულებში ცვლილებების მოხდენით სცადა შეგირდების გამოცოცხლება, მაგრამ ზედიზედ ორი მარცხით გაფიცხებული დეტროიტის შეჩერება შეუძლებელი იყო. სტუმართაგან საუკეთესონი სტივ აიზერმანი (2+1) და ლარი მერფი (3 პასი) იყვნენ.

**ფინიქსი — ვანკუვერი 4:2**

2:1 0:0 2:1

0:1 სკაჩარდი 10'31 (3); 1:1 ტოკეტი 12'57 (6); 2:1 ნუმინენი 18'17 (2); 3:1 იზბისტერი 41'27 (1); 4:1 დრეიკი 44'19 (2); 4:2 ზეზელი 56'06 (4)



REUTERS ვაშინგტონიდან

ვაშინგტონელმა იან ბულისმა ტორონტოელებს კარიც უმტვრია

ვანკუვერელ მაიკ კინენის შეგირდებმა უკვე მეორე მატჩია, თავიანთ მწვრთნელს ვერ მიუძღვნეს საჩუქარი — კარიერაში მე-500 მოგება. თუმცა ბოლო ხანს ათამაშებული ფინიქსისთვის ქულის ჩამორთმევა კი არა, ორი გოლის გატანაც საქმეა („კოიოტებმა" ორზე მეტი შაიბა მხოლოდ ჩემპიონატის პირველ მატჩში გაუშვეს ოტავასთან (1:4). რიკ ტოკეტმა (1+2) და ჯერემი რენიკმა (3 პასი) 3-3 ქულა დააგროვეს. უქულოდ არც მასპინძელთა კაპიტანი კეიტ ტკაჩუკი (2 პასი) დარჩა.

**სან ხოსე — ლოს ანჯელესი 5:4**

1:0 2:3 2:1

1:0 მერფი 1'27 (3); 2:0 ფრიზენი 26'18 (6); 2:1 რობიტაილი 30'05 (10); 2:2 მიურეი 30'37 (7); 3:2 ფრიზენი 36'00 (7); 3:3 მიურეი 36'50 (8); 3:4 იოკინენი 41'04 (3); 4:4 გრენატო 46'28 (3); 5:4 გრენატო 52'53 (4).

სტუმრებმა უჩვეულო ტრადიციას არ უღალატეს და უმცირესობაში მერვედ გატანილ გოლს (მიურეიმ გამოიჩინა თავი) რიცხვმრავლობაში გაშვებული შაიბაც დაამატეს, რომელმაც მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა. ეს კარგა ხნის წინ უმძიმესი ტრავმის გამო ლოს ანჯელესიდან გათავისუფლებულმა ტონი გრენატომ მოიმოქმედა. „მეფეები" ზედიზედ მეხუთედ დამარცხდნენ, რაც 1996 წლის მარტის შემდეგ პირველად დაემართათ.

**ანაჰაიმი — რეინჯერსი 3:1**

0:0 1:1 2:0

1:0 რუჩინი 35'12 (5); 1:1 სუნდსტრიომი 36'34 (2); 2:1 მაკინისი 46'42 (5); 3:1 კარია 59'23 (9)

საოცარია, მაგრამ ტეემუ სელიანეს არყოფნამ სასიკეთოდ იმოქმედა ანაჰაიმზე რომელმაც ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო. სტივ რუჩინთან (1+2) და პოლ კარიასთან (1+1) „ფინელი მსროლელის" ნაცვლად შეამხანაგებული მარტი მაკინისი პარტნიორებს როდი ჩამორჩება, ამჯერადაც გადამწყვეტი გოლი გაიტანა. კარიამ კი ზედიზედ მეორედ შეაგდო შაიბა ცარიელ კარში.

**სატურნირო ვითარება**

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 18 | 9 | 2 | 7 | 57:54 | 20 |
| ბუფალო | 14 | 7 | 4 | 3 | 40:26 | 18 |
| ბოსტონი | 17 | 6 | 4 | 7 | 40:32 | 16 |
| ოტავა | 15 | 6 | 3 | 6 | 43:41 | 15 |
| მონრეალი | 17 | 6 | 2 | 9 | 39:49 | 14 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 17 | 9 | 0 | 8 | 53:44 | 18 |
| სენტ ლუისი | 15 | 7 | 4 | 4 | 42:35 | 18 |
| ნეშვილი | 16 | 6 | 1 | 9 | 39:47 | 13 |
| ჩიკაგო | 18 | 5 | 3 | 10 | 38:63 | 13 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 15 | 9 | 0 | 6 | 33:35 | 18 |
| პიტსბურგი | 16 | 7 | 4 | 5 | 43:42 | 18 |
| ფილადელფია | 17 | 7 | 4 | 6 | 45:37 | 18 |
| აილენდერსი | 18 | 8 | 0 | 10 | 45:48 | 16 |
| რეინჯერსი | 17 | 4 | 5 | 8 | 39:48 | 13 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 18 | 8 | 3 | 7 | 48:44 | 19 |
| ფლორიდა | 15 | 6 | 3 | 6 | 33:41 | 15 |
| ვაშინგტონი | 16 | 6 | 3 | 7 | 37:41 | 15 |
| ტამპა | 17 | 6 | 2 | 9 | 40:61 | 14 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინიქსი | 13 | 9 | 2 | 2 | 38:19 | 20 |
| დალასი | 14 | 9 | 2 | 3 | 37:27 | 20 |
| ანაჰაიმი | 17 | 7 | 4 | 6 | 40:38 | 18 |
| ლოს ანჯელესი | 19 | 5 | 3 | 11 | 43:54 | 13 |
| სან ხოსე | 15 | 4 | 4 | 7 | 38:39 | 12 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ედმონტონი | 17 | 9 | 1 | 7 | 55:45 | 19 |
| ვანკუვერი | 17 | 8 | 1 | 8 | 52:45 | 17 |
| კოლორადო | 17 | 7 | 2 | 8 | 48:49 | 16 |
| კალგარი | 17 | 7 | 2 | 8 | 47:48 | 16 |

*ბომბარდირები: ფორსბერგი (კოლორადო) 25 (6+19); ლინდროსი (ფილადელფია) 22 (11+11); საკიკი (კოლორადო) და კარია (ანაჰაიმი) 22 (9+13); აიზერმანი (დეტროიტი) 21 (8+13); იაგრი (პიტსბურგი) 21 (5+16); სუნდინი (ტორონტო) 20 (8+12); ლეკლერი (ფილადელფია) 19 (11+8); რობიტაილი (ლოს ანჯელესი) და ფლერი (კალგარი) 19 (10+9); ბრინდამორი (ფილადელფია) 19 (8+11).*

# მეკარეა თუ მეპასე?

როგორ გგონიათ, რამდენი შედეგიანი გადაცემა შეიძლება მიითვალოს მეკარემ, თუნდაც წლების განმავლობაში? ათი? ოცი? არა, გაცილებით მეტი. შაბათს, ფლორიდასთან მატჩში, პიტსბურგის გოლკიპერმა ტომ ბარასომ ზუსტი პასით სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო, რომელიც რობ ბრაუნმა დაასრულა. ამის შემდეგ ანგარიში 3:0 გახდა, თამაშის ბედიც გადაწყდა, ბარასოს კი კარიერაში 46-ე (!) პასი დაუგროვდა და იგი სენტლუისელ გრანტ ფიურისაც დაეწია — ეს უკანასკნელი ხომ ამ საქმის ოსტატად ითვლება და აქამდე ნჰლ-ის საუკეთესო ბომბარდირიც იყო თავისი ამპლუის მოთამაშეთა შორის. აღსანიშნავია, რომ ორივე მეკარემ საუკეთესო წლები უდიდესი ვარსკვლავების — უეინ გრეცკისა და მარიო ლემიეს კლუბებში გაატარა, მაგრამ თუ შავკანიანი ფიურის ედმონტონური გმირობანი წარსულს ჩაბარდა, ტომ ბარასო „სუპერმარიოს" წასვლის შემდეგაც აგრძელებს საქმიანობას. ასე რომ, შესაძლოა, უახლოეს მომავალში იგი ერთპიროვნული ლიდერიც გახდეს.

იყიდება ესპანური კედლის და იატაკის მოსაპირკეთებელი ფილები (მეტლახი, კაფელი) იაფად, შინ მიტანით.

მისამართი: ელიავას ბაზრობა, სანტექნიკის რიგი, ჯიხური № 179. დილის 10-დან საღამოს 5 საათამდე.


პიტერ უორელი

ამჟამად ნჰლ-ში ათამდე შავკანიანი ჰოკეისტიასპარეზობს, რომელთაგან თავიანთ კლუბებში მხოლოდ ბოსტონელი ენსონ კარტერი და სენტლუისელი მეკარე გრანტ ფიური გამოირჩევიან, დანარჩენები კი ნაკლებად არიან ცნობილი და ძირითადად „პოლიციურ" ფუნქციებს ასრულებენ. ამიტომაცაა, რომ ყურადღებას იშვიათად იპყრობენ, მაგრამ ფლორიდელი პიტერ უორელი ნამდვილად გამონაკლისს წარმოადგენს. ჰოკეისტი, რომელიც აგერ უკვე მეორე სეზონს ატარებს ნჰლ-ში და ერთადერთი ქულა და 216 საჯარიმო წუთი აქვს დაგროვებული, მუდამ სკანდალში ეხვევა. ამის მიზეზი კი მეტოქეების

# ნუ მაიმუნობთ თორემ...

განსაკუთრებულად მტრული დამოკიდებულებაა უორელის მიმართ. საქმე ისაა, რომ შავკანიანი ჰოკეისტი ძალიან ჰგავს მაიმუნს და აკი ხშირად აგონებენ კიდეც ამ მეტსახელს. თუმცა ყოველივე ეს ახლა არ დაწყებულა — ადრევე, ჯერ კიდევ ჭაბუკთა ლიგაში თამაშისას, მას ტრიბუნიდან ბანანის ქერქი ესროლეს. ცხადია, ყველა ეს შემთხვევა ნჰლ-ის სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა, თუმცა შარშან ვაშინგტონელი კრეიგ ბერუბი, საგამოფენო მატჩებისას ტამპელი სენდი მაკარტი (ამ ინციდენტებზე ადრეც გაუწყეთ), 12 ნოემბრის შეხვედრის შემდეგ კი ფილადელფიელი კრის გრეტონი უარყოფდნენ ამ ბრალდებას. აღსანიშნავია, რომ თავათ უორელი, ჟურნალისტებისგან განსხვავებით, ამ მითქმა-მოთქმას დიდ ყურადღებას არ აქცევს. თუ 70-იანი წლების სახელოვან მეომარ დეივ შულცს „ვეფხვს", ხოლო ტორონტოელ მეკარე ფელიქს პოტვინს „კატას" უწოდებდნენ, იქნებ უორელიც შეურიგდეს ბედს და ამ მეტსახელს შეეგუოს.

თუმცა, ეტყობა, თავად ჰოკეისტი სხვაგვარად ფიქრობს, რაკი შაბათს პიტსბურგელ ალექსეი მოროზოვს ისე ჩაარტყა იდაყვი, ტვინი შეურყია და ამისთვის დაისაჯა კიდეც — მომდევნო სამ თამაშს გამოტოვებს და ჯარიმას, 1000 დოლარსაც გადაიხდის.

**სამველ ღარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ადელაიდიდან



ცხენების საერთაშორისო შეჯიბრი ავსტრალიის ქალაქ ადელაიდაში. ულაყი „გუდ ფანი" და მისი ახალზელანდიელი მხედარი ტინკს პოტიგერი უილბლო ნახტომის შემდეგ

# საფრანგეთი

XXV ტური

**მონაკო 0:2 ბორდო**

0:1 ლასლანდი (6), 0:2 მიკუ (39)

**ლიონი 2:1 მარსელი**

1:0 ლინარესი (17), 2:0 ვიოლო (56), 2:1 მორისი

*ლიონი — მარსელი. მარსელელი პეტერ ლუქსენი (შუაში) ლიონელებთან, იაცეკ ბაკთან (მარცხნივ) და პატრის კარტერონთან ბრძოლაში ისევე წაიქცა, როგორც კარგა ხანს წაუგებელი მისი კლუბი*




## კალათბურთი. ევროლიგა. VIII ტური

A ჯგუფი

ფენერბაჰჩე 78:71 პო ორტეზი

ჟალგირისი 77:62 ავტოდორი

ტაუგრესი 75:72 ვარეზე

B ჯგუფი

ცრვენა ზვეზდა 71:72 ეფესი

მაკაბი 81:55 ტდკ

C ჯგუფი

ულქერი 79:89 ოლიმპიაკოსი

ცსკა 66:68 ზადარი

D ჯგუფი

სამარა 88:109 რეალი

ოლიმპია 84:68 პაოკ

REUTERS სინგაპურიდან



*კანადის პრემიერ-მინისტრი ჟან კრეტიენი (მარჯვნიდან მესამე) სინგაპურში ოთხდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. საქმეებს რომ მორჩა, სპორტისთვისაც მოიცალა, თვისტომ ნიჩბოსანთა გუნდს ნავში ჩაუჯდა და მხნედაც მოუსვა ნიჩაბი. ფიზიკურად გაძლიერებული კრეტიენი სინგაპურიდან კუალა-ლუმპურში გაემგზავრა, სადაც აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტს დაესწრება.*

# ყველაზე ძვირფასი ბურთი

ბურთი, რომელიც საფრანგეთის ეროვნული გუნდის ნახევარმცველმა, ემანუელ პეტიმ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიის ნაკრების კარში შეაგდო, 10 დეკემბერს აუქციონზე გაიყიდება.

„კრისტის" ცნობილი აუქციონის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისტორიულ ბურთს, იმ ფინალური შეხვედრის მსაჯი, მაროკოელი საიდ ბელკოლი ჰყიდის.

„ეს გახლავთ ერთ-ერთი 15 ბურთთაგანი, რომლებიც 12 ივლისს „სტად დე ფრანსზე" თამაშისთვის შეარჩიეს. იმავდროულად არის ზუსტად ის, ემანუელ პეტის დარტყმის შემდეგ ბრაზილიელთა კარში რომ შევარდა. საფინალო სასტვენის თანავე ერთ-ერთმა განაწყენებულმა ბრაზილიელმა მას ფეხი ამოსცხო და გადააგდო, შემდეგ კი იგი საიდ ბელკოლას უსახსოვრეს" — განაცხადეს აუქციონერებმა.

ექსპერტების შეფასებით ბურთის ფასი 20-25 ათასი დოლარი იქნება. აუქციონი „კრისტის" შოტლანდიურ, გლაზგოს ოფისში გაიმართება.

REUTERS ლონდონიდან



ბრიტანეთის დედოფალმა ელიზაბეთ II სამშაბათს, ბუკინგემის სასახლეში ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელ ჯეფ ჰერსტს რაინდობა უბოძა — ამიერიდან 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჰეთ-თრიქის შემსრულებელი ფეხბურთელი სერ ჯეფ ჰერსტად იწოდება. მანამდე ასეთი პატივი ბობი ჩარლტონს ერგო. „თავი სიზმარში მგონია და ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ. დედოფლის გადაწყვეტილებამ სიცოცხლე გამიხანგრძლივა" — განუცხადა რაინდად კურთხეულმა სერ ჯეფ ჰერსტმა ინგლისის ტელევიზიას. მსოფლიოს ჩემპიონატების თითქმის 70-წლიან ისტორიაში სერ ჯეფ ჰერსტი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც ფინალურ შეხვედრაში სამი გოლის გატანა მოახერხა.

სარბიელის არქივიდან



წამიც და ბურთი მესამედ გავა ბრაზილიელთა კარში. ამ რელიქვიას მსაჯი საიდ ბელკოლა რამდენიმე თვეში გაყიდვას დაუპირებს

სარბიელ…
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშ…
ხუთშაბათს, პარასკევს და შ…

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლ…
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტო…
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგ…
მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგ…
სოსო კოტორეიშვი…
ფეხბურთის რედაქცი… ქართული ფეხბურთ… განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, … ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, … რიძე, მამუკა კვანტალიან… კვანტალიანი, ხვიჩა სანიკ…
უცხოური ფეხბურთ… განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კ… ვანო ოქროპირიძე, ონისე … შვილი
კალათბურთის განყო…
გიო ახვლედიანი, გიორგი … გაიოზ თალაკვაძე
ინფორმაციის განყო…
ავთანდილ გურასაშვილი, … თავაძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუ…
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორ…
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გ…
კომპიუტერული ც…
ელენე გელუტაშვილი, … ვაძე, სვეტა დევაძე, კახა თ… ტრისტან კახურაშვილი, … დირაშვილი, მარიკა ტაბიძ… ფოფხაძე, ბელა ხატიაშვი…
გამომშვები ზურაბ ი…

რედაქციის მისამართ…
ალ. ყაზბეგის გამზირი 42… პუსი, IV სართული. საფო… მართი: თბილისი - 79, … ყუთი 208. ტელეფონი: 39…